

ანბანური საძიებელი

აბანო

ქალთან ერთად ბანაობა ეკრძალება სასულიერო პირს, მონაზონს, ერისკაცს. VI. 77. ლაოდ. 30.

ადამი

შექმნილია ღვთის მიერ არა მოკვდავად. კართ. 109.

ადგილისმცველი, პოტირიტისი, წარმომადგენელი.

ეპისკოპოსის ადგილისმცველის დადგენა აფრიკაში. კართ. 64. ადგილისმცველს (ეპისკოპოსს) ეძლევა წერილობითი ნებართვა, რომელიც ადასტურებს მისთვის მიცემულ დავალებას. ამ დავალებას მან არ უნდა გადაუხვიოს. კართ 85.

ადგილობრივი საეკლესიო კრება

იხ. კრება საეკლესიო

ავაზაკი

ვინც ავაზაკს შეებრძოლება, განკითხულ იქნება. ბასილი დიდი 55. ავაზაკი ისჯება, როგორც კაცისმკვლელი. გრიგოლ ნოსელი 6.

ავაზაკობა

შდრ. პარვა, ქურდობა

არა მხოლოდ ავაზაკობა, არამედ საერთოდ ანგარება და მიხვეჭა ითვლება საშინელ და საძაგელ საქმედ. გრიგოლ ნეოკესარიელის ეპისტოლე. გრიგოლ ნოსელი 6. ვინც ომის დროს ბარბაროსებს მიემხრობა, მათთან ერთად თავდასხმებში მონაწილეობას მიიღებს და ასწავლის მათ გზასა და სახლებს, ასეთნი არ უნდა დაუშვან მსმენელთა (იხ.) რიგშიც კი. გრიგოლ ნეოკესარიელის ეპისტოლე. სხვის სახლებზე თავდამსხმელნი არ უნდა დაუშვან არც საღვთო წერილის მსმენელებად. მაგრამ თუ თითონ აღიარებენ ცოდვას და დააბრუნებენ მიტაცებულ ქონებას, ისინი იმსახურებენ შევრდომას (იხ.) გრიგოლ ნეოკესარიელის ეპისტოლე.

აგრილიოსი

კართაგენის ეპისკოპოსი, თავმჯდომარეობდა კართაგენის კრებას. კართ. 1, 3, 5, 6, 7, 8, 13, 25, 48, 49, 51, 52, 53, 55, 56, 65 და ა. შ.

ათანასე

ალექსანდრიის არქიეპისკოპოსი, წმინდა, ნეტარი მამა. VI 2. მისი წესები მიღებულია საეკლესიო კანონად. VI 2.

ალექსანდრიის ეპისკოპოსი

ძალაუფლება აქვს ეგვიპტის, ლიბიისა და პენტაპოლისის ეკლესიებზე. I 6. II 2. მისი საყდარი განეკუთვნება სხვა (რომის, კონსტანტინოპოლის, ანტიოქიის, იერუსალიმის) უმაღლეს საყდართა რიგს. VI 36.

ამბიონი (საფსალმუნე)

ხელდაუხმელს არა აქვს ამბიონიდან კითხვის უფლება. VI 33, არც ბერს. VI 14.

ამფილოქე იკონიელი

წმინდანი და ნეტარი. VI 2.

ანათემა

იხ. შეჩვენება

ანანიას და საპფირას სასჯელი

რუის-ურბნ. 6.

ანგარება

ანგარება და სხვისი საკუთრების მითვისება ისჯება ღვთის ეკლესიიდან განდევნით. გრიგოლ ნეოკესარიელის ეპისტოლე. ამიტომ უნდა აღიკვეთოს ანგარების სურვილი. კართ. 5. დამნაშავეს უნდა უმკურნალონ დამოდღვრით, რომ მან მითვისებული ქონება გლახაკებს ჩამოურიგოს. გრიგოლ ნოსელი 6. ბარბაროსთა შემოსევით სარგებლობენ ანგარების სურვილის მქონე ღვთისმოდულე ადამიანები. გრიგოლ ნეოკესარიელის ეპისტოლე.

ანგელიტები

ვინც მიატოვებს ღვთის ეკლესიას და ქრისტეს, რათა ანგელოსებს ემსახუროს, ვითომცდა სამყაროს შემქმნელებს და გამრიგეებს, შეჩვენებას (ანათემას) დაიმსახურებს. ლაოდ. 35. კოლასელთა 2,18.

ანომეები უმსგავსონი, ევნომიანოსნი (მწვ.). II 1.

ანტიოქიის ეპისკოპოსი

მისი საყდარი არის ალექსანდრიის საყდრის შემდეგ. VI 36.

აპოკრიფული წიგნები

აპოკრიფულ წიგნებს ერეტიკოსები უწოდებდნენ მათ მიერ შეთხზულ წიგნებს გულუბრყვილოთა შესაცთუნებლად. ათანასე ალექსანდრიელის სადღესასწაულო ეპისტოლე.

აპოლინარელნი (მწვ.)

II 1. მოქცევის შემთხვევაში ეკლესიაში მიღებულ იქნებიან მირონცხების გზით. II 7.

აპოლინარი (ერეტიკოსი), VI 1.

აპოტაქტივები (მწვ.) ანუ განყენებულნი

ბასილი დიდი 47.

არიანელნი (მწვ.)

არ უნდა იდგნენ ლიტურგიის (ჟამისწირვის) დროს მორწმუნეებთან ერთად. ტიმოთე ალექსანდრიელი 9. ისინი შეჩვენებულნი არიან. II 1. მოქცევის შემთხვევაში მიღებულ უნდა იქნენ ეკლესიაში მირონცხების გზით. II 7. VI 95. მოქცევის დროს იმათ, ვინც არიოზის ცოდვაში ჩავარდა, აღმოეჩინებოდათ მოწყალეობა, მაგრამ ამათ არ ეძლეოდათ ადგილი სასულიერო პირთა შორის. ხოლო იმას, ვინც გაჭირვებისა და ძალდატანების გამო მოხვდა არიანელობაში, მონანიების შემდეგ ეძლეოდა

პატიება და ადგილი კლერიკოსთა შორის. ათანასე ალექსანდრიელის ეპისტოლე რუფინიანეს მიმართ.

არიოზი (მწვ.) VI 1.

არჩევა

საეკლესიო ხარისხში არჩევა და ხელდასხმა არ უნდა ხდებოდეს მსმენელთა თანდასწრებით. ლაოდ. 5. საერო მთავრების მიერ ჩატარებული არჩევა არ არის ნამდვილი. VII 3.

ასისტანტი (უხუცესნი მოგვნი)

იხ. გრძნეულობა, მისნობა.

ატყური ნილაბი

იხ. ნილაბი

აღაპი, სიყვარულის ტრაპეზი.

აღაპი არ არის მდაბალი რამ და ვისაც ეზიზღება აღაპის მომწყობნი, ის შეჩვენებულ უნდა იყოს. ლანგრ. 11. სიყვარულის ტრაპეზი არ უნდა მოეწყოს საუფლო ტაძრებში და ეკლესიებში. VI 74. ლაოდ. 28. ამ ტრაპეზიდან ნაწილი არ უნდა წაიღონ სახლში. ლაოდ. 27.

აღდგომა, აღდგომის კვირა

ქრისტეს აღდგომის წმინდა დღიდან ახალკვირამდე მთელი შვიდეულის განმავლობაში მრწმუნეები ეკლესიებში განუწყვეტლივ უნდა

აღსრულებდნენ ფსალმუნებს, გალობას და სასულიერო საგალობლებს ქრისტეს მიერ სიხარულსა და დღესასწაულში. ასევე უნდა უსმენდნენ საღვთო წერილის კითხვას და ნეტარებას უნდა მიეცნენ წმინდა საიდუმლოთაგან. ამ დღეებში არ უნდა მოეწყოს ცხენთა შეჯიბრი და სხვა სახალხო სანახაობა. VI 66.

აღდგომა

ნიკეის პირველი მსოფლიო კრების განსაზღვრებები აღდგომის დღესასწაულის შესახებ არ უნდა დაირღვეს. ანტ. I. აღდგომის დღესასწაულზე წმინდა საიდუმლოს (სიწმინდის) გაგზავნა სხვა სამრევლოში კურთხევისათვის არ შეიძლება. ლაოდ. 14. აღდგომის დღე უნდა გამოცხადდეს ადგილისმცველთა მიერ კრებაზე ან კრების დადგენილებათა ქვეშ მინაწერის სახით. კართ. 51, 73. აღდგომის დღესასწაულის აღსრულება იუდეველებთან ერთად გაზაფხულის ბუნიობის წინ არ შეიძლება. მოც. 7. ანტ. I.

აღდგომა სულიერი

ეს არის ცოდვით დაცემიდან აღდგომა. გრიგოლ ნოსელის ეპისტოლის შესავალი.

აღთქმა, პირობა

საჭიროა თავის შეკავება უგუნური აღთქმისაგან, მაგალითად, ღორის ხორცის არ ჭამის შესახებ. ბასილი დიდი 28. ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ სრულ გონებამდე მიღწეულთა აღთქმა. ბასილი დიდი 18.

ქალები და კაცები, რომლებმაც დადეს ქალწულობის აღთქმა, მაგრამ შემდეგ დაარღვიეს ის, იმსახურებენ ეპიტიმიას. ანკვ. 19. VI 44. ბასილი დიდი 18, 19,60.

აღკვეცა

იხ. მონაზვნობა

აღმოსავლეთისა

აღმოსავლეთის ეპისკოპოსებმა უნდა განაგონ მხოლოდ აღმოსავლეთში.
II 2.

აღმსარებელი

ვინ არის აღმსარებელი? პეტრე ალექსანდრიელი 14. აღმსარებლებს, რომელთაც თავისი ნება-სურვილის წინააღმდეგ მიიღეს კერპის შესაწირავი, არ ეკრძალებათ ერთობა (ზიარება) და სამღვდელო ხარისხში ასვლა. ანკ. 3.

აღმსრულებელი, ეკლესიის მოურნე

ისინი დადგენილნი არიან ეკლესიის საჭიროებათათვის. კართ. 96.

აღსარება

სარწმუნოების აღსარებაში ყველამ თავისი ნება უნდა გამოამჟღავნოს, ნეოკ. 6.

აღწერა საეკლესიო

არ შეიძლება ხმარება ან გაყიდვა ნივთებისა, რომლებიც საეკლესიო აღწერაში არიან. კართ. 42.

ახალი რომი

იხ. კონსტანტინოპოლი

ახალკვირა

იხ. აღდგომა

ბალტასარის (ბალთაზარის) სასჯელი. რუის-ურბნ. 6.

ბასილი დიდი არქიეპისკოპოსი კესარია-კაპადოკიელი

წმინდა, ნეტარი, VI 2. ღმერთშემოსილი მამა. VI 54. მისი კანონები მიღებულია ეკლესიის მიერ. VI 2.

ბიწი სულისა

იხ. სულის ჭუჭყი

ბრალდება, ბრალმდებელი, ბრალდებული, იხ. სამსჯავრო, სასამართლო.

ბრმა იხ. ხორციელი ნაკლი

ბრძოლა, ომი

მტრების გაწყვეტა ომში კანონიერიც არის და ქების ღირსიც. ათანასე ალექსანდრიელის ეპისტოლე ამონისადმი. მაგრამ ეპისკოპოსი, მღვდელი, დიაკონი და სხვა კლერიკოსები არ უნდა ვარჯიშობდნენ სამხედრო საქმეში. მოც. 83. IV 7.

ბუნება

იესო ქრისტეს ორი ბუნება. იხ. შესავალში დოგმატი ორი ბუნების შესახებ.

გადმოცემები

ჩვენთვის დადგენილია წერილობით და დაუწერლად. VII მს. კრ. დოგმატი (იხ. აქვე, შესავალში) ბასილი დიდის ეპისტოლე ამფილოქესადმი სულიწმიდის შესახებ, 27-ე თავი. გადმოცემულ დოგმატებს ისეთივე ძალა აქვთ, როგორც დაწერილს. ბასილი დიდის ეპისტოლე ამფილოქეს მიმართ 27-ე თავიდან სულიწმიდის შესახებ. ბასილი დიდის ეპისტოლე ამფილოქეს მიმართ, 29-ე თავიდან სულიწმიდის შესახებ.

გალობა

ეკლესიაში არ შეიძლება უწესო ხმაური და ყვირილი, არამედ უნდა აღვასრულოთ გალობა მოწიწებით და ღმობიერებით. VI 75. ეკლესიაში უნდა გალობდნენ მხოლოდ სამღვდელონი. ლაოდ. 15.

გალობა სამწმინდისა

სამწმინდის გალობაში სიტყვების: "წმიდაო უკვდავო"-ს შემდეგ არ უნდა დავუმატოთ სიტყვები: "რომელიც ჯვარს-ეცვი ჩვენთვის". VI 82.

გამოსახულებანი

გამოსახულებები, რომლებიც ატყვევებენ მზერას და უწმინდურ სიამოვნებათა გამომწვევნი არიან, არ უნდა შეიქმნას. VI 100.

განდგომა სარწმუნოებისაგან, ქრისტესგან.

იხ. სარწმუნოების უარყოფა.

განდეგილობა, განდგომილება, ქვეყნიურ საქმეთაგან განშორება, დაყუდება, განმარტობა

თავმდაბლობით შესრულებული განდგომილება ქების ღირსია. ღანგრ. 21. ნებადართულია სამი წლით მონასტერში და შემდეგ მუდმივი უნდა იყოს. VI 41.

განზრახ (ნებსითი) მკვლელობა იხ. მკვლელობა

განკანონება იხ. ეპიტიმია

განკვეთა

1. სასულიერო დასიდან (კლერიკოსთაგან) განკვეთილი. კლერიკოსთაგან განკვეთილთან ლოცვა არ შეიძლება. მოც. 11.
2. ეკლესიიდან განკვეთილი (სრულიად მოკვეთილი). თუ სამართლიანად განკვეთილი ეპისკოპოსი, მღვდელი, დიაკონი ისევ დაიწყებს მსახურებას, ის ეკლესიიდანაც განიკვეთება. მოც. 28. და დაკარგავს აპელაციის უფლებას. ანტ. 4. ის, ვინც განკვეთილს მიიღებს, დაისჯება. კართ. 9. განკვეთის მიზეზები. მოც. 3, 5, 6, 7, 20 და სხვ. I 10, 17. III 2. IV 2, 18, 27. განკვეთის წესი. სარდ. 4. რუის-ურბ. 1.

განსატევებელი ეპისტოლე (წიგნი) იხ. ეპისტოლე განსატევებელი

განსატევებელი ხელწერილი

კლერიკოსთაგან არავის არა აქვს უფლება, დაეწესოს სხვა ეკლესიაში თავისი ეპისკოპოსის განსატევებელი ხელწერილის გარეშე. VI 17. შდრ. ეპისტოლე განსატევებელი.

განქორწინება, ქორწინების დარღვევა

განქორწინება მრუმობის შემთხვევის გარდა არ არის ნებადართული. ცოლი არ უნდა გაეყაროს ქმარს იმის გამო, რომ იგი მას სცემს, მის ქონებას ფლანგავს, რომ ის ორგულია. ბასილი დიდი 9. ქმარი ვერ გაშორდება ცოლს იმის გამო, რომ ის შეპყრობილია ბოროტი სულით. ტიმოთე ალექსანდრიელი 15.

განყენება იხ. უზიარებლობა

განყენებული იხ. უზიარებელქმნილი

განყენებული (მწვ.) იხ. აპოტაქტიტები

განშორება ქვეყნიურ საქმეთაგან იხ. განდგომილება

განწესება საეკლესიო დაცული უნდა იყოს. კართ. 2.

განწმენდილი იხ. ნავატინები

განხეთქილება

რა არის განხეთქილება? ბასილი დიდი 1. მღვდელი, რომელიც განხეთქილებას მოაწყობს, შეჩვენებული იქნება. კართ. 10, 11.

განხეთქილების მოქმედი

რას ნიშნავს განხეთქილების მოქმედი? ბასილი დიდი 1. მათთან ერთად ლოცვა არ შეიძლება. ლაოდ. 33. განხეთქილების მოქმედთა ურჩობის საწინააღმდეგოდ მეფეებს უნდა ეთხოვოთ დახმარება. კართ. 93. განხეთქილების მოქმედთა მიერ შესრულებული ნათლობა მისაღებია. ბასილი დიდი 1. ორნი, განხეთქილებიდან მოქცეულნი, ენკრატიტები (იხ.) ბასილი დიდმა მიიღო საეპისკოპოსო კათედრაზე. ბასილი დიდი 1.

გასართობი სამსახიობო ნილაბი იხ. ნილაბი

გაყრა, გაშორება, განქორწინება იხ. განქორწინება

გაშორება იხ. განქორწინება

გაჭირვება

ადამიანთა გაჭირვებისა ან სხვა მიზეზის გამო ძველ დროში ბევრი რამ მომხდარა საეკლესიო წესების საწინააღმდეგო. ამის შემდეგ არაფერი ამგვარი არ უნდა მოხდეს. I 2.

გახრწნა

ძალით გახრწნილს არ უნდა დაედოს ბრალი. ბასილი დიდი 49.

გენადი

კონსტანტინოპოლის პატრიარქი, მისი მრგვლივ მოსავლელი ეპისტოლე (ცირკულარი) მიღებულია საეკლესიო კანონად. VI 2.

გინება

ვინც უსამართლოდ აგინებს მეფეს ან მთავარს, კლერიკოსი განიკვეთოს, ერისკაცი უზიარებელ და განყენებულ იყოს ეკლესიისაგან. მოც. 84. ვინც კლერიკოსთაგან ეპისკოპოსს აგინებს, განიკვეთოს. მოც. 55. ვინც კლერიკოსთაგან მღვდელს ან დიაკონს აგინებს, განყენებულ იყოს საეკლესიო ზიარებისაგან. მოც. 56.

გრიგოლ ნეოკესარიელი ეპისკოპოსი

წმინდა და ნეტარი მამა. მისი კანონები მიღებულია საეკლესიო კანონებად. VI 2.

გრიგოლ ნოსელი ეპისკოპოსი

წმინდა და ნეტარი მამა. მისი კანონები მიღებულია ეკლესიის მიერ. VI 2.

გრიგოლ ღვთისმეტყველი (ნაზიანზელი) ეპისკოპოსი

წმინდა და ნეტარი მამა. მისი წესები მიღებულია საეკლესიო კანონებად. VI 2.

გრძნეულობა, მისნობა

ვინც გრძნეულობას მოინანიებს, მას ეკისრება მკვლელის ეპიტიმია. ბასილი დიდი 65,72. ღრუბელთმდევნელნი, თილისმისმკეთებელნი, შემლოცველნი, მკითხავნი ექვემდებარებიან ექვსწლიან ეპიტიმიას. VI 61. ვინც ამ ცოდვაში ყოფნას აგრძელებს, იღევნება ეკლესიიდან. VI 61. მისნების ან მოგვების

მიმდევრები ისჯებიან ხუთწლიანი ეპიტიმით. ანკ. 24, ან ექვსწლიანი ეპიტიმით VI 61. ბასილი დიდი 83. ვინც რწმენას უარყოფს და მივა გრძნეულთან ან მისანთან, რათა ბოროტი სულის (დემონის) საშუალებით აიცილოს სნეულება და ვნება, განკითხვის ღირსია. გრიგოლ ნოსელი 2. იხ. სარწმუნოების უარყოფა.

გუჯარი იხ. აღწერა საეკლესიო

დაბრუნება მართლმადიდებლურ ეკლესიაში სხვა სარწმუნოების მიმდევრებისა

სხვა სარწმუნოების მიმდევრები მართლმადიდებლურ ეკლესიას უბრუნდებიან ნათლისღებისა და მირონცხების გზით. I 19. II 7. VI 95. ლაოდ. 7, 8. ბასილი დიდი 1, 47.

დამტკიცება-გადაწყვეტილება

აზრთა სხვადასხვაობის დროს დამტკიცდება უმრავლესობის განჩინება. I 6. ანტ. 19. ეპისკოპოსთა შეთანხმებული დამტკიცება-გადაწყვეტილება მტკიცე უნდა იყოს. ანტ. 15.

დამცველი იხ. ეკდიკი

დანიშნული იხ. ქორწინება, ქალიშვილი, ქალი, სიძვა

დასამშვიდებელი ეპისტოლე იხ. ეპისტოლე დასამშვიდებელი

დასმენა იხ. სამსჯავრო

დასახდომის წესი კლერიკოსთა იხ. კლერიკოსები

დაქვრივებული ეკლესია იხ. შემოსავალი დაქვრივებული ეკლესიისა

დაცემული

არის ქრისტეს უარყოფელი იხ. სარწმუნოების უარყოფა

დაცვა, გამოსარჩლება

თუ ეპისკოპოსთა საბჭოს მიერ დასჯილ კლერიკოსს გამოეყომაგება ვინმე და მის დაცვას მოინდომებს, იგი დაიმსახურებს ფულად ჯარიმასა და პატივის აყრას. კართ. 62.

დაცინვა

ხორციელ ნაკლზე დაცინვა არ შეიძლება. მოც. 57.

დედათდიაკონი (დიაკონისა)

დედათდიაკვნად დადგენა შეიძლება არა უადრეს ორმოცი წლისა, დაკვირვებული გამოცდის შემდეგ. IV 15. VI 14. მაგრამ თუ იგი ხელდასხმის შემდეგ დაქორწინდება, შეჩვენებულ უნდა იყოს თავის თანამცხოვრებთან ერთად. IV 15. თუ დედათდიაკონი ისიძვებს წარმართთან. ბასილი დიდი 44.

დედაკაცი იხ. ქალი

დევნა

არ არის საჭირო წასვლა მოწამეობრივ ღვაწლზე, თუ იგი ჯერ არ დაწყებულა, რათა ამით არ განუმზადონ მღვდნელთ ცოდვის ნაკვერცხალი. თუმცა ასეთებთან უნდა გვქონდეს ზიარება, ერთობა. პეტრე ალექსანდრიელი 9. თუ ვინმე დევნის დროს თავს გამოისყიდის ვერცხლით, ეს არ უნდა ჩაეთვალოს მას დანაშაულად. პეტრე ალექსანდრიელი 12. რწმენისათვის დევნის დროს ლტოლვილნი არ არიან დამნაშავენი იმაში, რომ მათ მაგიერ სხვები შეიპყრეს. პეტრე ალექსანდრიელი 13.

დეკანოზი IV 2

დემონი (ბოროტი სული) იხ. ეშმაკეული

დიაკონი

დიაკვნის დადგენა შეუძლია ერთ ეპისკოპოსს. მოც. 2. დიაკვნად დასადგენი უნდა იყოს არანაკლებ ოცდახუთი წლისა. VI 14. კართ. 16. ჯერ კიდევ დაბალ საფეხურზე ყოფნის დროს უნდა შეისწავლონ მისი რწმენა, ქცევის კეთილწესიერება, სიმტკიცე და სიმშვიდე. სარდ. 10. დიაკვნის ხელდასხმამდე მისი ოჯახის ყველა წევრი უნდა გახდეს მართლმადიდებელი ქრისტიანი. კართ. 36. დიაკვნად არჩევის უფლება არა აქვთ საერო მთავრებს: ეს არჩევა დაუმტკიცებლად უნდა ჩაითვალოს. VII 3. დიაკვნები არიან ეპისკოპოსის მსახურნი და მღვდლებზე უმცროსნი. I 18. მათ არაფერი არ უნდა გააკეთონ ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე. მოც. 39. დიაკონი, რომელიც ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე დასტოვებს თავის ეკლესიას. მოც. 15. I 15. დიაკონი, რომელიც კრების მიერ გამოძიება-შესწავლასა და სრულ განკითხვამდე დაადანაშაულებს თავის ეპისკოპოსს. ორგზ. 13. დიაკვნებმა არ უნდა აზიარონ მღვდლები, არც უნდა ეზიარონ მათზე ადრე, არც უნდა დასხდნენ მათ შორის. I 18. მით უმეტეს, დიაკვნები არ უნდა ისხდნენ მღვდლებზე მაღლა, რა საეკლესიო თანამდებობაც არ უნდა ჰქონდეთ მათ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათ ევალებათ, წარმოადგინონ თავისი პატრიარქი, ან მიტროპოლიტი VI 7. დიაკონი არ უნდა დაჯდეს თავის მღვდლის ნებართვის გარეშე. ლაოდ. 20. დიაკონი,

რომელიც უპირატესობას ამჟღავნებს მღვდლის წინაშე. VI 7. დიაკონს პატივი უნდა მიაგონ იპოდიაკვნებმა (კერძო-დიაკვნებმა) და ყველა მსახურმა. ლაოდ. 20. დიაკვნის ხარისხში ასვლას ხელს არ უშლის მისი თანაცხოვრება კანონიერ ცოლთან. VI 13. დიაკვნები სიწმინდეთა (წმინდა საიდუმლოს) შეხების დროს დროებით უნდა განერიდონ თანამეცხედრებს. VI 13. კართ. 4, 25. ის, ვინც უკრძალავს დიაკონს მეუღლესთან ერთობას, უნდა დაისაჯოს. და აგრეთვე ის დიაკონიც, რომელიც ღვთისმსახურების მომიჯნავეებით შორდება მეუღლეს. მოც. 5. VI 13. ქვრივ დიაკონს ნება აქვს თავის ოჯახში ჰყავდეს მხოლოდ დედა, და, ან დედა-მამიდა. I 3. VI. 5. ბასილი დიდის ეპისტოლე გრიგოლ ხუცის მიმართ. დიაკონი, რომელიც ხორციელად შესცოდავს და აღიარებს თავის ცოდვას. ნეოკ. 10. დიაკონი, რომელიც შესცოდავს მხოლოდ ბაგეებით და არ გააღრმავებს თავის ცოდვას. ბასილი დიდი 70. დიაკონი, რომელიც ილოცებს მწვალებელთან ერთად. მოც. 45. ცოდვაში მხილებული და მღვდელმსახურებისაგან ჩამოშორებული დიაკვნის ხელდასხმა არ შეიძლება, როგორც მონანულისა და ერისკაცისა. კართ. 27. შვიდი დიაკონი, მოხსენიებული "საქმე მოციქულთა"-ში. ქალაქში შეიძლება იყოს შვიდი დიაკონი. VI 16.

დიაკონი განკვეთილი იხ. განკვეთა

დიაკონი განყენებული (უზიარებელქმნილი) იხ. უზიარებელქმნილი

დიაკონისა იხ. დედათდიაკონი

დიდებისმეტყველება

დიდებისმეტყველების დროს თქმა სიტყვისა "სულიწმიდითურთ" მიღებულია მოციქულთა დაუწერელი გადმოცემით. ბასილი დიდი 92.

დიდვიმოსი (მწვ.) VI 1.

დიდმარხვა, წმინდა ორმოცის მარხვა

დიდმარხვის დროს არ შეიძლება:

1) შესრულდეს სრული ლიტურგია, შაბათებისა და კვირა დღეების გარდა, ლაოდ. 49. უნდა შესრულდეს მხოლოდ პირველშეწირული მსხვერპლთა განახლების ლიტურგია. VI 52. 2) იდღესასწაულონ მოწამეთა დაბადების დღე, არამედ უნდა აღასრულონ მათი ხსენება შაბათს და კვირა დღეს. ლაოდ. 51. არც ქორწილისა და დაბადების დღის გადახდა. ლაოდ. 52. წმ. ორმოცის მარხვის დღეებში აკრძალულია ხორცის, ყველისა და კვერცხის ჭამა შაბათსა და კვირა დღეებში. VI 56. მთელი დიდმარხვის დროს უნდა დავიცვათ მარხვა ხმელი საჭამადის ჭამით. ლაოდ. 50. დიდმარხვის უკანასკნელი შვიდეულის (კვირის) ხუთშაბათს არ შეიძლება გახსნილება. VI 29. ლაოდ. 50. თუ მოღვაწე ხორციელი გაჭირვების გარეშე მარხვას გაიხსნილებს, შეჩვენებულ იყოს. ღანგრ. 19. მორწმუნეებმა უნდა შეწყვიტონ მარხვა დიდი შაბათის შუაღამის საათებში. VI 89. დიონისე ალექსანდრიელი 11. ფიზიკურად დაუძლურებულნი თავისუფლდებიან მარხვისაგან ოთხშაბათ-პარასკევს და დიდმარხვაში, აღდგომის წინ შვიდეულშიც (კვირაშიც) კი. მოც. 69. და შეუძლიათ მარხვის გახსნა და ღვინისა და ზეთის მიღება. ტიმოთე ალექსანდრიელი 8, 10. ასევე მშობიარე ქალი აღდგომის წინა დიდ შვიდეულში თავისუფლდება მარხვისაგან. ტიმოთე ალექსანდრიელი 8.

დინება თესლისა ღამით უნებლიე

არ არის ცოდვა, ათანასე ალექსანდრიელის ეპისტოლე ამონისადმი. დიონისე ალექსანდრიელი 4. ტიმოთე ალექსანდრიელი 12.

დიონისე (ელინთა ღმერთი) VI 62.

დიონისე ალექსანდრიელი ეპისკოპოსი

წმინდა მამა, მისი კანონები მიღებულია საეკლესიო კანონად. VI 2.

დიოსკორე (მწვ.) VI 1, 95

დოგმატი

საეკლესიო დოგმატები, დაწერილნი და დაუწერელნი წესნი. ბასილი დიდი ამფილოქესადმი, 27-ე თავიდან სულიწმიდის შესახებ.

დონატისტელნი

მათ მოსაქევად მიღებული ზომები. კართ. 68, 69, 91. დონატისტელთა შემოერთების წესი. კართ. 92. დონატისტელთა მიერ მონათლულთა და დონატისტელთა ეპარქიების შესახებ, რომლებიც მოიქცნენ მართლმადიდებლობაზე. კართ. 47, 57, 99.

დუქანი, ფარდული.

მღვდელმსახური, კლერიკოსი და ბერი არ უნდა შევიდეს დუქანში განყენების (უზიარებლობის) შიშით. მოც. 54. მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, ღამის გასათევად და გზაში დასასვენებლად. კართ. 40. მით უმეტეს, არ შეიძლება დუქნის ფლობა. VI 9. არავინ არ უნდა ჩადგას დუქანი წმინდა გალავნის შიგნით. VI 76.

დღე უფლისა იხ. კვირა დღე.

ებრაელი

ებრაელებს, რომლებიც მოჩვენებით ხდებიან ქრისტიანები, ეკლესიაში არ მივიღებთ, მათ შვილებს არ ვნათლავთ. მათ არა აქვთ უფლება, იყიდონ ან

შეიძინონ მონა ქრისტიანი. უნდა მივიღოთ მხოლოდ გულწრფელად მოქცეული ებრაელები, რომლებიც საზეიმოდ საჯაროდ უარყოფენ ებრაულ ჩვეულებებსა და საქმეებს. VII 8.

ეგზარხოსი

პირველი საყდრის ეპისკოპოსს არ უნდა უწოდონ ეგზარხოსი, მღვდელმთავართა უხუცესი, არამედ მხოლოდ პირველი საყდრის ეპისკოპოსი. კართ 39.

ევაგრე

კვიპრელი ეპისკოპოსი. III 8.

ევაგრე (მწვ.) VI 1.

ევდოქსიანები (მწვ.) II 1.

ევლოგია მოც. 65, 70. ლაოდ. 14.

ევნომიანები, ევნომიანოსნი (მწვ.) შდრ. უმსგავსონი, არიანელნი. II 1, 7. VI 95. ეპისტოლე მარტვირი ანტიოქელისადმი.

ევსტათი პამფილიის ეპისკოპოსი

წერილობითი უარი თქვა თავის ეპარქიაზე. როგორ მოექცა მას კრება? III მსოფლიო ეპისტოლე პამფილიის მიტროპოლიტ ევსტათის შესახებ.

ევტიქი (მწვ.) VI 1.

ევტიქიანე (მწვ.) სარდ. 18, 19.

ევქარისტია იხ. ზიარება, შესაწირავი.

ეზოთმოძღვარი იხ. ეკონომოსი.

ევდიკი, ვექილი, დამცველი. კართ. 75, 97.

ევდერი იხ. ეკლესია სახლისა.

ეკვიტი

იპონიის დამხოზილი ეპისკოპოსი. კართ. 65.

ეკლესია იხ. ტამარი ღვთისა.

ეკლესია დაქვრივებული

იხ. შემოსავალი დაქვრივებული ეკლესიისა.

ეკლესია, ეპარქია, სამწყსო, მრევლი

ეკლესია არ შეიძლება მემკვიდრეობით გადაეცეს ეპისკოპოსის ან მღვდლის შთამომავლებს. მოც. 76. ეკლესია არ შეიძლება დიდხანს იყოს დაქვრივებული და მღვდელმთავრის გარეშე. III მსოფლიო კრების

ეპისტოლე პამფილიის კრებისადმი. კართ 78. ახალი ქალაქის შექმნის შემთხვევაში საეკლესიო საქმეები უნდა განაგონ სამოქალაქო და საერო განწყობათა მიხედვით. VI 38. IV 17. ეკლესიათა უპირატესობანი უნდა დაიცვან და პატივი სცენ მათ. I 6, 7.

ეკლესია, მორწმუნეთა შესაკრებელი

ეკლესიამ უნდა დაიცვას ყველაფერი, რაც მიღებულია საღვთო წერილისა და მოციქულთა გადმოცემებისაგან. დანგრ. 21. ეკლესიასთან შერიგების სხვადასხვა გზები სხვა სარწმუნოების მქონეთათვის. I 19. II 7. VI 95. ლაოდ. 7, 8. ბასილი დიდი 1, 47.

ეკლესია სახლისა

მღვდელმსახურებს ეპისკოპოსის ნებართვით შეუძლიათ ღვთისმსახურება და მონათვლა სალოცავ ტაძარში, რომელიც მოთავსებულია სახლში VI 31. ორგზ. 12. ვინც არ დადის ეკლესიაში. იხ. შეკრება საეკლესიო.

ეკლესიის მოურნე იხ. აღმასრულებელი

ეკლესიობა იხ. კიბეშესაკრებლობა

ეკონომოსი (მნე)

ეკონომოსი სამღვდელმთავრო სახლში განაგებს. საეკლესიო ქონებას ეპისკოპოსის ნებართვით. IV 26. ეკონომოსი უნდა ჰყავდეს ყველა ეპისკოპოსს. IV 26. VII 11. თეოფილე ალექსანდრიელი 10. დაქვრივებული საეპისკოპოსო ეკლესიის შემოსავალს განაგებს ეკონომოსი. IV 25.

ელია (ელია კაპიტოლინა, ქალაქი, რომელიც II საუკ. იერუსალიმის ნანგრევებზე ააშენეს რომაელებმა). იხ. იერუსალიმი I, 7.

ემბაზი, საბანელი, სანათლავი. იხ. ნათლისღება, ნათლისცემა.

ენკრატიტები (განხეთქილების მოქმედნი)

მათი ეკლესიასთან შეერთების წესი, ბასილი დიდი 1, 47.

ეპარქია იხ. ეპისკოპოსი

ეპისკოპოსი

1. ეპისკოპოსის არჩევა და ხელდასხმა. ეპისკოპოსი უნდა დაადგინოს ორმა ან სამმა ეპისკოპოსმა. მოც. 1. კართ. 49. თუმცა ყველაზე სასურველია, თუ ეპისკოპოსს დაადგენს სამთავროს (ეპარქიის) ყველა ეპისკოპოსი. I 4. VII 3, ან კრება. ანტ. 19, 23. ლაოდ. 12. თუ ყველა შეიკრიბება არჩევისათვის, უკეთესია. ანტ. 19. თუ ეს შეუძლებელია, სამი მაინც უნდა შეიკრიბოს, ხოლო ვინც ვერ ესწრება, თავისი წერილობითი თანხმობა უნდა გამოგზავნოს. I 4. VII 3. ანტ. 19. არჩევა უნდა მოხდეს მიტროპოლიტის თანდასწრებით, რომელიც თავისი სამთავროს (ეპარქიის) სხვა ეპისკოპოსებს მოუწოდებს კრებაზე წერილობით. ანტ. 19. ამტკიცებს არჩევას. I 4. და მაშინ სრულდება ხელდასხმა. I 4. IV 28. VII 3. კართ. 13. თუ დადგენა მოხდა ამ წესის საწინააღმდეგოს, მას არ ექნება ძალა ანტ. 19. მიტროპოლიტის თანხმობის გარეშე დადგენილი არ შეიძლება ეპისკოპოსი იყოს. I 6. თუ ეპისკოპოსს მოუხდება დაყოვნება, როგორ უნდა მოვიქცეთ? სარდ. 6. აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში უნდა გაიმარჯვოს ამრჩევთა უმრავლესობის აზრმა. I 6. ანტ. 19. კართ. 13. ამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება. კართ. 50. ეპისკოპოსის არჩევას საერო მთავრების მიერ არა აქვს ძალა. VII 3. ის, ვინც გამოიყენებს საერო მთავრებს, რომ მათი დახმარებით მიიღოს საეპისკოპოსო ხელისუფლება ეკლესიაში,

განკვეთილი და განყენებული უნდა იყოს და აგრეთვე ყველა, ვისაც ერთობა აქვს მასთან. მოც. 30. ასევე ძალა არა აქვს ეპისკოპოსის მიერ თავის ადგილას, ეპისკოპოსის ხარისხში, ვინმეს დადგენას, ვინც თვითონ სურს. მოც. 76. ანტ. 23. ხელდასხმა არ უნდა გადაიდოს სამ თვეზე მეტი დროით, უკიდურესი გაჭირვების გარეშე. IV 25. კართ 78. არ შეიძლება დადგენილ იყოს ეპისკოპოსი იმ ეკლესიაში, რომლის ეპისკოპოსიც ცოცხალია. ორგზ. 16. ასევე არ შეიძლება მისი დადგენა სოფელში ან მცირე ქალაქში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ ქალაქში ძალიან გაიზრდება მოსახლეობა. ეპისკოპოსი დადგენილ უნდა იყოს იმ ქალაქებში, სადაც ადრე იყვნენ ეპისკოპოსები. სარდ 6. იმ ქალაქში, რომელშიაც არ ყოფილა ეპისკოპოსი, არ უნდა დადგინდეს იგი, თუ არ იქნება ადგილობრივი ეპისკოპოსის თანხმობა. კართ 53, 56, 98. ხელდამსხმელნი უნდა შთააგონებდნენ ეპისკოპოსად ხელდასხმულებს კრებების დადგენილებებს, რათა ისინი არ მოიქცნენ კრების დადგენილებების საწინააღმდეგოდ. კართ. 18.

2. ეპისკოპოსთა თვისებები. ეპისკოპოსად დადგენილი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც სარწმუნოებისა და ცხოვრების მხრივ გამოცდილი იქნება ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ლაოდ. 12. VII 2. მან ყველა თავისი ოჯახის წევრი უნდა აქციოს მართლმადიდებელ ქრისტიანად. კართ. 36. წარმართობიდან ახლად მოსული ან განხრწნილი ცხოვრებიდან მოქცეული მაშინვე არ უნდა დადგინდეს ეპისკოპოსად. მოც. 80. I 2. ერისკაცი ან მონაზონი შეიძლება ავიდეს ეპისკოპოსის სიმაღლეზე მხოლოდ დაბალ საეკლესიო ხარისხებში გამოცდის შემდეგ. სარდ 10. ორგზ. 7. უნებლიე მკვლევლობის ჩამდენი. გრიგოლ ნოსელი 4. ყრუ ან ბრმა არ შეიძლება ეპისკოპოსი იყოს. მოც. 78. მაგრამ თუ ვინმეს თვალთ აკლდეს და ფეხმტკივანი იყოს, ის შეიძლება გახდეს ეპისკოპოსი. მოც. 77. ეპისკოპოსი არ უნდა იყოს ქორწინებაში. VI 12.
3. ეპისკოპოსის ვალდებულებანი. ეპისკოპოსს ევალება საეკლესიო საქმეთა განგება. მოც. 81. იგი უნდა ახორციელებდეს სამღვდელმთავრო ზრუნვას სულიერი სიმტკიცით. III მსოფლიო კრების ეპისტოლე. ეპისკოპოსმა უნდა განაგოს თავისი ეპარქია წინდახედულად, დაადგინოს მღვდლები და დიაკვნები, შეამზადოს მირონი, აკურთხოს ქალწულები და განიხილოს ყველა საქმე განსჯით.

ანტ. 9. კართ 6. მან უნდა დააბრუნოს გზააბნეული ცხვარი და გველის ნაკბენს უმკურნალოს. VI 102. ხელდასხმულებს კლერიკოსად წინასწარ უნდა შთააგონონ კრებათა დადგენილებები. კართ. 18. ეპისკოპოსმა უნდა მიიღოს ცნობები საეკლესიო მსახურებზე და ჰქონდეს მათი სია იმის აღნიშვნით, თუ ვინ ვის მიერ არის დადგენილი და როგორ ცხოვრობს. ბასილი დიდი 89. მან ყოველდღე, განსაკუთრებით კი კვირა დღეებში უნდა ასწავლოს კლერიკოსებს და ერს კეთილმსახურება (მართლმორწმუნოება, ღვთისმოსაობა). მოც. 58. VI 19. საღვთო წერილისა და ღვთისმოსავ მამათა გადმოცემაზე დაყრდნობით. VI 19. ხოლო საღვთო წერილი უნდა განმარტონ ისე, როგორც გადმოგვცეს ეკლესიის მოძღვრებმა თავის ნაწერებში. VI 19. მან უზნეოს უნდა მისცეს რჩევა-დარიგება და შეგონება, ხანდახან საეკლესიო ეპიტიმია და არ უნდა მისდგეს მას ცემითა და ჯობით. ორგზ. 9. მოც. 27. უნდა აღამაღლოს ლოცვებში თავისი ეპარქიის ეპისკოპოსის ან მიტროპოლიტის სახელი. ორგზ. 14. ეპისკოპოსს ბრალად არ ეთვლება, თუ იგი უციდონრობით დაადგენს უღირს მღვდელს ან დიაკონს. თეოფილე ალექსანდრიელი 3, 5.

4. ეპისკოპოსის უფლებების შემოფარგვლა. ყოველი ეპარქია უნდა იცავდეს თავის კუთვნილ უფლებებს. ეპისკოპოსთაგან არავინ არ უნდა გაავრცელოს თავისი ძალაუფლება სხვა ეპარქიაზე. III 8. ანტ. 9. კართ. 53, 56. არ უნდა დამოძღვროს საჯაროდ ხალხი ქალაქში, რომელიც მას არ ეკუთვნის. VI 20. განსაკუთრებით ნუ დაამცირებს ადგილობრივ გამოუცდელ ეპისკოპოსს. სარდ. 11. თვითნებურად არ უნდა გადავიდეს თავისი ეპარქიიდან სხვაგან და არ უნდა აღასრულოს იქ ხელდასხმა, არც უნდა განაგოს საეკლესიო საქმეები, რომლებიც მას არ ეხება, თუ ამის შესახებ არ იქნება კრების დადგენილება. მოც. 14, ან ადგილობრივი ეპისკოპოსის თანხმობა. ანკ. 13. თვითნებურად გადასული უნდა დაბრუნდეს თავის ეკლესიაში, ხოლო მისი განკარგულებები ძალაში ვერ შევა. მოც. 14, 35. I 15. II 2. IV 5. ანტ. 13, 21, 22. სარდ. 1,2,3. კართ. 48. ეპისკოპოსმა არ უნდა დასტოვოს თავისი საყდარი და არ უნდა წავიდეს თავისი ეპარქიის სხვა ეკლესიაში. კართ. 71. არ უნდა მოინდომოს განსაზღვრებულზე მეტი დრო საკუთარ საქმეებს და არ უნდა მოაკლოს ზრუნვა თავის საყდარს. კართ. 71. არ უნდა წავიდეს თავისი ეპარქიიდან თავის სამფლობელოში (სახნავ-სათესი და სხვ.) სამ კვირაზე მეტი ხნით და

თუ წავა, ყოველ კვირა დღეს უნდა მივიდეს უახლოეს ეკლესიაში და აღასრულოს მსახურება, მაგრამ ხშირად არ უნდა იაროს ქალაქში, სადაც არის ადგილობრივი ეპისკოპოსი. სარდ. 12. თუ დააყოვნებს სხვაგან ექვს თვეზე მეტს საპატიო მიზეზის გარეშე, იგი დაკარგავს ეპარქიას, პატივს და ღირსებას. ორგზ. 16. ეპისკოპოსმა არ უნდა გადმოიბიროს კლერიკოსი, რომელიც ეკუთვნის სხვა ეპარქიას და არ უნდა აღასრულოს ხელდასხმა მისი ეპისკოპოსის თანხმობის გარეშე. თუ ასე მოიქცევა, მისი დადგინება ძალაში არ შევა. I 16. IV 20. კართ. 54,80,90. სარდ. 15. არ უნდა გააჩეროს თავისთან სხვა ეკლესიის კლერიკოსი. VI 18. არ უნდა მიიღოს სხვა ეპისკოპოსის ეკლესიის მიერ უზიარებელქმნილი ან განკვეთილი. მოც. 16. ანტ. 3. სარდ. 13. არ უნდა მიიღოს ვინმე სხვა მონასტრიდან და არ უნდა დაადგინოს იგი კლერიკოსად ან ილუმენად (წინამძღვარად). კართ. 80. უზიარებლობით არ უნდა დასაჯოს ვინმე მიკერძოებით. I 15. VII 4. არ უნდა აუკრძალოს ვისმეს მსახურება მიკერძოებით. VII 4. არ უნდა ჩაკეტოს ტაძარი მიკერძოებით. VII 4. არ უნდა მოითხოვოს თავისი ქვეშევრდომებისაგან ფული ან სხვა რამ. VII 4. არ უნდა ჩამოაქვეითოს კლერიკოსი ხარისხიდან მხოლოდ ეჭვით, მაზეზღარობისა და ავსიტყვაობის შედეგად. თეოფილე ალექსანდრიელი 5. არ უნდა აღუკვეთოს ზიარება კლერიკოსს, რომელმან მხოლოდ მასთან აღსარებაში თქვა რაიმე ცოდვა, ხოლო სასამართლოზე კი არ აღიარებს. კართ. 132. არ უნდა გაყოს სამთავრო ორ ნაწილად საერო ხელისუფალთა დახმარებით, რათა მიიღოს მიტროპოლიტის სახელი. IV 12. არ უნდა დაუგდოს ყური ამო ძვირის თქმასა და ჭორიკნობას. თეოფილე ალექსანდრიელი 6. არ უნდა დაადგინოს თავის ადგილას ნათესავი ან სხვა ვინმე მიკერძოებით. მოც. 76. ანტ. 23. არ უნდა წავიდეს ზღვის გადაღმა ანუ რომში პირველმოსაყდრე ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე. კართ. 23.

5. სხვადასხვა შემთხვევები. ეპისკოპოსი, რომელმაც თავისი ეპარქია არ მიიღო არა თავისი სურვილით, არამედ სხვა მიზეზის გამო უნდა დარჩეს ეპისკოპოსად, მაგრამ არ უნდა ჩაერიოს იმ ეკლესიის საქმეებში, რომელშიც არის და უნდა დაელოდოს სამთავროს სრული კრების გადაწყვეტილებას. მოც. 36. ანტ. 18. ეპისკოპოსები, რომლებმაც ბარბაროსთა შემოსევების გამო არ მიიღეს თავისი ეპარქიები, სარგებლობენ მათზე თავისი უფლებებით. VI 37. თუ ეპისკოპოსი,

რომელიც თავის ეპარქიაში დევნას განიცდის, ან უსამართლოდ არის განკვეთილი, წავა სხვა ქალაქში, კაცთმოყვარებით უნდა მიიღონ. სარდ. 17. ეპისკოპოსს, რომელიც სტოვებს ეკლესიას სწეულების მიზეზით, უნდა დარჩეს ეპისკოპოსის სახელი და პატივი, მაგრამ მან აღარ უნდა აღასრულოს ხელდასხმა, არ უნდა დაიკავოს ეკლესია, და თვითნებურად არ უნდა შეასრულოს ღვთისმსახურება, არამედ მხოლოდ ადგილობრივი ეპისკოპოსის ნებართვით. III მსოფლიო კრების ეპისტოლე პამფილიის კრებისადმი. ეპისკოპოსი, რომელიც არ მიიღებს მეურვეობას იმ ეკლესიაზე, რომელშიც არის დადგენილი, უზიარებელი უნდა იყოს, სანამ არ მიიღებს მას, ან სანამ სამთავროს კრება არ გამოიტანს გადაწყვეტილებას მის შესახებ. მოც. 36. ანტ. 17. ეპისკოპოსი, რომელიც გადაყვანილია მაღალი საყდრიდან დაბალზე, ინარჩუნებს ადრე დაკავებული საყდრის უპირატესობას. VI 39. ხელდასხმის დროის მიხედვით უმცროსი ეპისკოპოსები უპირატესობას უნდა მიაგებდნენ უფროს ეპისკოპოსებს. კართ. 86. მცირე ქალაქების ეპისკოპოსები დამოკიდებულნი უნდა იყვნენ დიდი ქალაქის ეპისკოპოსებზე. ლაოდ. 57. ეპისკოპოსმა, რომელსაც ჰყავს კლერიკოსთა საკმაო რაოდენობა, უნდა მისცეს ისინი ეპისკოპოსს, რომელიც განიცდის სასულიერო პირთა ნაკლებობას. კართ. 55. მართვა-განგებაზე წერილობითი უარის თქმა, რომელიც ძალდატანებით, შიშისა და მუქარის შედეგად გამოსძალეს ეპისკოპოსს, არ არის ძალაში. კირილე ალექსანდრიელი 3. ეპისკოპოსი, რომელიც განუდგა მიტროპოლიტს ან პატრიარქს მათი ერესის გამო, რაც მამათა მიერ დაგმობილია, უდანაშაულოა. ორგზ. 15. თუ ეპისკოპოსს რაიმე მიზეზი აჰყრის ეპისკოპოსობის ხარისხს და მას აეკრძალება საეპისკოპოსო მოქმედება, მან არც მღვდლის ადგილი არ უნდა დაიკავოს. IV 29. მაგრამ თუ იგი უდანაშაულოდ არის გადაყენებული ან განკვეთილი ერეტიკოსების მიერ, აღდგენილ უნდა იყოს. III 3. IV 29. ეპისკოპოსს, რომელიც ჩამოქვეითდება სამონაზვნო ცხოვრებაზე, არ უნდა ჰქონდეს სამღვდელმთავრო მსახურების უფლება. სოფ. 2.

6. ეპისკოპოსის ქონება. ეპისკოპოსის საკუთარი ქონება ცნობილი უნდა იყოს მისი მღვდლებისა და დიაკვნებისათვის. მოც. 40. ანტ. 24. კლერიკოსებმა არ უნდა დაიტაცონ იგი ეპისკოპოსის სიკვდილის შემდეგ. IV 22. არც მიტროპოლიტს აქვს ამის უფლება. VI 35,

განსვენებულს კიდევ რომ არ ჰქონდეს წარდგენილი საეკლესიო გასავლის ანგარიშგება. კირილე ალესანდრიელი 2. ეპისკოპოსს უფლება აქვს, თავისი ქონება სიკვდილის წინ მისცეს, ვისაც უნდა. მოც. 40. ანტ. 24. მან მემკვიდრედ არ უნდა გაიხადოს არამართლმადიდებელი, მწვალებელი და წარმართი. კართ. 22, 81.

ეპისტოლე

სოფლის მღვდლები არ გზავნიან კანონიკურ ეპისტოლეებს. ისინი ეპისტოლეს გზავნიან მხოლოდ მეზობელ ეპისკოპოსებთან. ანტ. 8. მიტროპოლიტმა უნდა მოიწვიოს სამთავროს ეპისკოპოსები კრებაზე ეპისტოლეთა მეშვეობით. ანტ. 19.

ეპისტოლე (წიგნი) განსატევებელი

ეპისკოპოსებს, რომლებიც აფრიკიდან რომში მიდიან, უნდა ჰქონდეთ განსატევებელი წიგნი თავისი პირველმოსაყდრე ეპისკოპოსისაგან. კართ. 23. მას, ვისაც სურს მეფესთან წასვლა რაიმე მიზეზის გამო, უნდა ჰქონდეს განსატევებელი წიგნი ეპისკოპოსისაგან, რომელიც ადასტურებს, რომ მისი მგზავრობა ნებადართულია. კართ. 106.

ეპისტოლე (წიგნი) დასამტკიცებელი (საწამებელი)

უცხო ეპისკოპოსი, მღვდელი, დიაკონი არ უნდა მიიღონ დასამტკიცებელი ეპისტოლის (სარეკომენდაციო მოწმობის) გარეშე და ეპისტოლითაც ერთობაში უნდა მიიღონ მხოლოდ ღვთისმოსაობის მქადაგებელნი. მოც. 33. უცხო კლერიკოსებს არ უნდა მიეცეთ მსახურების უფლება დასამტკიცებელი ეპისტოლის გარეშე. IV 13. თუ უზიარებელქმნილი კლერიკოსი ან ერისკაცი მიღებულ იქნება სხვა ქალაქში დასამტკიცებელი ეპისტოლის გარეშე, უზიარებელი უნდა იყოს მიმღებელიცა და მიღებულებიც. მოც. 12. დასამტკიცებელი ეპისტოლე ეძლევათ პირებს, რომლებიც ეჭვის ქვეშ არიან. IV 11. გლახაკებსა და დავრდომილებს ეძლევათ არა დასამტკიცებელი ეპისტოლე, არამედ დასამშვიდებელი. IV 11.

ეპისტოლე (წერილი) დასამშვიდებელი

მოგზაურთაგან არავინ არ უნდა მიიღონ დასამშვიდებელი ეპისტოლის (წერილობითი მოწმობა მგზავრობის დროს) გარეშე. ანტ. 7. უმწიკვლო ქორეპისკოპოსებს შეუძლიათ დასამშვიდებელი ეპისტოლის გაცემა. ანტ. 8. გლახაკებსა და უქონელთ სამგზავროდ მათი სიღარიბის შესახებ ეძლევათ დასამშვიდებელი წერილობითი მოწმობა. IV 11.

ეპისტოლე (წერილი) კანონიერი, კანონიკური

სასულიერო პირმა არ უნდა იმოგზაუროს თავისი ეპისკოპოსის მიერ მოცემული კანონიერი წერილის გარეშე. ლაოდ. 41. სოფლის მღვდლები კანონიკურ ეპისტოლეს არ გასცემენ. ანტ. 8.

ეპისტოლეები კლიმენტი რომის ეპისკოპოსისა იხ. კლიმენტი

ეპისტოლე საკრებო

საკრებო ეპისტოლეები, რომლებიც შეიცავენ კრების განსაზღვრებებს, უნდა დაწეროს ყველას სახელით და ხელი მოაწეროს მათ კრების თავმჯდომარე ეპისკოპოსმა. კართ. 85.

ეპისტოლე

ეპისკოპოსმა. კართ 85.

ეპისტოლე ხელდამსხმელისაგან

ხელდასხმულებმა ხელდამსხმელთაგან უნდა მიიღონ ეპისტოლეები მათი ხელმოწერით, ხელდასხმის წლისა და დღის აღნიშვნით. კართ 89.

ეპიტიმია, განკანონება, სასჯელი საეკლესიო

1. ეპიტიმის განსაზღვრება და წესები მისი დადების დროს. ეპიტიმია არის სასჯელი, რომელიც განსაზღვრულია საეკლესიო კანონით. ორგზ. 10, ან სულიერი მკურნალობა, სენის შესაბამისი. VI 102. ეპიტიმით ცოდვილი არ უნდა ჩააგდონ სასოწარკვეთილებაში. VI 102. იმას, ვისაც ღვთისაგან მიცემული აქვს შეკვრისა (დასჯისა) და გახსნის (სასჯელისაგან განთავისუფლების) უფლება, მართებს, განიხილოს ცოდვის ხარისხი, ცოდვილის განწყობა და მისი სიცოცხლე ცოდვამდე და ცოდვის შემდეგ. VI 102. I. 2. ანკ. 5 ბასილი დიდი 3. კართ. 52. მხოლოდ დრო არ არის საკმარისი განკურნებისათვის, არამედ მთავარია ნება და არჩევანი მონაწილისა. გრიგოლ ნოსელი 8. თუ მონაწილი დიდ მისწრაფებას გამოიჩენს გამოსწორებისადმი, მას შეუმოკლდება განკანონების (ეპიტიმის) ვადა. I 12. VI 102. ბასილი დიდი 74. გრიგოლ ნოსელი 3, 4. ვინც თვითონ აღიარებს ცოდვას, მას დაეკისრება ხანმოკლე ეპიტიმია, ხოლო ის, ვისაც ამხილებენ ცოდვაში, ხანგრძლივ ეპიტიმას იმსახურებს. გრიგოლ ნოსელი 3, 4. ვინც არ შეუდგება სრულყოფილ სინანულს, მან სრულად უნდა შეასრულოს კანონით დაწესებული დრო. I 12. VI 102. ბასილი დიდი 3. ერთი დანაშაულისათვის არ შეიძლება ორი სასჯელის დადება. მოც. 25.
2. ეპიტიმის ხასიათი. ეპიტიმები სხვადასხვანაირია, ცოდვისა და დანაშაულთა განსხვავების მიხედვით. ეპიტიმები სარწმუნოების უარყოფელთათვის. იხ. სარწმუნოების უარყოფა. ის, ვინც ცოდვის ჩადენაში ვინმეს ხელს უწყობს რჩევით ან დახმარებით, და არ აღიარებს ამას, არამედ სხვა ამხილებს, მასაც დაედება ეპიტიმია იმდენივე ხნით, რამდენ ხანსაც განკანონებულ იქნება თვით ცოდვის ჩამდენი. ბასილი დიდი 71.
3. ეპიტიმის შეწყვეტა. ბოროტ საქმეთაგან მოქცეულნი უნდა მიიღონ ზიარებაზე სინანულის ვადის გასვლის შემდეგ. ლაოდ. 2. მონაწილს სასჯელს ახსნის ეპისკოპოსი. კართ. 43. ხოლო გაჭირვების დროს მღვდელი ეპისკოპოსის კურთხევით. კართ. 7, 43. და ისიც, არა

საჯაროდ, არა ჟამისწირვის დროს. კართ. 6. მონანულს, თუ მისი დანაშაული აშკარა იყო, ხელი უნდა დაედოს ტაძრის კარიბჭეში (სტოაში). კართ. 43. განყენებული, რომელიც სასოწარკვეთის გამო ზიარების ღირსი გახდება, განკურნების შემთხვევაში ისევ უნდა დარჩეს სინანულის იმავე საფეხურზე, რომელზეც იყო. I 13. გრიგოლ ნოსელი 5.

ერესი იხ. ერეტიკოსი

ერეტიკოსი, მწვალებელი

რას წარმოადგენს ერეტიკოსი? ბასილი დიდი 1. ერესი იმსახურებს შეჩვენებას. II 1. არ შეიძლება ერეტიკოსებთან ერთად ლოცვა და მათ შესაკრებელში შესვლა სალოცავად. მოც. 45, 65. ლაოდ. 33. მწვალებლებს არა აქვთ ღვთისმსახურებაზე და მორწმუნეთა ლოცვაზე დასწრების ნება. ტიმოთე ალექსანდრიელი 9, არც ღვთის სახლში შესვლის ნება, თუ ისინი ისევ მტკიცედ არიან ერესის მიმდევრები. ლაოდ. 6. არ შეიძლება მათგან მსხვერპლის მიღება. მოც. 46, არცა მათთან დღესასწაულობა. ლაოდ. 37. არ შეიძლება სიარული ერეტიკოსთა სასაფლაოზე, ან მოწამეთა ადგილებად წოდებულ საწამებლებში, რომლებიც განკუთვნილია სალოცავად და განსაკურნებლად. ლაოდ. 9. არ შეიძლება მათი მიღება მოწმეებად ეპისკოპოსისა და კლერიკოსთა წინააღმდეგ. მოც. 75. II 6. არ შეიძლება მათთან ქორწინებით შეუღლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი დასდებენ პირობას, რომ გადავლენ მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე. IV 14. VI 72. ლაოდ. 10, 31. კართ. 21. ერეტიკოსთა მიერ ხელდასხმული არ ითვლება ნამდვილ ხელდასხმულად. მოც. 68. ერეტიკოსებს უნდა მოვექცეთ მშვიდად და ლმობიერად, რათა მივიზიდოთ ისინი სინანულზე. კართ. 66. თუ მწვალებელი სიკვდილის წინ მოინანიებს, იგი მიღებული იქნება, ოღონდ გამოცდის შემდეგ. ბასილი დიდი 5. მწვალებელთა ურჩობის წინააღმდეგ დახმარება უნდა გამოვიტხოვოთ მეფეებისაგან. კართ. 93.

ერთობა, ზიარება

ეკლესიასთან და მორწმუნეებთან ერთობა არის არასრული - მხოლოდ ლოცვებში, და სრული - წმინდა საიდუმლოთა ზიარებაში. ანკ. 5, 6, 7, 8, 9.

ერისკაცი

ერისკაცს არა აქვს უფლება: 1) ერის დამოძღვრისა, ქადაგებისა და თავის თავზე მოძღვრის პატივის აღებისა. VI 64. 2) საკურთხეველში შესვლისა, სამეფო პირთა გარდა. VI 69. 3) თავისი თავისთვის საღვთო საიდუმლოს მიცემისა მღვდელმსახურის იქ ყოფნის დროს. VI 58. ერისკაცი, რომელიც არ ემორჩილება თავის ეპისკოპოსს, უზიარებლობით უნდა დაისაჯოს. IV 8. ერისკაცი, რომელიც არად ჩააგდებს ღვთისა და მეფის ბრძანებულებას და გაბედავს ეპისკოპოსის ცემასა და საპყრობილეში ჩაგდებას, ანათემის (შეჩვენების) ღირსია. სოფ. 3.

ემამკეული

მისი მიღება არ შეიძლება კლერიკოსად, არც ლოცვაზე მორწმუნეებთან ერთად. მოც. 79. ბოროტი სულისგან გაუწმენდელი ადამიანი შეიძლება მოინათლოს მხოლოდ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში. ტიმოთე ალექსანდრიელი 2. თუ მორწმუნე ემამკეული არ არღვევს საიდუმლოს და არ გმობს მას, იგი დროდადრო შეიძლება ეზიაროს. ტიმოთე ალექსანდრიელი 3. ის, ვინც იჩემებს ემამკეულობას, უნდა დაისაჯოს. VI 60.

ვალენტინიანელი (მწვ.) VI 95.

ვაჟთა გახრწნა იხ. მამათა აღრევა

ვარსკვლავთმრიცხველი, ასტროლოგი იხ. გრძნეულობა, მისნობა

ვახში, სარგებელი, პროცენტი

კლერიკოსმა არ უნდა აიღოს ვახში მის მიერ გაცემული სესხიდან. მოც. 44. I 17. VI 10. ლაოდ. 4. კართ. 16. თუ დამნაშავე არ შეწყვეტს ასეთ მოქმედებას, იგი განკვეთილი იქნება. მოც. 44. I 17. VI. 10.

ვერცხლი

ის, ვინც გაიღო ვერცხლი ტანჯვა-წამებისაგან თავის გადასარჩენად, არ არის დამნაშავე. პეტრე ალექსანდრიელი 12.

ვერცხლისმოყვარეობა იხ. სიმონია

ვიპერვერეტო

ოქტომბრის თვის სახელწოდება სირიულ-მაკედონური კალენდრით. ანტ. 20.

ვოტა

პანისადმი მიძღვნილი ელინური დღესასწაული. VI 62.

ვრუმალი

დიონისესადმი მიძღვნილი ელინური დღესასწაული. VI 62.

ზედამდგომელი იხ. ეგზარქოსი

ზეთი

ეკლესიიდან ზეთის მიტაცება იხ. სიწმინდეთმკრეხელობა

ზიარება იხ. ერთობა

ზიარება, ევქარისტია

თუ მღვდელმსახური შესაწირავის შეწირვის დროს არ ეზიარება სათანადო მიზეზის გარეშე, მან თავი უნდა დაანებოს მღვდლობას. მოც. 8. მორწმუნე, რომელიც ეკლესიაში ლოცვის დასრულებას და ზიარებას არ ელოდება, უზიარებლობით ისჯება. მოც. 9. ანტ. 2. ვისაც სურს ზიარების მიღება, უნდა მივიდეს, ჯვრის სახედ დაიწყოს ხელები და არ უნდა ჰქონდეს გაწვდილი ხელის ნაცვლად ოქროს ან სხვა მასალისგან შემზადებული ჭურჭელი საღვთო ნიჭის მისაღებად. VI 101. ყველამ, ვინც მიდის ამ ქვეყნიდან, უნდა მიიღოს ზიარება. I 13. კართ. 7. გრიგოლ ნოსელი I, 4. ქმარი და ცოლი, რომელთაც ღამით ერთად ეძინათ, ნუ მიიღებენ ზიარებას. ტიმოთე ალექსანდრიელი 5. ქალი, რომელსაც დედათა წესი აქვს, არ უნდა ეზიაროს. ტიმოთე ალექსანდრიელი 7. დიონისე ალექსანდრიელი 2. თუ ეშმაკისაგან შეპყრობილი მორწმუნე არ აგინებს საიდუმლოს, იგი შეიძლება დროგამოშვებით ეზიაროს. ტიმოთე ალექსანდრიელი 3. თუ სიზმარში შემცოდეს სურს ზიარების მიღება და თუ მას სატანა გამოსცდის იმ მიზნით, რომ ჩამოაშოროს ზიარებას, იგი უნდა ეზიაროს, დიონისე ალექსანდრიელი 4. ტიმოთე ალექსანდრიელი 12. ის, ვინც ფიქრობს, რომ არ შეიძლება ზიარების მიღება დაქორწინებული მღვდლისაგან, შეჩვენებული უნდა იყოს. დანგრ. 4. ეპიტიმის ქვეშ მყოფთა ზიარების შესახებ. იხ. ეპიტიმია. გარდაცვლილის ზიარება არ შეიძლება. VI 83.

ზინონი

კვიპრელი ეპისკოპოსი. III 8.

თავისმკვლეელი

შესაწირავის შეწირვა თავისმკვლელისათვის არ შეიძლება. ტიმოთე ალექსანდრიელი 14.

თავმდები

კლერიკოსს არა აქვს უფლება თავდებად დაუდგეს ვისმე. მოც. 20.

თავშეკავება, კრძალულება

ეპისკოპოსები, მღვდლები და დიაკვნები უნდა იცავდნენ თავშეკავებას ყველაფერში. კართ. 3. მაგრამ პატივისცემის ღირსია თავშეკავება, აღსრულებული პატიოსნებითა და ღვთისმოსაობით (მართლმორწმუნეობით). ღანგრ. 21.

თამაში

ერისკაცთა და კლერიკოსთაგან ნურავინ ნუ მიეცემა თავის შესაქცევ თამაშს. IV 50. ეპისკოპოსი, მღვდელი და დიაკონი არ უნდა შეექცენ თამაშს. მოც. 42.

იხ. სანახაობა

თანამდგომარეობა, თანამდგომარე-ყოფა

მონანულთა ეპიტიმის მეოთხე საფეხური, როდესაც მონანული დგას მორწმუნეებთან და არ გამოდის ეკლესიიდან კათაკმეველებთან ერთად, მაგრამ იგი არ ეზიარება წმიდა საიდუმლოს. გრიგოლ ნეოკესარიელის ეპისტოლე.

თანამდებობა იხ. პატივი

თანხმობა

არ შეიძლება თანხმობისა ან ხელისმოწერითი მტკიცების გადათქმა. კართ. 13.

თეოდორე მომფსვესტელი

ნესტორის მოძღვარი, განკვეთილი. VI 1. აღაპის და ვაღადის მოსახსენებელი. III 6.

თეოდორე ჰამფილიის ეპისკოპოსი

III მსოფლიო კრ. ეპისტოლე

თეოდორიტე კიპროსის ეპისკოპოსი

VI 1.

თეოფილე არქიეპისკოპოსი ალექსანდრიისა.

მისი კანონები მიღებულია ეკლესიის კანონად. VI 2.

თვის დასაწყისი

უნდა აიკრძალოს კოცონის დანთება თვის დასაწყისში. VI 65.

თილისმა იხ. გრძნეულობა, მისნობა

თილისმის მკეთებელი იხ. გრძნეულობა, მისნობა

თმები

მორწმუნეებმა არ უნდა დაიწნან თმები ხელოვნური წნულებით. VI 96. ქალი, რომელიც შეიკრეჭს თმას ცრუ მოღვაწეობის მიზნით, შეჩვენებულ იყოს. დანგრ. 17. განკვეთილს, რომელიც მოინანიებს თავის ცოდვას, უფლება აქვს გაიკრიჭოს თმა, როგორც სამღვდელონი იკრეჭენ. VI 21.

თრაკია თრაკიის ეპისკოპოსები უნდა განაგებდნენ მხოლოდ თრაკიის საქმეებს. II 2.

იერუსალიმის ეპისკოპოსი

მას აქვს მიტროპოლიის ეპისკოპოსის პატივი. I 7. მისი საყდარი არის მებუთე რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიისა და ანტიოქიის შემდეგ. VI 36. (ქართულ თარგმანში გამოტოვებულია ანტიოქია, ე.ი. იერუსალიმის საყდარი გამოდის მეოთხე)

იესო ქრისტე

იხ. შესავალში ნიკეისა და კონსტანტინოპოლის სარწმუნოების სიმბოლო, IV და VI მსოფლიო კრებების დოგმატები.

იესოს წყლულები

პეტრე ალექსანდრიელი 1.

ივა ედესელი (მწვ.) VI 1.

იოანე ანტიოქიელი (მწვ.) III 1.

იოანე VIII რომის პაპი. სოფ. 1.

იპოდიაკონი იხ. კერძოდიაკონი

იპოდრომი იხ. სანახაობანი

იპონიის (იპონის) კრება

კართ. 34,52, 73, 78.

იუდეველი იხ. ებრაელი

ილუმენი იხ. წინამძღვარი

იმულება იხ. სიძვა

კათაკმეველი (მოსანათლავად გამზადებული)

კათაკმეველს სჭირდება დრო. I 2. იმისათვის, რომ შეისწავლოს სარწმუნოება. ლაოდ. 46. კათაკმეველთა შესახებ უნდა შესრულდეს ლოცვა ლიტურგიაზე. ლაოდ. 19. კათაკმეველი არ ისჯება იმისათვის, რაც ჩაუდენია კათაკმეველობამდე. ბასილი დიდი 20, მაგრამ თუ კათაკმეველი შესცოდავს, ის ეპიტიმით ისჯება. I 14. ნეოკ. 5. თუ კათაკმეველი ყრმა, ან არასრულწლოვანი უცოდინარობით ეზიარება წმინდა საიდუმლოს, იგი უნდა მოინათლოს. ტიმოთე ალექსანდრიელი 1. კათაკმეველი, რომელიც სწეულების დროს გონს დაკარგავს, შეიძლება მოინათლოს, თუ ბოროტი

სულით არ არის შეპყრობილი. ტიმოთე ალექსანდრიელი 4. ქალი არ შეიძლება მოინათლოს სანამ არ განიწმინდება. ტიმოთე ალექსანდრიელი 6. კათაკმეველმა არ შეიძლება ჭამოს მსხვერპლის შესაწირავისაგან. თეოფილე ალექსანდრიელი 8. ცოდვის გამო ეპიტიმით დასჯილი კათაკმეველი სიკვდილის შემთხვევაში უნდა მოინათლოს და წმინდა საიდუმლოს ეზიაროს. კირილე ალექსანდრიელი 4.

კათარები იხ. ნავატიანები

კალანდა VI 62.

კანონი, განკანონება იხ. ეპიტიმია

კანონი, დადგენილება

წმინდა მოციქულთა, ექვსი მსოფლიო კრებისა, ადგილობრივი კრებებისა და წმინდა მამათა გადმოცემულ კანონებს უცვლელად და შეურყევლად მივიღებთ. VII 1. არავის არა აქვს მათი შეცვლისა, მოკლებისა და ყალბი კანონების მიღების უფლება. VI 2.

კანონიკური წიგნები იხ. წიგნი.

კარი

დაბალი ხარისხის საეკლესიო მსახურნი არ უნდა სტოვებდნენ ეკლესიის კარებს. ლაოდ. 22, 43.

კაცისკვლა იხ. მკვლევლობა

კეთროვანი კეთროვნებმა უნდა ილოცონ ემმაკეულებთან ერთად. ანკ. 17.

კელესტი, კელესტოსი (მწვ.) III 1, 4. კართ.108.

კენტვირი კართაგენის ეპისკოპოსი.

კართ. 87.

კერპთმსახურება

ვინც ქრისტეს მიატოვებს და შეუდგება ვარჯიშს საიდუმლო კერპთმსახურებაში, შეჩვენებული იყოს. ლაოდ. 35.

კერპთშეწირვა იხ. სარწმუნოების უარყოფა.

მღვდლებსა და დიაკვნებს, რომელთაც მსხვერპლი შესწირეს კერპს, მაგრამ შემდეგ მოიქცნენ და განაახლეს სარწმუნოებისათვის მოღვაწეობა, არ უნდა მოაკლდეთ საჯდომელის პატივი (იხ.), მაგრამ მათ ეკრძალებათ მღვდელმსახურება. ანკ. 1, 2. ვინც თავის თავს ქრისტიანად აღიარებს, მაგრამ იძულებით მიიღებს კერპისათვის შესაწირავს, არ დაისჯება უზიარებლობით. ანკ. 3. პეტრე ალექსანდრიელი 14. სხვადასხვა ეპიტიმები კერპთშეწირვაში მონაწილეობისათვის დანაშაულთა განსხვავების მიხედვით. ანკ. 4, 5, 6, 7, 8, 9, 12. ბასილი დიდი 81.

კერპი, კერპთთაყვანისმცემლობა

კერპთა და კერპთმსახურების ნაშთების მოსასპობად შეიძლება დახმარება ვთხოვოთ მეფეებს. კართ. 58, 84.

კერძოდიაკონი (იპოდიაკონი)

იპოდიაკობი არ უნდა იყოს ხელდასხმული ოცი წლის ასაკზე ადრე. VI 15. არ უნდა იყოს დიაკვნის ადგილას და არ უნდა შეეხოს წმინდა ჭურჭელს. ლაოდ. 21, 22, 25. თუ კერძოდიაკონი ფარულად იქორწინებს, მას სრულებით აეკრძალება მსახურება. ბასილი დიდი 69. შდრ. მსახური.

კვიპრიანე

აფრიკელი არქიეპისკოპოსი და მოწამე. VI 2. მისი კანონი, გამოცემული მის დროს შეკრებილი კრების მიერ, დაცული იყო მხოლოდ იმ კრებაზე დამსწრეთა სამთავროებში. VI 2.

კვიპროსი (კიპრი, კვიპრე)

მისი ეპისკოპოსის უფლებები. III 8. VI 39.

კვირა ახალი, ახალკვირა იხ. აღდგომა

კვირა დღე

ქრისტიანებმა უნდა იუქმონ კვირა დღე. ლაოდ. 29. თეოფილე ალექსანდრიელის კანონები (შესავალი). კვირა დღეს არ შეიძლება მუხლის მოდრეკა. I 20. VI 90. პეტრე ალექსანდრიელი 15. კვირა დღე უნდა გადავიხადოთ როგორც სულიერი სიხარულის დღე. პეტრე ალექსანდრიელი 15, მარხვის გარეშე. ვინც ამ დღეს მარხვას დაიცავს, სასულიერო პირი უნდა განიკვეთოს, ხოლო ერისკაცი განყენებულ უნდა იყოს. მოც. 64. წმინდა ორმოცის მარხვის განმავლობაში კვირა დღეებში მორწმუნეებმა თავი უნდა შეიკავონ ყოველგვარი საკლავისაგან, ყველისა და კვერცხისაგან. VI 56. მარხვა შემსუბუქებულია, როდესაც ღვთის გამოცხადების დღესასწაული ემთხვევა კვირა დღეს. თეოფილე ალექსანდრიელის ეპისტ. შესავალი.

კიდეთშესაკრებლობა

თვითნებური თავყრილობა ცალკე, ეკლესიის გარეთ არის ისეთი შეკრება, რომელსაც აწყობს ურჩი მღვდელი ან ეპისკოპოსი. ბასილი დიდი 1. ვინც აწყობს შეკრებას ეკლესიის გარეთ, ეკლესიას უგუნებელყოფს და სურს საეკლესიო საქმეების გადაწყვეტა, არ ჰყავს მღვდელი ეპისკოპოსის ნებართვით, ის შეჩვენებული უნდა იყოს. დანგრ. 6. მღვდელმსახური, რომელიც არად ჩააგდებს ეპისკოპოსს, ცალკე მოაწყობს კრებებს, აღმართავს საკურთხეველს, ხოლო ეპისკოპოსის მოწოდებას არ შეისმენს, განკვეთილი იქნება. თუ სიჯიუტეს გამოიჩენს და ეკლესიაში არევ-დარევას შეიტანს, უნდა მორჯულდეს საერო ხელისუფლების მეშვეობით. მოც. 31. ანტ. 5. თუ თავისი ეპისკოპოსის მიერ განკვეთილი მღვდელი ღმერთს ცალკე შესწირავს წმინდა მსხვერპლს, იგი შეჩვენებული უნდა იყოს. კართ. 10, 11. მაგრამ მღვდლის განკითხვამდე უნდა გაირკვეს, აქვს თუ არა მას სამართლიანი საჩივარი ეპისკოპოსზე. კართ. 11. თვითნებურ კრებებზე მყოფნი უნდა გამოსწორდნენ შესაბამისი მონანიებით და ისევ შეუერთდნენ ეკლესიას. ბასილი დიდი I. თუ საეკლესიო ხარისხის მქონენი განუდგებიან ეკლესიას და შემდეგ მოინანიებენ, ისინი ზოგჯერ შეიძლება მიღებულ იყვნენ იმავე ხარისხში. ბასილი დიდი 1.

კირილე არქიეპისკოპოსი ალექსანდრიელი

წმინდა და ნეტარი მამა. VI 2. მისი საეკლესიო კანონები მიღებულია ეკლესიის კანონში. VI 2.

კლერიკოსები (სამღვდლო დასის წევრები)

1. ვინ არის კლერიკოსი? კლერიკოსებს შეადგენენ ეკლესიის მსახურნი. ბასილი დიდი 1. ისინი შეიძლება არჩეულ იქნენ ერისკაცთაგანაც. VI 33. საეკლესიო კანონები ყველასათვის, ვინც განეკუთვნება კლერიკოსებს. ბასილი დიდის ეპისტოლე ქორეპისკოპოსებისადმი.

2. კლერიკოსთა თვისებები. უბიწოება. I 9. გამოცდილება. ბასილი დიდის ეპისტოლე ქორეპისკოპოსებისადმი. კლერიკოსად ან საერთოდ მღვდელმსახურთა სიაში არ შეიძლება იყვნენ: 1) ავსტიყვა ლოთები, რომელთაც მიდრეკილება აქვთ ჩხუბისაკენ. ბასილი დიდის ეპისტოლე ქორეპისკოპოსებისადმი. 2) ვახშის ამღებნი და სხვისი ქონების მიმთვისებელნი. გრიგოლ ნოსელი 6. 3) მრუშობისა და სიძვის მოქმედნი. თეოფილე ალექსანდრიელი 2, 5. 4) ნათლობის შემდეგ ქორწინებულნი ან ხარჭის მყოლნი. მოც. 17. ბასილი დიდი 12. 5) ვინც შეირთავს ქვრივს, მეძავს, მსახიობს, ან განქორწინებულს. მოც. 18. 6) ვისაც ქრისტიანობის მიღებამდე ქორწინებით ჰყავდა ორი და ან დისწულ-ძმისწული. მოც. 19. თუმცა თუ მონათვლის შემდეგ არ დარჩებიან ასეთ ქორწინებაში, შეიძლება დარჩნენ სამღვდელო დასში. თეოფილე ალექსანდრიელი. 7) ემმაკეულნი, დემონით შეპყრობილნი. მოც. 79. 8) მრუში ცოლის ქმარი. თუმცა თუ ცოლი ცოდვაში ჩავარდება მისი ხელდასხმის შემდეგ, იგი უნდა გაშორდეს მას, თუ არადა, ვერ შეეხება მსახურებას. ნეოკ. 8. 9) თავისი თავის გამომსაჭურისებელი. მოც. 22. 10) მონა, თავისი ბატონის თანხმობის გარეშე. მოც. 82. 11) არიანობის სიბილწეში ჩავარდნილი და სხვასაც რომ აცდუნებს. ათანასე ალექსანდრიელის ეპისტოლე რუფინიანეს მიმართ. არ ეკრძალებათ კლერიკოსთა დასში შესვლა: 1) იმათ, ვინც ძალადობით კერპთმესაწირავი მიიღო. ანკ. 3. 2) იმას, ვინც მონათვლამდე კერპს მსხვერპლს სწირავდა. ანკ. 12. 3) მონათვლამდე უკანონო ქორწინებაში მყოფს, თუ ცოლი მოუკვდება ან გაშორდება მას. თეოფილე ალექსანდრიელი 4. 4) იმას, ვინც ტანჯვა-წამებით იძულებული იყო უწმინდური მსხვერპლი შეეწირა. პეტრე ალექსანდრიელი 14.
3. ეპისკოპოსისადმი დაქვემდებარება. კლერიკოსები და ისინი, ვინც იმყოფება საგლახაკოში, მონასტერში და სამარტვილოებში (მოწამეთა ტაძრებში) უნდა იყვნენ ეპისკოპოსის ძალაუფლების ქვეშ. IV 8. სარდ. 14. კართ 10. ისინი უნდა ემორჩილებოდნენ მას, როდესაც იგი ეკლესიის საჭიროებისათვის მოინდომებს მათ აყვანას მაღალ ხარისხში: თუ არადა, მათ არ უნდა აღასრულონ მსახურება, არც იმ ხარისხში, საიდანაც ასვლა მაღალ ხარისხში არ ისურვეს. კართ. 40. ვინც აღდგება ეპისკოპოსის წინააღმდეგ და მოაწყობს შეთქმულებას,

განიკვეთება. მოც. 55. IV 18. VI 34. არ შეიძლება, კლერიკოსმა დასტოვოს თავისი ეკლესია და გადავიდეს სხვა ეკლესიაში თავისი ეპისკოპოსის მიერ მიცემული განსატევებელი წიგნის გარეშე. მოც. 15. VI 17. VII 10. ანტ. 3. სარდ 16. კლერიკოსი, რომელიც არ ასწავლის ერს დადგენილი ეპისკოპოსის მორჩილებას, უზიარებელი უნდა იყოს. მოც. 36. კლერიკოსთა დასხდომის წესი. I 18. VI 7. ლაოდ. 20, 56. კართ. 86.

4. კლერიკოსთა ვალდებულებები, კლერიკოსთა დასის წევრები გულდადებით უნდა ემსახურობდნენ ღმერთს. IV 3. ისინი უნდა ასწავლიდნენ ყრმებსა და შინაურებს საღვთო წერილის ჭეშმარიტებებს. VII 10. მათ არა აქვთ უფლება: ა) განაგონ საერო საქმეები. IV 3. VII 10. ან დაიკავონ საერისმთავრო თანამდებობები, ორგზ. 11, გარდა ზრუნვისა ობლებსა და უსახსროებზე, ეპისკოპოსის ბრძანებით. I 3. ბ) აიღონ იჯარით ადგილ-მამული. IV 3. კართ 19. გ) შევიდნენ სამხედრო სამსახურში და საერთოდ საერო წოდებაში. IV 7. დ) თავდებად დაუდგნენ ვისმე. მოც. 20. ე) ჰყავდეთ სახლში ქალი დედის, დის, დეიდის, მამიდის და სრულიად უექვო ქალის გარდა. I 3. ბასილი დიდის ეპისტოლე გრიგოლ ხუცესისადმი.
5. კლერიკოსთა გამოკვება-შენახვა. საკურთხეველის მსახურნი საკურთხეველისაგან იკვებებიან. მოც. 41. მაგრამ უნდა იკმარონ ის, რაც მოაქვს მომტანს. VI 99. თავისი გამოკვებისათვის შეუძლიათ იშრომონ, მაგრამ ამისთვის არ უნდა მიმართო უპატიოსნო და ცუდ გზებს. კართ. 16. მაგალითად, არ უნდა ჰქონდეთ დუქანი-ფარდული. VI 9. ვაჭრობა და მდაბალი მომხვეჭელობა უცხოა საეკლესიო წესისათვის. VII 15. არ შეიძლება მათი დაწესება ორ ეკლესიაში. IV 10. VII 15, არც ერთი ეკლესიიდან მეორეში გადასვლა ანგარებისმოყვაროებისათვის. IV 5, 20. ამის უფლება კლერიკოსს აქვს მხოლოდ საეკლესიო ადგილებზე ადამიანთა სიმცირის შემთხვევაში. VII 15, და თავისი მამულის დაკარგვის შემთხვევაში. IV 20. კლერიკოსს არა აქვს ქალაქში სიარულის უფლება, განსაკუთრებით დედაქალაქში და იქ სახლების სამლოცველოებში (ეკვდერებში) ღვთისმსახურების აღსრულებისა. VII 10. ვინც იცხოვრებს ამგვარად ქალაქებში თავისი ეპისკოპოსის დავალების გარეშე, განიდევნოს. IV 23.

6. კლერიკოსთა ქონება. თუ კლერიკოსს არავითარი ქონება არ მიუღია ნაჩუქრობით ან მემკვიდრეობით და იგი იყიდის თავის სახელზე მიწებსა და ადგილ-მამულს, უფლის ქონების მიმტაცებლად ითვლება. კართ. 32. კლერიკოსებმა თავისი ქონებიდან არაფერი არ უნდა მიიღონ ან მისცენ არამართლმადიდებლებს, თუნდაც ისინი ნათესავები იყვნენ მათი. კართ. 22.
7. კლერიკოსთა ქორწინება. იხ. ქორწინება.
8. სასჯელი მძიმე ცოდვებისათვის. კლერიკოსები, რომლებმაც შესცოდეს სასიკვდილო ცოდვით, ჩამოქვეითდებიან ხარისხიდან, მაგრამ მათ არ ეკრძალებათ წმინდა საიდუმლოთა ზიარება. ბასილი დიდი 32, 51. კლერიკოსი, რომელიც შეებრძოლება ავაზაკს, უნდა დაემხოს თავისი ხარისხიდან. ბასილი დიდი 55.

კლიმენტი (კლიმენტოსი) რომის ეპისკოპოსი

მისი ეპისტოლეები. მოც. 85. მოციქულების დადგენილებები, გადმოცემული კლიმენტის მიერ. IV 2.

კონსტანტინოპოლი

კონსტანტინოპოლი არის ახალი რომი. II 3. კონსტანტინოპოლის საყდარს აქვს რომის საყდრის ტოლი ეპირატესობანი და მეორეა მას შემდეგ. II 3. IV 28. VI 36. ამიტომ პონტოს, აზიის, თრაკიის და ცნობილი არაბერძნული მოსახლეობის მიტროპოლიტებმა ხელდასხმა უნდა მიიღონ კონსტანტინოპოლის საყდრისაგან. IV 28.

კრავი

იესო ქრისტე ღმერთი ჩვენი არ უნდა გამოვსახოთ კრავის სახით. VI 82.

კრება საეკლესიო ადგილობრივი

1. რა არის ადგილობრივი კრება? ადგილობრივი კრება არის რომელიმე სამთავროს ეპისკოპოსთა კრება. I 5. ამგვარი კრებებიდან სრული კრება არის ის, რომელსაც ესწრება მიტროპოლიტიც. ანტ. 16.
2. ადგილობრივი კრების მოწვევის დრო. ძველი წესის თანახმად წელიწადში ორჯერ. მოც. 37. I 5. IV 19. ანტ. 20, ხოლო მოგვიანებით, სიმნელეების გამო, დადგენილია რომ ის მოწვეულ იყოს წელიწადში ერთხელ. VI 8. VII 6. კართ. 18. კრების მოწვევის დრო ჯერ იყო სულიწმიდის მოფენის მეოთხე კვირა და სექტემბრის მეთორმეტე დღე. მოც. 37, ოქტომბრის თვე. ანტ. 20, შემდგომში კი - წმინდა ორმოცის მარხვის წინ და რთველის დროს. I 5. ბოლოს - 21 აგვისტოს. კართ. 73. სრული კრების მოწვევა არ არის აუცილებელი ყოველწლიურად. კართ. 95.
3. ვინ უნდა მოიწვიოს კრება? არავის არა აქვს უფლება, თითონ მოიწვიოს კრება. ანტ. 20. კრებები უნდა შედგეს მიტროპოლიტის ან სამთავროს ეპისკოპოსის წერილობითი მოწვევით. ანტ. 19,20.
4. ვისგან უნდა შედგებოდეს კრება? კრებას უნდა ესწრებოდეს სამთავროს ყველა ეპისკოპოსი. I 5. IV 19. VI 8. იმათ გარდა, ვისაც რაიმე დაბრკოლება აქვს. კართ. 76. მას, ვისაც ეპისკოპოსთაგან ვერ გამოცხადდება კრებაზე უმიზეზოდ, თავისი თავი თითონ ბრალდებულ-უყვია. ლაოდ. 40. და იმსახურებს ეპიტიმიას. IV 19. VI 8. კართ. 76, 77. სამთავროს პირველმოსაყდრეებმა თავისი კრებებიდან უნდა გამოგზავნონ ორი ან რამდენიმე წარმომადგენელი (ადგილისმცველი), რათა შემდგარ კრებას სრული რწმუნებულება ჰქონდეს. კართ. 18. გამონაკლისი დაუშვებს ტრიპოლის მიმართ ამ მხარის სიმწირის გამო. კართ. 14. კრების გახანგრძლივების გამო ეპისკოპოსები ირჩევდნენ სამ მსაჯულს წარმომადგენლად ყოველი

სამთავროდან. კართი 127. ის, ვინც შეაფერხებს კრების მოწვევას, განყენებულ იქნება. VII 6. თუ მიტროპოლიტი კრებაზე მოსულ ეპისკოპოსს გამოართმევს რაიმეს (ოთხფეხს ან სხვას რასმე), მან უნდა გადაუხადოს ოთხმაგადი VII 6.

5. კრების მოქმედებათა საგანი. სამთავროს კრება განაგებს თავისი სამთავროს საქმეებს. II 2. იგი მსჯელობს კეთილმსახურების (მართლმორწმუნეობის) დოგმატების შესახებ, გადაწყვეტს საეკლესიო სადავო საკითხებს. მოც. 37. VII 6. და განიხილავს საეჭვო შემთხვევებს. ანტ. 20. არჩევს ეპისკოპოსზე შემოსულს საჩივრებს. I 5. გადაწყვეტს ეპისკოპოსთა დავას სამრევლოების შესახებ. IV 17. VI 25. ასწორებს მცირე კრებების განსაზღვრებებს. კართ. 34. ირჩევს და დაადგენს ეპისკოპოსს. I 4. IV 28. VII 3. ანტ. 19, 23. ლაოდ. 12. კართ. 13. ეპისკოპოსის გასამართლება. იხ. სამსჯავრო, სასამართლო.
6. მიღებული ადგილობრივი კრებები. VI 2.

კრება საეკლესიო მსოფლიო

1. რა არის მსოფლიო კრება? I 2.
2. მსოფლიო კრებები, რომლებიც იყო:

პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება შედგა 325 წ. 318 წმინდა და ნეტარი მამის მონაწილეობით, ნიკეაში, კონსტანტინე მეფის დროს ურჯულო არიოზის საწინააღმდეგოდ. გახსნა და ნათელყო ღვთიური საწყისის ბუნების სამპიროვნების ერთარსებობა, ასწავლა მორწმუნეებს მამისა და ძისა და სულიწმიდის ერთიანი თაყვანისცემა და აღმოფხვრა ცრუმოდღვრება ღმერთის არათანასწორი ხარისხების შესახებ. VI 1. ნიკეაში სულიწმიდის მიერ შეკრებილ წმინდა მამათა მიერ განსაზღვრული სარწმუნოების გარდა არავის არა აქვს უფლება, სხვა სარწმუნოება შემოიღოს, წარმოადგინოს და შემოგვთავაზოს. III 7.

მეორე მსოფლიო კრება შედგა 381 წ. ასორმოცდაათი მამის მონაწილეობით კონსტანტინოპოლში, რომლებიც შეიკრიბნენ თეოდოსი იმპერატორის დროს. ამ კრებამ შეავსო ნიკეის სარწმუნოების აღსარება (სიმბოლო) ღვთისმეტყველი ნათქვამით სულიწმიდის აღსარების შესახებ, განაგდო მაკედონიოსი, რომელმაც გაბედა მეუფის ჩათვლა მონად და რომელსაც სურდა განუყოფელი ერთის (სამების) გაყოფა, და დაგმო აპოლინარი, რომელიც უკეთურად ასწავლიდა, თითქოს მაცხოვარმა მიიღო სხეული სულისა და გონების გარეშე. VI 1.

მესამე მსოფლიო კრება შედგა 431წ. ორასი მამის მონაწილეობით, რომლებიც რომლებიც შეიკრიბნენ ეფესოში თეოდოსი არკადის ძის იმპერატორობის დროს. მან დაამტკიცა, რომ ერთი და იგივე ქრისტე არის ძე ღვთისა და განხორციელებული, ხოლო მისი მშობელი მარადის ქალწული არის თვით ჭეშმარიტად ღვთისმშობელი, ხოლო უგუნური გაყოფა ნესტორის მიერ, რომელიც ასწავლიდა, რომ ქრისტე არის ცალკე ადამიანი და ცალკე ღმერთი, უკუაგდო. VI 1.

მეოთხე მსოფლიო კრება შედგა 451 წ. ექვსას ოცდაათი მამის მონაწილეობით, რომლებიც შეიკრიბნენ მარკიანე იმპერატორის დროს ქალკედონში. მან დაამტკიცა, რომ ერთი და იგივე ქრისტე, ძე ღვთისა შედგება ორი ბუნებისაგან, ხოლო ცრუბრძენი ევტიქი, რომელიც ასწავლიდა, რომ ხსნის დიდებული საიდუმლო აღსრულდა მოჩვენებით, გააძევა ეკლესიიდან და მასთან ერთად ნესტორიც, რომელიც ამტკიცებდა ბუნების გაყოფას, და დიოსკორეც, რომელიც აღიარებდა ამ ბუნებათა შერევას. VI 1.

მეხუთე მსოფლიო კრება შედგა 553წ. ას სამოცდახუთი მამის მონაწილეობით, რომლებიც შეიკრიბნენ კონსტანტინოპოლში იუსტინიანე დიდის დროს. მან განაგდო ნესტორის მოძღვარი თეოდორე მოძვსვესტელი, ორიგენი, დიდვიმოსი, ებაგრე, რომელთაც განაახლეს ელინური ზღაპრობანი ზოგი სხეულისა და სულის გარდასახვისა და მიმოცვალების შესახებ და უგუნურად წინააღმდეგობოდნენ მკვდართა აღდგომას. ასევე შეაჩვენეს თეოდორიტეს დაწერილი მართალი სარწმუნოების წინააღმდეგ და ნეტარი კირილეს თორმეტი თავის საწინააღმდეგოდ დაწერილი და ივას სახელით ცნობილი საკრებო წერილი. VI 1. ამ მსოფლიო კრებას კანონები არ გამოუტანია.

მეექვსე მსოფლიო კრება შედგა 680 წ. კონსტანტინოპოლში იმპერატორ კონსტანტინე პოლონატის დროს. განსაზღვრა, რომ ჩვენ უნდა ვაღიარებდეთ ორ ბუნებრივ სურვილს, ორ ნებას და ორ ბუნებრივ მოქმედებას ჩვენი ხსენისათვის განხორციელებულ ჩვენს ერთიან უფალში, იესო ქრისტეში, ჭეშმარიტ ღმერთში. კრებამ მიიღო და დაამტკიცა სარწმუნოება, დოგმატები და კანონები მისი წინამორბედი მართლმადიდებლური მსოფლიო და ადგილობრივი კრებებისა და წმინდა მამებისა და განსაზღვრა, რომ მათ არც მიემატოს, არც მოაკლდეს რაიმე.

ამ ორი (მეხუთე და მეექვსე) მსოფლიო კრების შემდეგ, კონსტანტინოპოლის გუმბათიან (ტრულის) სამეფო პალატაში იუსტინიანე II-ის დროს 691 წ. შედგა კრება, რომელმაც შეავსო ხარვეზი და დაადგინა 102 კანონი. ამიტომ მას ეწოდება აგრეთვე მეხუთე-მეექვსე (πενθεκτη) ან ტრულის კრება. იგი ითვლება მეექვსე მსოფლიო კრებად.

იხ. მისი დოგმატი (შესავალში) და კანონები.

მეშვიდე მსოფლიო კრება შედგა 787 წ. სამას სამოცდაშვიდი წმიდა მამის მონაწილეობით, კონსტანტინე იმპერატორისა და მისი დედის ირინეს დროს. მან ნათელყო და დაამტკიცა დოგმატი ხატთაყვანისმცემლობის შესახებ.

იხ. მისი დოგმატი და კანონები.

3. მსოფლიო კრების კანონთა მნიშვნელობა. განსაზღვრებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მსოფლიო კრების დადგენილებებს, ძალა არა აქვთ. III 8. ვინც გაბედავს, წინააღმდეგობა გაუწიოს მსოფლიო კრებას, გაძევებული იქნება კლერიკოსთა დასიდან. I 2.

4. კრებების მნიშვნელობა საერთოდ. არავის არა აქვს ნება, შეცვალოს კრებათა კანონები. VI 2. ეს კანონები უნდა დაასწავლონ ხელდასხმის დროს, რათა არ მოიქცნენ მათ საწინააღმდეგოდ. კართ. 18. მას, ვინც უსამართლოდ დაჩაგრულად თვლის თავს, შეუძლია მიმართოს

ეპისკოპოსთა დიდ კრებას. ანტ. 20. თუ კრების მიერ სამღვდელთა დასიდან განკვეთილნი გაბედავენ წინანდელი მსახურების შესრულებას, ისინი დაკარგავენ კრების წინაშე გამართლების უფლებას. ანტ. 4.

კრეტსაბმელი

მისი გამოყენება სახმარებლად, სხვა დანიშნულებით, არ შეიძლება. მოც. 73. ორგზ. 10.

კრძალულება იხ. თავშეკავება.

კუოდვულტდეო

ეპისკოპოსი კართაგენელი. კართ. 87.

კურთხევა

კურთხევა სიწმინდის გადაცემას ნიშნავს. VI 26. ბასილი დიდი 27. ამიტომ კურთხევის მიღება მწვალებლისგან არ შეიძლება. ლაოდ. 32. კურთხევის უფლება არა აქვს იმას, ვინც უნდა მოიშუშოს საკუთარი წყლულები. VI 3, 26. ბასილი დიდი 27. მონაზვნის კურთხევა ეპისტოლით და სქემით არ შეიძლება. რუის-ურბნ. 7.

ლიველონი

იხ. ქარტა სიმტკიცისა

ლიტურგია, ჟამისწირვა, საკურთხევლის მსახურება, საკურთხევლის წმ. საიდუმლო

ღვთაებრივი ლიტურგია უნდა აღსრულდეს უჭმელი, მმარხველი ადამიანების მიერ. VI 29. კართ 41, 47. დიდი ორმოცის მარხვის დროს სრული ლიტურგია უნდა შესრულდეს შაბათობით, კვირა დღეებში და ხარების დღეს. ხოლო დანარჩენ დღეებში - მხოლოდ პირველგანწმენდილ მსხვერპლთა განახლების (სიწმინდის განახლების) ლიტურგია. ლაოდ. 49. VI 52. არიანელებს და სხვა ერეტიკოსებს ჟამისწირვაზე დასწრების უფლება არა აქვთ, თუ არ დასდებენ პირობას, რომ მიატოვებენ ერესს. ტიმოთე ალექსანდრიელი 9. ძველი ლიტურგიის მოკლე აღწერა. ლაოდ. 19. ერთ საკურთხეველზე რამდენიმე მღვდელმა მრავალი სულისათვის არ უნდა წიროს ჟამი. რუის-ურბნ. 14. ერთი სულისთვის მღვდელმა ჟამი უნდა წიროს ეკვდერში ან ეკლესიის შტოში. რუის-ურბნ. 14.

ლოთობა

მღვდელმსახურნი, რომლებიც ლოთობას მიჰყოფენ ხელს, უნდა განიკვეთონ, ხოლო დაბალი კლერიკოსები და ერისკაცები უნდა დაისაჯონ უზიარებლობით, თუ არ დაანებებენ თავს ლოთობას. მოც. 42, 43.

ლოცვა

ეკლესიაში შემსვლელნი ბოლომდე უნდა დაესწრონ ლოცვას. მოც. 9. ანტ. 2. რომელი ლოცვები უნდა შესრულდეს? კართ. 103. უნდა შესრულდეს კრებაზე დამტკიცებული ლოცვები, შეკრებილი განათლებულ ადამიანთა მიერ. კართ, 103. ვინც ამბობს, რომ საუფლო ლოცვაში სიტყვებს ”მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენნი” - წმინდანები ამბობენ არა იმიტომ, რომ ისინი ცოდვილნი არიან, არამედ თავმდაბლობის გამო, შეჩვენებულ იყოს. კართ. 116. კლერიკოსებმა ლოცვებში უნდა აღამაღლონ თავიანთი ეპისკოპოსის სახელი. ორგზ. 13. ეპისკოპოსმა - მიტროპოლიტისა. ორგზ. 14. მიტროპოლიტმა - თავისი პატრიარქის სახელი. ორგზ. 15. ლოცვა სარწმუნოების უარყოფელთა და შემდეგ მოქცეულთათვის არ არის მავნებელი არავისთვის. პეტრე ალექსანდრიელი 11. თუ ვინმე გონს არ იყო და აღმართა თავის თავზე ხელი, მისთვის შეიძლება ლოცვა და ჟამისწირვა. ტიმოთე ალექსანდრიელი 14.

მადლი ღვთისა

ვინც იტყვის, რომ ღვთის მადლს, რომლითაც გავმართლდებით იესო ქრისტეს მიერ, მხოლოდ ჩადენილი ცოდვების მიტევება შეუძლია, მაგრამ არ გვეხმარება, რომ არ ჩავიდინოთ ახალი ცოდვები, შეჩვენებულ იყოს. კართ. 111. მადლი გვაძლევს არა მარტო ცოდნას, რა უნდა ვაკეთოთ, არამედ სიყვარულსაც, რომ შევასრულოთ ის, რაც შევიცანით. კართ. 112. ვინც ამბობს, რომ ღვთის მადლი მხოლოდ გვანიჭებს უნარს, შევიცნოთ ცოდვა, გავიგოთ, თუ რა უნდა ვაკეთოთ და რას უნდა ავუქციოთ გვერდი, მაგრამ არ გვაძლევს ძალას, საქმით მოვიმოქმედოთ ის, რაც შევიგნეთ, შეჩვენებულ უნდა იყოს. კართ. 112. ვინც იტყვის, რომ გამართლების მადლი ჩვენ მხოლოდ გვიადვილებს, შევასრულოთ შესაძლებელი, თუმცა მის გარეშეც შევასრულებდით ღვთიურ მცნებებს, ოღონდ ძნელად, ანათემას დაიმსახურებს. კართ. 113.

მავრიტანია სიტიფენსისა

მას უფლება აქვს, ჰყავდეს თავისი მთავარეპისკოპოსი. კართ. 17.

მაკედონიანოსნი (მწვ.)

მართლმადიდებლურ ეკლესიას უბრუნდებიან მირონცხების გზით. II 1, 7. VI 95. იხ. სულის მბრძოლნი.

მაკედონიოსი (მწვ.) VI 1.

მამა ღმერთი

ერთია, ყოვლისმპყრობელი, ყველა ხილულთა და უხილავთა შემოქმედი, ნათელი, ღმერთი ჭეშმარიტი. ნიკეის სიმბოლო. შემოქმედი ცისა და მიწისა. კონსტანტინოპოლის სიმბოლო.

მამათა აღრევა

ეპიტიმია ამ ცოდვისათვის. ბასილი დიდი 7, 62. გრიგოლ ნოსელი 3.

მამები წმინდა იხ. წმინდა მამები

მანიქეველნი (მწვ.) VI 95. ბასილი დიდი 1.

მართლმადიდებელი

კლერიკოსთა შვილები, თუ ისინი დაბადებულნი არიან სხვა სარწმუნოების მქონე მეუღლისაგან და მონათლულნი არიან ერეტიკოსთა მიერ, უნდა მოყვანილ იქნენ კათოლიკურ ეკლესიასთან ერთობაში (ზიარებაში). IV 14. კლერიკოსთა შვილებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვთ უფლება დაქორწინდნენ სხვა სარწმუნოების მქონე ქალზე (ან კაცზე), თუ ის პირობას დასდებს, რომ მიიღებს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას. IV 14. მართლმადიდებელი კლერიკოსები არ უნდა ემორჩილებოდნენ განდგომილ ეპისკოპოსს. III 3. ორგზ. 15.

მარიამ ქალწული, ღვთისმშობელი

IV მსოფლიო (ქალკედონის) კრების დოგმატი. უბიწო დედოფალი ჩვენი. VII მსოფლიო კრების დოგმატი (იხ. შესავალში).

მარკელიანოსნი (მწვ.)

II 1.

მარკიონიტნი (მწვ.)

VI 95.

მარტვილია იხ. სულიწმინდის მოფენა.

მარტი

წარმართული სახალხო შეკრებულობა მარტის პირველ დღეს არ უნდა იყოს ქრისტიანებში. VI 62.

მარცხენენი (მწვ.)

I 7. VI 95.

მარხვა

წმინდა ორმოცის დროს (აღდგომის წინ), აგრეთვე ოთხშაბათ-პარასკევს უნდა დავიცვათ მარხვა. მოც. 69. პეტრე ალექსანდრიელი 15. უფლის დღეს, ე.ი. კვირა დღეს და შაბათს, დიდი შაბათის გარდა, მკაცრი მარხვა აკრძალულია. მოც. 64. VI 55. ლანგრ. 18. ვინც იძულების გარეშე დაარღვევს მარხვას, შეჩვენებულ იყოს. ლანგრ. 19. პურის შეწირვა მარხვის დროს არ შეიძლება შაბათ-კვირის გარდა. ლაოდ. 49.

მარხვა ორმოცდღიანი იხ. დიდმარხვა

მაფიცებლები იხ. მფიცავი

მაქსიმე კვინიკოელი (ცინიკოსი) II 4.

მაქსიმიაზე (მწვ.)

ვალატენსის (ვაგენის) ეპისკოპოსი. კართ. 88.

მაქსიმიაზელი, მაქსიმიაზელები (მწვ.)

კართ. 67, 69.

მგალობელი (საეკლესიო)

მგალობელს ოლარის ტარების უფლება არა აქვს. ლაოდ. 23. თუ მგალობელი დაიწყებს თამაშსა და ღვინის სმას და არ დაანებებს ამას თავს, იგი უნდა დაისაჯოს უზიარებლობით. მოც. 43. საფსალმუნეზე გალობის უფლება აქვთ მხოლოდ მგალობლებს. ლაოდ. 15.

მეეკლესიენი იხ. კიდეთშესაკრებელობა.

მეთოთხმეტენი იხ. ტეტრადიტები.

მემეთხეენი იხ. ტეტრადიტები.

მემკვიდრე

ეპისკოპოსის პატივი (ღირსება) არ არის მემკვიდრეობითი. იხ. ეპისკოპოსი. ეპისკოპოსის ქონების მემკვიდრე. იხ. ეპისკოპოსის ქონება.

მესალიანელნი (მწვ.)

ღანგრ. კრების შესავალი.

მეუდაბნოე

მეუდაბნოედ წოდებულნი, რომლებიც ძაძით შემოსილნი და თმაწამოზრდილნი დადიან ქალაქში და ერისკაცთა შორის ტრიალებენ, უნდა დამკვიდრდნენ მონასტერში ან განიდევნონ უდაბნოში. VI 42.

მეულლე იხ. ცოლი

მეფე

მეფე არავინ არ უნდა შეაწუხოს უსამართლოდ. მოც. 84. კლერიკოსს არა აქვს მეფესთან წასვლის უფლება თავისი სამთავროს ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე და მით უმეტეს, მიტროპოლიის ეპისკოპოსის გარეშე. II 6. ანტ. 11,12. კართ. 106. ეპისკოპოსს შეუძლია მეფეს წყალობა სთხოვოს ჩაგრულთა, ქვრივთა, ობოლთა, განკითხულთა და ეკლესიაში მოსულთათვის. სარდ. 7,8,9. ეპისკოპოსი არ უნდა წავიდეს მეფესთან მისი წერილობითი გამოძახების გარეშე. სარდ. 7.

მეფის (სამეფო) საბუთი. IV 12.

მეცხრე ჟამი იხ. ჟამი მეცხრე.

მეძავი იხ. სიძვა.

მთავარი

არავინ არ უნდა აგინოს უსამართლოდ მთავარს. თუ სამღვდელო პირი ამას ჩაიდენს, განიკვეთება. მოც. 84. იხ. ხელისუფლება საერო.

მიმომავალი იხ. პერიოდევტი

მრონი (საცხებელი), მრონცხება

მრონის შემზადების უფლება მღვდელს არა აქვს. კართ. 6. მონათლულებს მონათვლის შემდეგ უნდა ეცხოთ ზეცის საცხებელი. ლაოდ. 48. მწვალებელთაგან რომელნი უნდა შეუერთდნენ მართლმადიდებლურ ეკლესიას მრონცხების გზით? II 7. VI 95.

მისნობა იხ. გრძნეულობა

მიტაცება საეკლესიო ნივთებისა იხ. სიწმინდეთმკრეხელობა.

მიტროპოლიტი

სამთავროს უპირველეს (პირველმოსაყდრე) ეპისკოპოსს ეწოდება მიტროპოლიტი: I 4, 6. IV 28, ანტ. 19, ანუ ეგზარხოსი. IV 17. თითოეული სამთავროს ეპისკოპოსები პატივს უნდა სცემდნენ მას, როგორც მეთაურს, რომელსაც დედაქალაქის საყდარი უპყრია. მისი ნებართვის გარეშე არ უნდა აკეთებდნენ არაფერს, რაც აღემატება მათ უფლებებს და უნდა აღამაღლებდნენ მის სახელს ლოცვებში. მოც. 34. ანტ. 9. ორგზ. 19. იგი ზრუნავს მთელ სამთავროზე. ანტ. 9. იწვევს ადგილობრივ კრებას. ანტ. 19. ამტკიცებს ეპისკოპოსის არჩევას. I 4. და თავისი სამთავროს ეპისკოპოსებთან ერთად დაადგენს მას. IV 28. შეუძლია თავის ქვეშევრდომ ეპისკოპოსს მოსთხოვოს კლერიკოსი და აკურთხოს იგი დიაკვნად,

მღვდლად ან ეპისკოპოსად. კართ. 55. მისი ნებართვის გარეშე მის ხელქვეით ეპისკოპოსებს არა აქვთ ზღვის გადაღმა (რომში) წასვლის უფლება. კართ. 23. მან ლოცვებში უნდა აღამაღლოს თავისი პატრიარქის სახელი. ორგზ. 15. მიტროპოლიტს არ უნდა ეწოდოს უმაღლესი (ზედამდგომელი) მღვდელი. კართ. 39. არ უნდა გაავრცელოს თავისი ძალაუფლება თავისი სამთავროს საზღვრებს გარეთ. II 2. III 8. მიტროპოლიტმა არაფერი არ უნდა გააკეთოს თავისი სამთავროს ეპისკოპოსებთან შეთანხმების გარეშე. მოც. 34. ანტ. 9. სამთავროს ეპისკოპოსს (მიტროპოლიტს) დაადგენენ სამთავროს ეპისკოპოსები. სარდ. 6. ასამართლებენ მას აგრეთვე სამთავროს ეპისკოპოსები მეზობელ მიტროპოლიტებთან ერთად. III 1. ქალაქი, რომელიც ემორჩილება სამთავროს მიტროპოლიტს და სამეფო სიგელით წოდებულია მიტროპოლიტად, უნდა დაკმაყოფილდეს ამ პატივით. IV 12.

მიცვალებულთა ხსენება

მიცვალებულთა ხსენება უნდა შესრულდეს ლიტურგიით, ხოლო გაჭირვების დროს ლიტურგიის გარეშე, ლოცვებით. კართ. 41.

მიწა

საეპისკოპოსოს კუთვნილი მიწები იხ. საეპისკოპოსო

მონასტრის კუთვნილი მიწები იხ. მონასტერი

მკვლელობა, მკვლელობა

მკვლელობა ის არის, ვინც მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა მოყვასს, სულერთია, თითონ დაჭრა პირველმა, თუ საპასუხოდ მიაყენა ჭრილობა შურისძიების მიზნით. ბასილი დიდი 43. მკვლელობა არის ნებსითი ანუ განზრახი, ნებსითთან მიახლოებული, უნებლიე ანუ არაგანზრახვითი, და მოკვლა ომში.

1. ნებსითი ან განზრახ მკვლელობა. გრიგოლ ნოსელი 4. ბასილი დიდი 8. განზრახ მკვლელებად ითვლებიან: ა) ვინც მრისხანების დროს ცოლზე ცუღს არმართავს და მოკლავს მას. ბ) ვინც სხვაზე ცუღს აღმართავს და მოკლავს მას. გ) ვინც კლავს მტრის შემოსევისა და მარცვა-გლეჯის დროს. დ) ვინც დაათრობს ვინმეს შეპარვით, თუნდაც სხვა მიზნით და მოკლავს მას. ე) ქალები, რომლებიც სასიყვარულო წამალს აძლევენ ვისმე და ამას შედეგად სიკვდილი მოჰყვება. ვ) ვინც აძლევს და მიიღებს საწამლავს ნაყოფის მოსასპობად. VI 91. ბასილი დიდი 8. ანკვ. 21. ზ) ქალი, რომელიც შობს გზაში და არ მიხედავს ნაშობს, თავისი ცოდვის დასაფარავად. ბასილი დიდი 33, 52.

ეპიტიმია ნებსითი მკვლელობისათვის ოცწლიანია და მეტიც. ანკ. 22. გრიგოლ ნოსელი 5. ბასილი დიდი 56. მუცელში ნაყოფის მოსპობისათვის ეპიტიმია ათწლიანია. ბასილი დიდი 2.

2. მკვლელობა მიახლოებული განზრახ მკვლელობასთან. ეს არის, როდესაც ვინმე მრისხანების ან ვნებათა ღელვის დროს თავს იცავს ჩხუბში, დარტყმას მიაყენებს თავის მოწინააღმდეგეს საშიშ ადგილას, ან თუ ვინმე მოწინააღმდეგეს ეჩხუბება არა მძიმე რკინით და სურს, ტკივილი მიაყენოს და სიკვდილი არ უნდა მისი. ბასილი დიდი 8. ამისთვის განსაზღვრულია თერთმეტწლიანი ეპიტიმია. ბასილი დიდი 11. კლერიკოსი უნდა განიკვეთოს. მოც. 66.
3. უნებლიე მკვლელობა არის ის, როდესაც ვინმე მოკლავს კაცს შემთხვევით, მოკვლის განზრახვის გარეშე. გრიგოლ ნოსელი 4. მაგალითად, როდესაც ვინმე ესვრის ქვას ძაღლს ან ხეს და მოკლავს ადამიანს, ან გამოსასწორებლად დაარტყამს ვინმეს რკინას ან ჯოხს. ბასილი დიდი 8. ამ მკვლელობისათვის ეპიტიმია არის ხუთლწლიანი. ბასილი დიდი 57. გრიგოლ ნოსელი 4. ანკ. 23. ამ ეპიტიმის შემოკლება-გავრცობა დამოკიდებულია მწყემსის კეთილგონიერებაზე. ბასილი დიდი 54. უნებლიე კაცისმკვლეელი არ არის სამღვდელიო მადლის ღირსი. გრიგოლ ნოსელი 4.

მკითხაობა იხ. გრძნეულობა, მისნობა.

მმარხველნი იხ. ენკრატიტები

მნე იხ. ეკონომოსი

მოგვნი იხ. გრძნეულობა

მოგზაური (უცხო კლერიკოსი)

მოგზაურ კლერიკოსთა მიღება დასამშვიდებელი ეპისტოლის გარეშე არ შეიძლება. ანტ. 7. ეპისკოპოსს შეუძლია, დაეხმაროს მოგზაურებს საეკლესიო ქონებიდან. მოც. 41. ანტ. 25.

მომაკვდავი

სიკვდილის პირას მყოფს უარი არ უნდა ეთქვას ზიარებაზე. I 13. კართ. 7.

მომწამვლელი

მომწამვლელები მიიღებიან ზიარებაზე, როგორც მკვლელები, ოცი წლის შემდეგ. ბასილი დიდი 7, 65.

მომხილველი იხ. პერიოდევტი

მონა, მონა ქალი

მონის მიღება მონაზვნობაში ან კლერიკოსთა დასში არ შეიძლება, ბატონის თანხმობის გარეშე. მოც. 82. IV 4. მონის განთავისუფლება ბატონის

თანხმობის გარეშე. მოც. 82. IV 4. მონის განთავისუფლება შეიძლება სამი მოწმის თანდასწრებით. VII 85. კეთილმსახურების მომიზეზებით მონამ თავი არ უნდა აარიდოს თავისი ბატონის მსახურებას. ლანგრ. 3. მონა ქალი, რომელიც გათხოვდება თავისი ბატონის ნებართვის გარეშე, სიძვის მოქმედად უნდა ჩაითვალოს. ბასილი დიდი 42. ბატონის მიერ გახრწნილი უდანაშაულოა. ბასილი დიდი 49. თუ დაქვრივებული დათანხმდება მოტაცების სახით მეორე ქორწინებაზე, იგი არ უნდა ჩაითვალოს დამნაშავედ, არამედ უნდა დაეკისროს მხოლოდ მეორედ ქორწინებულთა ეპიტიმია. ბასილი დიდი 53.

მონაზვნობა

1. მონაზვნად მიღება. ყველა ქრისტიანს აქვს უფლება მონაზვნად აღკვეცისა, თუნდაც მძიმე ცოდვით იყოს დაცემული. ამქვეყნიური მითქმა-მოთქმისაგან განდგომა და ღვთის მიყოლა ადამიანის მხსნელია. VI 40. მონაზვნად აღსაკვეცმა უნდა დასდოს ქალწულობის აღთქმა. ბასილი დიდი 19, მაგრამ გამოცდის შემდეგ. VI 40, ქალწულობის აღთქმის ასაკი. VI 40. ბასილი დიდი 18. წინამძღვარი, რომელიც აღკვეცს ვინმეს მონაზვნად სამი წლის ვადაზე ადრე, უნდა დაემხოს წინამძღვრობიდან. ხოლო ის, ვინც მონაზვნობა მიიღო ვადაზე ადრე, უნდა წავიდეს სხვა, მკაცრ მონასტერში. ორგზ. 5. სამწლიანი გამოცდის ვადა შეიძლება შემცირდეს მძიმე სნეულების მიზეზით და აგრეთვე იმისთვის, ვინც ერისკაცობაში მონაზვნურ ცხოვრებას ეწეოდა. ორგზ. 5. არავინ არ შეიძლება გახდეს მონაზვნობის ღირსი, თუ მის მონაზვნად აღკვეცას არ დაესწრება ის პირი, ვინც უნდა მიიღოს იგი მორჩილებაში. ორგზ. 2. მღვდელმსახური, რომელიც მონაზვნობაში მიიღებს ვინმეს ფულით, თუ არ დაცხრება, უნდა განიკვეთოს. ხოლო წინამძღვარი და არა მღვდელმსახური და წინამძღვარი დედათდიაკონი (ილუმენია) უნდა განიდევნონ მონასტრიდან და სხვა მონასტერში უნდა წავიდნენ მორჩილად. VII 19. მონის მიღება მონაზვნად მისი ბატონის ნებართვის გარეშე არ შეიძლება. IV 4. მონაზვნობაში ქალწულთა მიღება. იხ. ქალწული.
2. მონაზვნური ცხოვრების სახე. მონაზვნური ცხოვრების სახე საპატიოა. ორგზ. 4. მონაზვნად აღკვეცილებმა უნა შეიყვარონ დუმილი. IV 4. VII

22. არ უნდა გავიდნენ მონასტრიდან გაჭირვებისა და წინამძღვრის გარეშე, არ უნდა გაათიონ ღამე მონასტრის გარეთ. VI 46. უნდა იმყოფებოდნენ იმავე ადგილას, სადაც განუდგნენ ამქვეყნიურ ცხოვრებას. IV 4. მოგზაურ მონაზონს უნდა გაუწიონ ჯეროვანი მასპინძლობა, მაგრამ სხვა მონასტერში მისი მიღება მისი წინამძღვრის ნებართვის გარეშე არ შეიძლება. VII 21, საეკლესიო უზიარებლობით დასჯის შიშით. ორგზ. 4. ეპისკოპოსს შეუძლია გადაიყვანოს კეთილმსახური მონაზონი სხვა მონასტერში მონასტრის დასაწყნარებლად ან საერო სახლში იქ მყოფთა გადასარჩენად. ორგზ. 4. მონაზონი არ უნდა შევიდეს სასტუმროში ან დუქანში, მგზავრობის გაჭირვების გარეშე. VII 22, ლაოდ. 24. მონაზვნები არ უნდა ერეოდნენ არც საეკლესიო, არც საერო საქმეებში, თუ ამის ნებას არ მისცემთ ადგილობრივი ეპისკოპოსი აუცილებლობის შემთხვევაში. IV 4, ან თუ ქალაქის ეპისკოპოსი დაავალებს მათ საეკლესიო საქმეებზე ზრუნვას, ან ზრუნვას ობლებსა და უსუსურებზე. IV 3. ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე ქალაქში (განსაკუთრებით დედაქალაქში) დიდხანს მცხოვრები მონაზვნები უნდა განიღვენონ იქიდან და დაბრუნდნენ თავიანთ ადგილებზე. IV 23. მონაზვნები აღარ უნდა მიუბრუნდნენ სამხედრო სამსახურს და საერო წოდებას. IV 7. მონაზვნები (ბერები) და მონაზონი ქალები არ უნდა ცხოვრობდნენ ერთ მონასტერში, არც უნდა საუბრობდნენ ცალკე. მონაზონმა (ბერმა) არ შეიძლება ღამე გაათიოს დედათა მონასტერში, არც ჭამოს მონაზონ ქალთან ცალკე. დედათა მონასტერში მონაზვნის (ბერის) მიერ მოტანილი უნდა მიიღოს იღუმენიამ მოხუცებულ მონაზონ ქალთან ერთად, მონასტრის გალავნის გარეთ. მონაზონს (ბერს) ნათესავ მონაზონ ქალთან საუბარი შეუძლია მოკლედ და დედათდიაკვნის (იღუმენის) თანდასწრებით VII 20. ქალებმა არ შეიძლება ღამე გაათიონ მამათა მონასტერში. VI 47. ქალი არ შეიძლება მსახურობდეს მამათა მონასტერში. VII 18.

3. ეპიტიმეები მონაზონთა მძიმე ცოდვებისათვის. მონაზონი, რომელიც იქორწინებს, ისჯება სიძვის კანონით (ეპიტიმით). VI 44. ბასილი დიდი 19. ანკ. 19, ან მრუშობის ეპიტიმით. ბასილი დიდი 60. ეპისკოპოსს შეუძლია, კაცთმოყვარეობა გამოიჩინოს ასეთების მიმართ.
4. მონაზონთა ქონება. მონაზვნებს არ უნდა ჰქონდეთ არაფერი საკუთარი. მათ შეუძლიათ, უანდერძონ თავისი ქონება, ვისაც სურთ მონაზვნად

აღკვეცამდე, მაგრამ მონაზვნად აღკვეცის შემდეგ მონასტერს აქვს უფლება მთელ მათ ქონებაზე. თუ მონაზონი რაიმეს შეიძენს (მიითვისებს), იღუმენს (წინამძღვარს) ან ეპისკოპოსს უფლება აქვს, ჩამოართვას მას შენაძენი და სხვების თანდასწრებით გაყიდოს და დაურიგოს გლახაკებს. ის, ვინც გულში ჩაიდო შენაძენის დამალვა, შესაფერისი ეპიტიმით უნდა გამოსწორდეს. ორგზ. 6.

5. მონასტრის წინამძღვარი, რომელიც არ იწუხებს თავს გაქცეული მონაზვნების მოსაძებნად და არ ცდილობს დაცემულთა განმტკიცებას, უზიარებლობით განკანონებული უნდა იყოს წმინდა საიდუმლოთაგან. ორგზ. 3.

მონანიება, მონანული

ჭეშმარიტად მონანულნი შეწყნარებულნი უნდა იყვნენ. IV 43. ეპიტიმის სხვადასხვა საფეხურები მონანულთათვის. იხ. შეტირილი, მსმენელობა, შევრდომა, თანამდგომარეობა.

მონასტერი

1. მონასტრების შექმნა და მათი დამოკიდებულება ეპისკოპოსზე. მონასტრების შექმნა მნიშვნელოვანი და ქების ღირსი საქმეა, მაგრამ არ შეიძლება ეპარქიის ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე. IV 4. ორგზ. 1. და დაწესებული ლოცვის გარეშე. ორგზ. 1. ნაკურთხი მონასტერი არ შეიძლება გადააქციონ საერო საცხოვრებლად. IV 24. VI 49. მონასტერში არ უნდა შეიკრიბოს ერი. რუის-ურბნ. 13. მონაზვნები უნდა ემორჩილებოდნენ ქალაქის ეპისკოპოსს, ის კი უნდა ზრუნავდეს მონასტრებზე. IV 4,8. მონასტერში ვაჭრობა აკრძალულია. რუის-ურბ. 13.
2. მონასტრების განლაგება ერთმანეთის მიმართ. არ შეიძლება ორმაგი მონასტრების შექმნა, ე.ი. მამათა და დედათა მონასტრებისა ერთად. VII 20.

3. მონასტრების ქონება. მონასტრების კუთვნილი ქონება დაცული უნდა იყოს. IV 24. VI 49. მონასტრების მიწებისა და სახნავ-სათესი ადგილების გაყიდვა არ შეიძლება. მიწის უსარგებლობის შემთხვევაში შეიძლება მათი მიცემა კლერიკოსთათვის, ხოლო თუ მათგან ვინმე შეისყიდის, მიწა უნდა დაუბრუნდეს მონასტერს. VII 12. გამარცხული და საერო საცხოვრებლად გადაქცეული მონასტრის აღდგენა აუცილებელია. VII 12, 13. ნივთები და ფული, რომელიც ღვთისათვის არის შეწირული მონასტერში, აქვე უნდა დარჩეს, დარჩება თუ წავა მონასტრიდან შემწირველი. VII 19. ყველაფერი, რაც ეკუთვნის მონასტერს, შეტანილი უნდა იყოს აღწერის წიგნში. ორგზ. 1. მონასტრისთვის ქონების შემწირველს აღარა აქვს უფლება, გადასცეს ეს ქონება ვისმე, ან განაგოს იგი. ორგზ. 1.

მონტანელნი (ფრიგველნი, ფრიგიელნი) (მწვ.)

უბრუნდებიან წმინდა ეკლესიას მონათვლის გზით, როგორც წარმართნი. II 7. VI 95. ლაოდ. 8.

მორწმუნე

მორწმუნეთათვის უცხო უნდა იყოს ყოველგვარი დაბრკოლება (საფრთხე) და ცდუნება. VI 47.

მოსახსენებელი მიცვალებულთა იხ. მიცვალებულთა ხსენება

მოსე (მწვ.) სარდ. 19

მოტაცება

ქალის მოტაცება დაქორწინების მიზნით და ამისთვის ხელის შეწყობა აკრძალულია. IV 27. VI 92. ბასილი დიდი 30. ქალის მომტაცებელმა უნდა დააბრუნოს იგი და მაშინ მას შეიწყნარებენ სინანულად. ბასილი დიდი 22.

მოურნე ეკლესიისა იხ. აღმსრულებელი.

მოღვაწეობა

მოჩვენებითი და ჭეშმარიტი. ღანგრ. 12, 21.

მოციქული

სარწმუნოება, რომელიც მოგვცეს ღვთივრჩეულმა მოციქულებმა, დაცული უნდა იყოს სიახლეებისა და ცვლილებებისაგან. VI 1. წმინდა მოციქულთა კანონები მიღებულია საეკლესიო კანონებად. VI 2. VII 1. ე.წ. მოციქულთა დადგენილებები (განწესებები) თავდაპირველად ქრისტიანობაში ახალმოსულთათვის საკითხავად იყო დანიშნული (ათანასე ალექსანდრიელის სადღესასწაულო ეპისტოლე), მაგრამ შემდეგ მწვალებელთა მიერ შებღალვის გამო ისინი უარყოფილ იქმნა. VI 2.

მოდღვარი

გამოუცდელი არ უნდა იყოს სხვისი მოძღვარი. მოც. 80. დიდ მონასტერში შეიძლება იყოს ორი მოძღვარი, მცირეში-ერთი. რუის-ურბ. 12.

მოწამე, მოწამეობრივი

ის, ვინც გაკიცხავს მოწამეთა მოსახსენებელ დღეებს, შეჩვენებულ იყოს. ღანგრ. 20. მოწამეთა ხსენება უნდა აღესრულებოდეს მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც არის მათი ნაწილები, ან ნაგებობა, ან მათი საკუთრება, ან სადაც აწამეს ისინი, ხოლო სიზმრებისა და ამაო გამოცხადებათა

მიხედვით შექმნილი საკურთხევლები უნდა მოისპოს. კართ. 83. მოწამეთა ხსენება წმინდა ორმოცის დროს უნდა იყოს შაბათობით და კვირა დღეებში. ლაოდ. 51. მოწამეთა წამების კითხვა მათი ხსენების დღეს შეიძლება. კართ. 46. მაგრამ მოწამეთა შესახებ ჭეშმარიტების მტრების მიერ შეთხზული თხრობები უნდა დაიწვას. ის, ვინც ჩათვლის მათ ჭეშმარიტად, შეჩვენებულ უნდა იყოს. VI 63. არ შეიძლება სიარული მწვალებელთა ცრუმოწამებთან. ლაოდ. 34. და ერეტიკოსების მიერ მოწამეთა ადგილად სახელდებულ საწებლებში. ლაოდ. 9.

მოწამეთა ტაძარი

ეპისკოპოსის წინააღმდეგ საეკლესიო საქმეებზე მოწმედ არ შეიძლება მიიღონ: 1) ურწმუნოები, ელინები ან იუდეველნი. კართ. 129. 2) მწვალებლები. მოც. 75. II 6. 3) განხეთქილების მოქმედნი. 4) განკვეთილი სამღვდელო და განყენებული ერისკაცი. 5) მართლმადიდებელიც კი, თუ ის მარტოა. მოც. 75. I 2. ბრალმდებლად არ მიიღებიან: 1) ისინი, ვისგანაც არ არის წესი დასმენა-ბრალდების მიღებისა. 2) ბრალმდებელთა სახლიდან მოყვანილნი. 3) მცირეწლოვანნი, თოთხმეტ წელზე უმცროსნი. კართ. 131. 4) ისინი, ვინც ადრე თითონ არჩევდნენ იმ საქმეს, რომლის მოწმედაც ახლა უნდა მივიდნენ. კართ. 59.

მრავალქორწინებულობა

არის პირუტყვული საქმე და სიძვაზე უარესია. ბასილი დიდი 80. მრავალქორწინებულთა ეპიტიმია. ბასილი დიდი 4, 80.

მრუშობა

1. ვინ ითვლება მრუშად? მრუშად ითვლება ის, ვინც შეუერთდება სხვის ცოლს. ბასილი დიდი 18. გრიგოლ ნოსელი 3. მრუშობად ითვლება პირუტყვთა გახრწნა და მამათა აღრევა. გრიგოლ ნოსელი 3. მრუშად ითვლება : ა) ქმარი, რომელიც დატოვებს ცოლს და მოიყვანს მეორეს. მოც. 48. VI 87. კართ 102. ბასილი დიდი 9, 77. ბ) ვინც დაქორწინდება

სხვის დანიშნულზე. VI 98. გ) ვინც ღვთისთვის აღთქმულ ქალწულს შეირთავს. ბასილი დიდი 18. დ) თუ ცოლიანი იქორწინებს უცხო ქალთან, ამ ქალის წართმევის შემდეგ იგი მრუშად არის აღიარებული პირველი ცოლის მიმართ, ხოლო მეორე ცოლის მიმართ იგი უდანაშაულოა. ბასილი დიდი 37. ე) ქალი, რომელმაც დასტოვა ქმარი, და ცოლად გაჰყვა სხვას. VI 87. კართ. 102. ბასილი დიდი 9. ვ) ცოლი, რომელიც შეუერთდება სხვა მამაკაცს, სანამ მიიღებს ცნობას შორს წასული ქმრის სიკვდილის შესახებ. VI 93. ბასილი დიდი 31. ზ) მეომრის ცოლი, რომელიც გათხოვდება ქმრის უკვალოდ დაკარგვის შემთხვევაში. VI 93. ბასილი დიდი 36. თ) ქალწული, რომელიც უფალს აღუთქვამს სიწმინდეს და შემდეგ დაარღვევს ამ აღთქმას. ბასილი დიდი 18,60.

ცოლის მიერ უდანაშაულოდ მიტოვებული ქმარი ეკლესიასთან ერთობის ღირსია, ხოლო ცოლი-ეპიტიმისა. VI 87. ბასილი დიდი 35. ჩვეულება დედაკაცებს უბრძანებს, რომ არ გამოვინდნენ მრუშ ქმრებს. ცოლის მიერ მიტოვებული ქმარი შეწყნარების ღირსია და მასთან მცხოვრები ქალი არ უნდა გაიკიცხოს. ბასილი დიდი 9.

2. ეპიტიმია მრუშობისათვის. მრუშები ზიარებაზე მიიღებიან თხუთმეტი წლის შემდეგ. ბასილი დიდი 7, 58, და შვიდი წლის შემდეგაც, თუ ცრემლით მოინანიებენ. VI 87. ბასილი დიდი 77. ანკ. 20.

მსახვრალნი (რიცხვებით მკითხავნი) იხ. გრძნეულობა, მისნობა.

მსახურებაზე უარისთქმა წერილობითი

წერილობითი უარისთქმა (ჯმნის ქარტა, იხ.) მსახურებაზე, მუქარისა და შიშის შედეგად, არ ითვლება ნამდვილად. კირილე ალექსანდრიელი 3.

მსახური (იპოდიაკონი)

საეკლესიო მსახურმა ოლარი არ უნდა ატაროს ეკლესიის კარი არ უნდა მიატოვოს. ლაოდ. 22. მსახურს სასმელის კურთხევისა და პურის გაყოფის უფლება არა აქვს. ლაოდ. 25.

მსმენელობა

მონაწილთა ეპიტიმის მეორე საფეხური. ტაძრის კარიბჭის შიგნით, ცოდვილი უნდა იდგეს მხოლოდ კათაკმეველთა ლოცვამდე. გრიგოლ ნეოკესარიელის ეპისტოლე.

მსოფლიო საეკლესიო კრება იხ. საეკლესიო კრება.

მსხვერლი უსისხლო

VI 28. იხ. ლიტურგია, ჟამისწირვა.

მფიცავი, მაფიცებელი

მფიცავს ეპისკოპოსის კურთხევის გარეშე არა აქვს უფლება ფიცის ჩამორთმევისა არც ეკლესიაში, არც სახლში. ლაოდ. 26.

მღვდელი, ხუცესი

1. მღვდლის დადგენა. მღვდელს დაადგენს ერთი ეპისკოპოსი. მოც. 2. არა უადრეს ოცდაათი წლისა. ნეოკ. 11. VI 14, 15. მღვდლად ხელდასხმა არ შეიძლება მანამ, სანამ მისი ოჯახის ყველა წევრი არ გახდება მართლმადიდებელი. კართ. 36. მღვდლად დადგენა არ შეიძლება მაშინვე მონათვლის შემდეგ. I 2. არა ნაჩქარევად, არამედ გამოცდის შემდეგ. I 9. სარდ. 10. კირილე ალექსანდრიელი 4.

იხ. კლერიკოსები, ხელდასხმა

2. მღვდლის ურთიერთობა ეპისკოპოსთან. მღვდელმა არ უნდა შეურაცხყოს თავისი ეპისკოპოსი. ორგზ. 14. თავისი ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე მან არაფერი არ უნდა გააკეთოს. მოც. 39. ლაოდ. 57. მღვდელი, რომელიც დასტოვებს თავის ეკლესიას ეპისკოპოსის გარეშე და გადავა სხვა ეკლესიაში, განყენებული იქნება ზიარებისაგან, თუ არ დაბრუნდება. მოც. 15, I 15, 16. თუ მღვდელი მოიმოქმედებს განხეთქილებას, არად ჩააგდებს თავის ეპისკოპოსს, ცალკე მოაწყობს კრებებს, აღმართავს საკურთხეველს, იგი დაემხოება პატივისაგან როგორც ძალაუფლებისმოყვარე. მოც. 31. და შეჩვენებული იქნება. კართ. 10,11. დანგრ. 6. ორგზ. 13. მღვდელმა უნდა მოიხსენოს თავისი ეპისკოპოსის სახელი ლოცვებში. ორგზ. 13. მან თვალყური უნდა ადევნოს ეკლესიის მსახურთა ცხოვრების წესს და აცნობოს ეპისკოპოსს. ბასილი დიდის ეპისტ. ქორეპისკოპოსებისადმი.
3. მღვდლის სამწყემსო ვალდებულებები, მღვდელი მოცლილი უნდა იყოს საეკლესიო საზრუნავისათვის. მოც. 81. ის ვალდებულია ასწავლოს კლერიკოსებს და ერს კეთილმსახურება (მართლმორწმუნობა, ღვთისმოსაობა). მოც. 58. ხოლო უწესობებს უნდა შთააგონებდეს შეგონებებს, ხანდახან საეკლესიო ეპიტიმით. ორგზ. 9. უნდა დაეხმაროს გაჭირვებულ კლერიკოსს. მოც. 59. თუ მღვდელი არ ეზიარება საპატიო მიზეზის გარეშე, უზიარებელი უნდა იყოს. მოც. 8. თუ არ მიიღებს დავალებულ მსახურებას, განყენებული იქნება, სანამ არ მიიღებს. მოც. 36.

იხ. კლერიკოსები

4. ვინ არ შეიძლება იყოს გახდეს მღვდელი? ა) უნებლიე მკვლელი. გრიგოლ ნოსელი 4. ბ) საერო მთავრების მიერ არჩეული. VII 3. იხ. კლერიკოსები.

მღვდლობა

ვინც მიიღებს მღვდლობის პატივს, უნდა განისწავლოს უფლის სიტყვებსა და საღვთო მცნებებში, ვინაიდან ჩვენი მღვდელმთავრობის (იერარქიის)

არსს წარმოადგენს საღვთო წერილის ჭეშმარიტი ცოდნის მიწოდება. VII 2. სახალხო შეკრებას მღვდლის არჩევის უფლება არა აქვს. ლაოდ. 13.

იხ. მღვდელი.

მშობელი

მშობლებს არა აქვს შვილების დატოვების უფლება განდევილობის საბაბით. დანგრ. 15.

მცემელი

ეპისკოპოსი, მღვდელი, დიაკონი, რომელიც ან თავისი ხელით, ან სხვისი საშუალებით სცემს ცოდვილ მორწმუნეს, ან დამნაშავე ურწმუნოს, განიკვეთება პატივიდან. მოც. 27. ორგზ. 9.

მწვალებელი იხ. ერეტიკოსი

მწუხრი

მწუხრზე მუდამ ერთი და იგივე ლოცვები უნდა სრულდებოდეს. ლაოდ. 18.

მწყემსი

მწყემსმთავრობის მიმღებს მთელი გულისყური მიმართული უნდა ჰქონდეს იქით, რომ გზააბნეული ცხვარი დააბრუნოს და გველის ნაკბენს უმკურნალოს. VI 102.

ნავატიანები, ნოვატიანოზნი

წმინდას უწოდებენ თავიანთ თავს ნოვატიანები, ნოვატის მიმდევრები. I 8. II 7. VI 95. თეოფილე ალექსანდრიელის ეპისტოლე. ბასილი დიდი 1. ლაოდ. 7. ეპისტოლე მარტვირი ანტიოქიელისადმი.

ნათესაობა სულიერი

სულიერი ნათესაობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხორციელი კავშირი. ისინი, ვინც ნათლავენ ბავშვებს, არ უნდა დაქორწინდნენ მათ ქვრივ დედებზე. VI 53.

ნათესაობა ხორციელი

არ შეიძლება დაქორწინება ძმის ქალიშვილზე, მამისა და ვაჟიშვილისა-დედასა და ქალიშვილზე, მამისა და ვაჟისა-ორ დაზე, დედისა და ქალიშვილისა-ორ ძმაზე, ორი ძმისა-ორ დაზე, ქალისა-ორ ძმაზე, კაცისა-ორ დაზე. VI 54. ნეოკ. 2. ბასილი დიდი 23, 78. ბასილი დიდის ეპისტ. დიოდორესადმი. ტიმოთე ალექსანდრიელი 11. მათი შეერთება უნდა დაირღვეს და მათ უნდა დაედოთ ეპიტიმია. VI 54. ბასილი დიდი 78.

ნათლისცემა, ნათლისღება (ნათლობა, მონათვლა)

1. ნათლისღების სახე. ნათლისღება უნდა შესრულდეს უფლის განწესებით, მამისა, ძისა და სულიწმიდის მიმართ. მოც. 49. წყალში სამჯერ ჩაყოფით მოც. 50.
2. მოსანათლავთა ვალდებულებანი. ნათლისცემისათვის გამზადებულებმა უნდა შეისწავლონ სარწმუნოება და შვიდეულის (კვირის) მეხუთე დღეს მისცენ პასუხი ეპისკოპოსს ან მღვდელს. VI 78. ლაოდ. 46. მან, ვინც ნათელს-იღებს სნეულებაში, გამოჯამრთელების შემდეგ უნდა შეისწავლოს სარწმუნოება. ლაოდ. 47. ნათელღებულები განწმენდილი ცხოვრებით უნდა მიუახლოვდნენ ღმერთს. VI 96.

3. სხვადასხვა წესები ნათლისღების შესახებ. წარმართული ცხოვრებიდან სარწმუნოებაში ახალმოსულები არ უნდა მივიყვანოთ მაშინვე სულიერ ემბაზთან (საბანელთან, სანათლავეთან). I 2. ლაოდ. 45. ჩვილები ინათლებიან ცოდვების მისატევებელად, რათა ახალი დაბადებით (შობით) განიწმინდოს მათში ის, რაც მოჰყვათ ძველი დაბადებიდან (შობიდან). ის, ვინც უარს ამბობს ნათლობის საჭიროებაზე და ამტკიცებს, რომ ჩვილებს არაფერი გადმოსცემიათ წინაპართა ცოდვისაგან, რასაც ახალი შობით განწმენდა სჭირდება, ანათემას იმსახურებენ. კართ. 110. მეორედ ნათლისღება არ შეიძლება. მოც. 47. კართ. 48. ერეტიკული ნათლისღება არ არის მისაღები. მოც. 47. ბასილი დიდი 1. და ერეტიკოსთა მონათლულები ხელახლა უნდა მოინათლონ. მოც. 47, 68. ლაოდ. 8. ბასილი დიდი 1. II 7. VI 95. განხეთქილების მოქმედთა ნათლისცემა მისაღებია. ბასილი დიდი I. ნათლობა უნდა შესრულდეს ეკლესიაში, ხოლო სახლის სამლოცველოში მხოლოდ ეპისკოპოსის ნებართვით. VI 31, 59. რუისურბნ. 7. სნეულნი, რომელთაც არ შეუძლიათ პასუხის გაცემა, უნდა მოინათლონ, თუ მოწმე თავის თავზე აიღებს პასუხისმგებლობას. კარ. 45. ფეხმძიმე უნდა მოინათლოს, თუ სურს. ნეოკ. 6. თუ ყრმა ან სრულწლოვანი კათაკმეველი უცოდინრობით ეზიარება, ის უნდა მოინათლოს. ტიმოთე ალექსანდრიელი 1. თუ ემმაკეული (ბოროტი სულით შეპყრობილი) არ განთავისუფლდება, ის არ შეიძლება მოინათლოს. მაგრამ სიკვდილის დროს უნდა მოინათლოს. ტიმოთე ალექსანდრიელი 2. თუ კათაკმეველი სნეულების დროს გონს გადავა, უნდა მოინათლოს, თუ არაწმინდა სული არ გამოსცდის მას. ტიმოთე ალექსანდრიელი 4. თუ კათაკმეველ ქალს ნათლობის დღეს დაემართება დედათა წესი, ის არ შეიძლება მოინათლოს, სანამ არ განიწმინდება. ტიმოთე ალექსანდრიელი 6. არ შეიძლება ხელახლა მოინათლონ მღვდელმსახურნი, რომელთაც მძიმე ცოდვის გამო დაკარგეს მღვდელმსახურების უფლება. კართ. 27.

ნაკერპავი იხ. კერპი.

ნაკლი ხორციელი იხ. ხორციელი ნაკლი.

ნამხეცავი, მხეცის მოკლული იხ. ხორცი.

ნაყოფის დასაბამი იხ. პირველნაყოფი.

ნაყოფისშემწირველობა მოც. 3, 4.

ნახევრადარიანელნი (მწვ.) II 1. იხ. მაკედონიანოსნი, სულისმბრძოლნი.

ნება

ორი ნება უფლისა ჩვენისა, იხ. შესავალში, დოგმატი მეოთხე მსოფლიო კრებისა ორი ნების შესახებ.

ნებსითი, განზრახ მკვლელობა იხ. მკვლელობა.

ნელსაცხებლები

ეკრძალება სასულიერო წოდებას. VII 16.

ნესტორი (მწვ.)

VI 1. ნესტორის ან კელესტის მოძღვრების მიმდევარი კლერიკოსები განიკვეთებიან, ხოლო ერისკაცები არ უნდა ეზიარონ. III 1,2,4,5,7. სამღვდელო პირებმა, რომელთაც მართლმადიდებლობის გამო ნესტორის მიერ წართმეული ჰქონდა მღვდლობა, ისევ უნდა მიიღონ ხარისხი და პატივი. III 3. კრების მიერ დამხოვილნი და ნესტორის მიერ აღდგენილნი ისევ უნდა დაემხონ. III 5.

ნიკეის კრება იხ. კრება საეკლესიო მსოფლიო

ნილაბი

ქრისტიანმა არ უნდა ატაროს ატიკური, ჯამბაზური ან გასართობი სამსახიობო ნილაბი. VI 62.

ნოვატი (მწვ.)

რომის ეკლესიის მღვდელი. იხ. კომენტარი I 8.

ნუმიდია

ნუმიდიის მთავარეპისკოპოსს ჰქონდა ზოგიერთი განსაკუთრებული უფლება. კართ. 86.

ოთხშაბათი

ოთხშაბათს უნდა დავიცვათ მარხვა, იუდეველთა მიერ მაცხოვრის გაცემის გამო მოწყობილი შეკრების (საბჭოს) აღსანიშნავად. პეტრე ალექსანდრიელი 15.

ოლარი

დაბალ საეკლესიო მსახურებს არა აქვთ ოლარის ტარების უფლება. ლაოდ. 22,23.

ორიგენი (მწვ.)

მისი მოძღვრება მოხეტიალე გონების ოცნების შესახებ, რომელიც ცდილობდა ქრისტიანული მოძღვრებისა და ელინიზმის შეთანხმებას, დაგმოხილია. VI 1.

ორმოცდაათი დღე იხ. სულიწმიდის მოფენა, მარტვილია.

ორმოცის მარხვა იხ. დიდმარხვა.

ოსიოს კორდუბელი ეპისკოპოსი, სარდ. 1.

პავლიანტიები (პავლიკიანები, მწვ.) I 19, VI 95.

პანდუქიონი იხ. დუქანი.

პარასკევი

გადმოცემის თანახმად პარასკეობით უნდა დავიცვათ მარხვა მაცხოვრის ვნებათა გამო. პეტრე ალექსანდრიელი 15.

პარვა, ქურდობა

პარვა იყოფა ავაზაკობად და ფარულ ქურდობად. გრიგოლ ნოსელი 6. ავაზაკობის ჩამდენი ისჯება კაცისმკვლელის ეპიტიმით. გრიგოლ ნოსელი 6. კლერიკოსი, რომელიც მხილებული იქნება ფარულ ქურდობაში, განიკვეთება, მაგრამ არ ისჯება უზიარებლობით. მოც. 25. თუ ერისკაცი მპარავი თვითონ მოინანიებს, უზიარებლობით ისჯება ერთი წლით, ხოლო თუ სხვა ამხილებს, ორი წლით. ბასილი დიდი 61. თუ ფარულად მპარავი ცოდვას აღიარებს მღვდელთან, თავის სენს უნდა უმკურნალოს თავისი

ქონების დარიგებით გლახაკებისთვის, ან ფიზიკურად უნდა იშრომოს და ამით დახმარება გაუწიოს გაჭირვებულებს. გრიგოლ ნოსელი 6.

პატივი

ვინც თავისი თანხმობისა ან ხელმოწერის მტკიცების საწინააღმდეგოდ მოიქცევა, თვითონ დაუკლია თავისთვის პატივი. კართ. 13. ვინც დაიცავს განკითხულ კლერიკოსს, დაკარგავს პატივს. კართ. 62. პატივი საჯდომელისა. VI 3, 26. ანკ. 1, 2. დამხობა პატივისაგან. IV 10.

პატივი, თანამდებობა

სულიერი პატივი უმაღლესია ამქვეყნიურ საერო პატივზე. VI 7.

პატრიარქი

მოც. 34, I 4, 6, 7. II 2, 3. III 8. IV 9, 17, 28. VI 36, 39. ანტ. 19. სარდ. 3, 4, 5. კართ. 7, 39. ის, რაც განსაზღვრულია მღვდლებისა, ეპისკოპოსებისა და მიტროპოლიტების შესახებ, და უფრო მეტიც, შეეფერებათ პატრიარქებს. ორგზ. 15.

პელაგიოს (მწვ.)

კართ. 108.

პეპუზიანელი (მწვ.)

მონტანის მიმდევრები. II 7. ბასილი დიდი 1.

იხ. მონტანელი

პერექელი იხ. შესამოსელი საკურთხევლისა

პერიოდევტი

(მომხილველი, მიმომავალი)

მცირე ქალაქებში და სოფლებში დაადგენენ პერიოდევტებს და არა ეპისკოპოსებს. ლაოდ. 57.

პეტრე ალექსანდრიელი არქიეპისკოპოსი

წმინდა მამა. მისი კანონები შესულია საეკლესიო კანონში. VI 2.

პირველნაყოფი

მიაქვთ საკურთხეველთან. იხ. საკურთხეველი.

პირობა იხ. აღთქმა

პირუტყვთა გამხრწნელი

მიიღება ზიარებაზე თხუთმეტწლიანი ეპიტიმის შემდეგ. ბასილი დიდი 7,63, ან მეტი. გრიგოლ ნოსელი 3. ხანდახან მხოლოდ სიცოცხლის აღსასრულის ჟამს, ასაკის მიხედვით, ან სხვა გარემოებათა გათვალისწინებით. ანკ. 16. უნდა ილოცონ ეშმაკეულთან ერთად. ანკ. 17.

პონტოელი

პონტოელი ეპისკოპოსები. II 2.

პორფირი (მწვ.)

პოტირიტისი იხ. ადგილისმცველი

პროცენტი იხ. ვახში

პური მადლობისა იხ. ზიარება, ევქარისტია

პურის შეწირვა იხ. ლიტურგია.

ჟამი (საათი) მეცხრე

მეცხრე ჟამზე მუდამ ერთი და იგივე ლოცვები უნდა იკითხებოდეს. ლაოდ.
18.

ჟამისწირვა იხ. ლიტურგია

რიგინოს კვიპრელი ეპისკოპოსი III 8.

რიცხვებით მკითხავნი (მსახვრალნი)

იხ. გრძნეულება

როკვა იხ. ცეკვა

რომაელი ეპისკოპოსი

რომაელ ეპისკოპოს უნდა ჰქონდეს ძალაუფლება დასავლეთში. I 6.

რომი ახალი იხ. ახალი რომი

საბელიანოსნი (მწვ.)

II 1, 7. VI 95. ეპისტოლე მარტვირი ანტიოქელისადმი.

საბუთი სამეფო

IV 12.

საგზალი საბოლოო

ზიარება საბოლოო ჟამს უნდა ყველა მომაკვდავს, რომელსაც აქვს ამის სურვილი, ეპისკოპოსის თანხმობით. I 13. იგივე უნდა ითქვას სიკვდილის საფრთხეში მყოფთა შესახებაც. კართ. 7. გრიგოლ ნოსელი 5.

სადავო საქმე იხ. სამსჯავრო, სასამართლო.

საეკლესიო განწესება იხ. განწესება საეკლესიო.

საეკლესიო ქონება იხ. ქონება საეკლესიო.

საეკლესიო შეკრება იხ. შეკრება საეკლესიო.

საეკლესიო ხარისხი იხ. ხარისხი საეკლესიო.

საეპისკოპოსო

ეპისკოპოსი უნდა ზრუნავდეს ყველას საეკლესიო ნივთზე და განაგებდეს მათ, როგორც ღვთის ზედამხედველობის ქვეშ მყოფთ. მოც. 38. საეპისკოპოსოს კუთვნილი მიწები და ადგილ-მამული ეპისკოპოსმა არ უნდა მიჰყიდოს ადგილობრივ ხელისუფალთ და სხვას ვისმე. მაგრამ მათი უსარგებლობის მიზნით მას შეუძლია მისცეს ისინი კლერიკოსებს ან მიწათმოქმედებს. ხოლო თუ ხელისუფალი მიმართავს ეშმაკობას და კლერიკოსისგან ან მიწათმოქმედისგან შეისყიდის მიწას, ასეთ შემთხვევაში გაყიდვა ძალაში არ არის და გაყიდული მიწა უნდა დაუბრუნდეს საეპისკოპოსოს. VII 12. ეპისკოპოსს არა აქვს მონასტრის თავისთვის აშენების უფლება, რათა ამით არ გააღარიბოს თავისი საეპისკოპოსო. მისი აშენებული უნდა მიეცეს საეპისკოპოსოს, როგორც მისი საკუთრება. ორგზ. 7. საეპისკოპოსოს გამარცვა და მისი გადაქცევა ჩვეულებრივ საცხოვრებლად კლერიკოსს მოუტანს განკვეთას, ხოლო მონაზონსა და ერისკაცს უზიარებლობას. VII 12, 13. ეპისკოპოსის ყოფნის დროს ქალები უნდა განერიდონ იქაურობას. VII 18.

საერო ხელისუფლება იხ. ხელისუფლება საერო

საზრდოს მიღება

აკრძალულია ჭამის დროს სატანური სიმღერები და განცხრომა დამატკბობელი ხელოვნებით. მღვდელმსახურებმა არ უნდა ჭამონ ქალებთან განცალკევებით, არამედ ღვთისმომშიშ და მოწიწებით აღსავსე კაცებთან და ქალებთან ერთად, რათა ტრაპეზის მეშვეობით თითონაც მიიღონ და სხვასაც მიაღებინონ სულიერი დამოდღვრა. VII 22. ტყვე ქრისტიანთათვის საკვების მიღება წარმართთა ხელიდან ნებადართულია, თუ ის კერპისთვის შენაწირავს არ წარმოადგენს, გრიგოლ ნეოკესარიელის ეპისტოლე.

საკმეველი

ზეთისა და საკმეველის შეტანა საკურთხეველში. მოც. 3.

საკოფორები (მწვ.) (ძაძით მოსილნი)

ბასილი დიდი . 47.

საკურთხეველი, სამსხვერპლო

წმინდა საკურთხეველში შესვლისა და იქ ზიარების უფლება აქვთ მხოლოდ განწმენდილებს. ლაოდ. 19, და არც ერთ ერისკაცს, სამეფო ღირსების მქონე პირთა გარდა. VI 69. ქალი საკურთხეველში ვერ შევა. ლაოდ. 44. საკურთხეველი ანუ სამსხვერპლო უნდა აღიმართოს ეპისკოპოსის კურთხევით. მოც. 31. ანტ. 5. მღვდელს და დიაკონს ცალკე საკურთხეველის აღმართვის უფლება არა აქვთ. ანტ. 5. საკურთხეველები, რომლებსაც აღმართავენ მინდვრებსა და ვენახებში მოწამეთა ნაწილების მოსახსენებლად, ასევე სიზმრისა და ამაო ჩვენებების შედეგად, უნდა დაინგრეს, ხოლო აღშფოთებულ ერს უნდა შთააგონონ, რომ ასეთი საკურთხეველის დანგრევა აუცილებელია. კართ. 83. საკურთხეველთან არ შეიძლება რძის, თაფლის, ფრინველის, პირუტყვის, ხორცის, ბოსტნეულისა და თაფლუჭის მიტანა. შეიძლება მხოლოდ ღვინისა და პურის მიტანა. მოც. 3. VI 57, 99. კართ. 37. ზეთისა და საკმეველის შეტანა საკურთხეველში. მოც. 3. ხორბლისა და ყურძნის პირველნაყოფის შეტანა კურთხევისათვის. მოც. 3. კართ. 37.

საკურთხეველის საიდუმლო იხ. ლიტურგია

სამარტვილო იხ. ტაძარი მოწამეთა

სამება

წმინდა სამების ერთობას არავითარი განსხვავება არ გააჩნია. კართ. 2.

სამთავრო (ეპარქია) იხ. ეპისკოპოსი.

სამლოცველო, სალოცავი სახლი.

არ უნდა აშენდეს ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე. IV 4. და ნუ დაიწყებს შენებას ის, ვისაც არ შეუძლია დამთავრება. VII 17.

იხ. ეკლესია სახლისა

სამოსელი

ეპისკოპოსებმა და კლერიკოსებმა არ უნდა ჩაიცვან ძვირფასი, ფერადი და ღია ფერის სამოსელი. VII 16. ღანგრ. 21. კლერიკოსებმა შეუფერებელი სამოსელი არც ქალაქში არ უნდა ატარონ, არც გზაში, არამედ კლერიკოსთათვის განწესებული. VI 7. ვინც გაკიცხავს სადა და უბრალო სამოსლის ჩამცმელს, იგი უნდა გამოსწორდეს განკანონებით, ეპიტიმით. VII 16. არ არის საჭირო მკაცრი სამოსლის ტარება ცრუმოდვაწეობის მიზნით, არც იმათი გაკიცხვა, ვინც მოკრძალებით ატარებს აბრეშუმისა და ჩვეულებრივ ტანსაცმელს. ღანგრ. 12. მამაკაცმა არ უნდა ჩაიცვას ქალის სამოსელი, არც ქალმა-მამაკაცისა. VI 62. არც მოღვაწეობისათვის. ღანგრ. 13.

სამოქალაქო

თუ რომელიმე ქალაქი განახლებული იქნება სამეფო ხელისუფლების მიერ, მაშინ საეკლესიო სამრევლოთა და საქმეთა გამგებლობა უნდა მისდევდეს სამოქალაქო, საერო წესს. IV 17. VI 38.

სამოქალაქო ხელისუფლება იხ. ხელისუფლება საერო

სამრევლო (სამწყსო)

თითოეული ეკლესიის კუთვნილი სახნავ-სათესი ადგილისა და სოფლის შემოსავალი მტკიცედ და უცვლელად უნდა ჰქონდეს ამ ეკლესიის ეპისკოპოსს IV 17. VI 25. განსაკუთრებით, თუ ისინი ოცდაათი წლის განმავლობაში დავის გარეშე იყვნენ მის მფლობელობაში. IV 17. VI 25. დავას მათ შესახებ გადაწყვეტს სამთავროს კრება, ეგზარხოსი ან პატრიარქი. IV 17. VI 25. ქალაქის განახლების შემთხვევაში შემოსავლის განაწილება უნდა ხდებოდეს სამოქალაქო და საერო წესის მიხედვით. IV 17. VI 38.

სამსხვერპლო იხ. საკურთხეველი

სამსჯავრო, სასამართლო

1. ზოგადი დიდებულებები. სასამართლო უნდა ჩატარდეს არა მტრობით, მიკერძოებით და პირფერობით (პირმოთნეობით). კართ. 15. ბრალდებულს შეუძლია აცილება მისცეს მისთვის საექვო მოსამართლეს. კირილე ალექსანდრიელი 1. და ითხოვოს საჭირო დრო თავის დასაცავად. კირილე ალექსანდრიელი 1.
2. მოწმეები და ბრალმძებლები ეპისკოპოსისა და ყველა კლერიკოსის წინააღმდეგ. საეკლესიო საქმეების გამო ეპისკოპოსს შეიძლება ბრალი დასდონ მხოლოდ ღირსეულმა ადამიანებმა. მოც. 74. ეპისკოპოსებზე და კლერიკოსებზე დასმენა არ შეიძლება მიღებულ იყოს ყველასგან, გამოკვლევის გარეშე, არამედ წინასწარ უნდა გამოიდიონ საზოგადოებრივი აზრი დამსმენთა შესახებ. IV 21. ეპისკოპოსებზე და კლერიკოსებზე ბრალდება არ მიიღება:
 - 1) მწვალებლისა, ელინისა (წარმართისა) და იუდეველისგან. მოც. 75. II 6. კართ 129. 2) განკითხული და ეკლესიიდან გაძევებული კლერიკოსისგან, განყენებული ერისკაცისგან, აგრეთვე

ბრალდებულისგან და იმათგან, ვინც თითონ არის დასმენილი. II 6. კართ. 128. 3) ბოროტებაში შემჩნეულ და განქიქებულ პირთაგან. კართ. 8, 19. 4) მონებისა და განთავისუფლებულებისგან. კართ. 129. 5) იმათგან, ვინც ამ საქმეს არჩევდა წინათ ან ესწრებოდა საქმის განხილვას. კართ. 59. 6) იმათგან, ვისაც სამოქალაქო კანონი ბალმდებლად არ მიიღებს. კართ. 129. 7) იმათგან, ვისაც აქვს უპატიოების ლაქა, როგორებიც არიან სიბილწის მოქმედი მიმოსები, ნიღბის მატარებელნი, მეძავთ მფარველნი, მხეცებთან მებრძოლნი და სხვ. კართ. 129. 8) იმ ბრალმდებლისაგან, რომელმაც მის მიერ სხვა დროს წარდგენილი ბრალდების დამტკიცება ვერ შეძლო. კართ. 130. 9) ბრალდება ერთი ბრალმდებლისაგან, თუნდაც ეპისკოპოსი იყოს იგი, არ მიიღება. კართ. 132. კერძო საჩივარი ეპისკოპოსზე და კლერიკოსებზე (მაგ.: ქონებრივ საქმეზე) მიღებული უნდა იყოს ყველასაგან. II 6. კართ. 19, 129.

3. ეპისკოპოსზე სამართლის გარიგების წესი. უმწიკვლო ბრალმდებელმა ეპისკოპოსზე თავისი ბრალდება უნდა წარუდგინოს ეპარქიის ყველა ეპისკოპოსს და დაამტკიცოს იგი. II 6. ეპისკოპოსს ასამართლებს საეკლესიო კრება. მოც. 74. თუ კრება ვერ შეიკრიბება, ეპისკოპოსს ასამართლებს თორმეტი ეპისკოპოსი. კართ. 12. თუ სამთავროს ეპისკოპოსები ვერ გადაწყვეტენ ბრალდების საქმეს, ბრალმდებელმა უნდა მიმართონ დიდ (სრულ) კრებას წერილობით და თუ ისინი ცილისმწამებლები აღმოჩნდებიან, დაისჯებიან ბრალდებულთან ერთად. II 6. ეპისკოპოსის ბრალმდებელმა საქმე უნდა წარუდგინოს სამთავროს უპირველს ეპისკოპოსს და ბრალდებული უნდა ჩამოაშორონ ზიარებას მხოლოდ შემთხვევაში, თუ არ გამოცხადდება სასამართლოზე დათქმულ დროს. კართ. 19. ეპისკოპოსი პირადად უნდა გამოცხადდეს სასამართლოზე. მოც. 74. ერთი თვის, ან გაჭირვების შემთხვევაში ორი თვის ვადაში. თუ გადააცილებს ვადას, უზიარებლობით უნდა დაისაჯოს, სანამ არ გაიმართლებს თავს. კართ. 19. თუ იგი არ გამოცხადდება სასამართლოზე ორი ეპისკოპოსის მიერ მესამე გამოძახების შემდეგაც, მაშინ კრება თავის შეხედულებისამებრ გამოიტანს გადაწყვეტილებას მის შესახებ. მოც. 74. კართ. 19. თუ დამსმენი საქმის განხილვის დროს მიიძალება, ბრალდებული ეპისკოპოსი მიღებული იქნება ზიარებაში, ხოლო ბრალმდებელი დაისჯება უზიარებლობით და თუ იგი საქმის მსვლელობის დროს

რაიმეთი შეიბღალემა, მისგან ბრალდებას აღარ მიიღებენ. კართ. 19. ეპისკოპოსის გამსამართლებელთა შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში მიტროპოლიის ეპისკოპოსმა უნდა მოიწვიოს რამდენიმე ეპისკოპოსი მახლობელი სამთავროდან. ანტ. 14. პატრიარქიც ვერ განიკითხავს თავის ქვეშევრდომ ეპისკოპოსს კრების გარეშე. მან საბრალდებო საქმე განსახილველად უნდა გადასცეს კრებას თავისი თანდასწრებით. კირილე ალექსანდრიელი I.

4. მღვდლებზე, დიაკვნებზე და სხვა კლერიკოსებზე სამართლის გარიგების წესი. ძირითადი წესები ისეთივეა, როგორც ეპისკოპოსთა შესახებ. კართ. 20. თავისებურებები შემდეგია: 1. მღვდელს ასამართლებს ექვსი ეპისკოპოსი და საკუთარი, ხოლო დიაკონს-სამი. კართ. 12, 20. სხვა კლერიკოსთა საბრალდებო საქმეებს განიხილავს და გადაწყვეტს მხოლოდ ადგილობრივი ეპისკოპოსი. კართ. 20. კლერიკოსის დამნობა არ შეიძლება მხოლოდ ეჭვის საფუძველზე. თეოფილე ალექსანდრიელი 6. თუ კლერიკოსი, რომელიც დასმენილია (ბრალდებულია), ერთი წლის განმავლობაში არ წარადგენს თავისი უდანაშაულობის მტკიცებას, იგი ვეღარ გაიმართლებს თავს. კართ. 79.
5. სააპელაციო საქმეები. საქმეები, როდესაც ბრალდებული უკმაყოფილოა ჩატარებული სასამართლოთი.
 - I. საქმის გადატანის უადგილობა. სასულიერო პირთა შესახებ საქმეები არ შეიძლება გადაიტანონ: ა) საეკლესიო სასამართლოდან სამოქალაქო სასამართლოზე. IV 9. კართ. 15, 104. ბ) ორივე მხარის შეთანხმებით არჩეული მოსამართლეებისაგან. კართ. 96, 122. გ) სამთავროს ყველა ეპისკოპოსისგან, რომელთაც გამოიტანეს შეთანხმებული განაჩენი. ანტ. 15. დ) თუ ბრალდებული ვერ დაამტკიცებს, რომ მისი საქმე თხოულობს მეორედ განხილვას. სარდ. 3.
 - II. ამგვარ საქმეთა წესრიგი. მღვდლებისა და სხვა კლერიკოსთა საჩივრები ეპისკოპოსებზე უნდა მოისმინონ მეზობელმა ეპისკოპოსებმა და მათი საკუთარი ეპისკოპოსების თანხმობით შეწყვიტონ წარმოშობილი უთანხმოება. მათგან შეიძლება საქმის გადატანა სამთავროს უპირველეს ეპისკოპოსთან. კართ. 11, 28, 125.

სარდ. 14. ასეთ შემთხვევაში უნდა მიმართონ მიტროპოლიტს. IV 9. ხოლო მათგან დიდი განსაგებელის (ოლქის) ეგზარხოსს, ან აღმოსავლეთში კონსტანტინოპოლის საყდარს. IV 9, 17, ხოლო დასავლეთში რომის ეპისკოპოსის საყდარს. სარდ. 3,4,5. მაგრამ აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან არავინ არ უნდა წავიდეს საჩივრით ზღვის გადაღმა, ე.ი. რომის ეპისკოპოსთან. კართ. 28, 125. ეპისკოპოსთა სასამართლოს მიერ განკითხული კლერიკოსი, რა ხარისხიც არ უნდა ჰქონდეს მას, არ უნდა დაიცვას ეკლესიამ, სადაც ის მსახურობს, და არც ერთმა ადამიანმა. კართ. 62.

სანახაობანი

დაგმობილია. VI 24, 51. კართ. 15. განსაკუთრებით აღდგომის რვა დღის განმავლობაში. VI 66. კართ. 61. კლერიკოსი, რომელსაც მიიწვევენ ქორწილზე, ან წვეულებაზე, თამაშობათა და სალალობო სანახაობათა დაწყებისთანავე უნდა გაეცალოს იქაურობას. VI 24. ლაოდ. 54. მღვდლების შვილებმა არ უნდა წარმოადგინონ, არც უნდა უყურონ საერო სანახაობებს. კართ. 15. თუ მსახიობი ან ხუმარა მოინდომებს სალალობო სანახაობათა მიტოვებას, ნურავინ ნუ აიძულებს მას, რომ დაუბრუნდეს ძველ ხელობას. კართ. 63. მათ არ უნდა ეთქვათ უარი შეწყალების მადლზე. კართ. 45.

სანთელი

სანთლის მიტაცება ეკლესიიდან იხ. სიწმინდეთმკრებელობა.

სარგებელი იხ. ვახში

სარწმუნოება, რწმენა

რწმენის სიმბოლო. სარწმუნოება, რომელიც გადმოცემულია ღვთიური სიტყვის (ლოგოსის) თვითმხილველთა, მოციქულთა მიერ, კრებათა და წმინდა მამათა მიერ, უნდა დავიცვათ ხელშეუხებლად სიახლეებისა და

ცვლილებებისაგან. VI 1. განსაკუთრებით არავის არა აქვს უფლება, წარმოთქვას ან დაწეროს ახალი სარწმუნოება, ნიკეაში განსაზღვრულის გარდა. III 7. კართ. 2.

სარწმუნოების უარყოფა, ქრისტესგან განდგომა

თუ კლერიკოსი უარყოფს ქრისტეს ადამიანური შიშის გამო, ის ეკლესიიდან უნდა განიდევნოს, ხოლო თუ ამას ჩაიდენს ქრისტეს მსახურის სახელით, უნდა განიკვეთოს კლერიკოსთაგან. თუ მოინანიებს, მიღებული იქნება ეკლესიაში როგორც ერისკაცი. მოც. 62. პეტრე ალექსანდრიელი 10. ქრისტეს უარყოფის შემდეგ კლერიკოსი განიკვეთება. I 10. ვინც თვითონ განდგება და განდგომისაკენ მოუწოდებს სხვებსაც, სრულ ზიარებაზე მიღებულ უნდა იყვნენ ათი წლის შემდეგ. ანკ. 9. თვითნებურად ქრისტეს უარყოფელმა და მომნანიებელმა მთელი სიცოცხლე უნდა გაატაროს შეტირილში (იხ.), ხოლო ზიარების ღირსნი უნდა გახდნენ სიცოცხლის ბოლოს. ბასილი დიდი 73. გრიგოლ ნოსელი 1. ის, ვინც ქრისტეს უარყოფს საშინელი ტანჯვა-წამების შედეგად, მიღებული იქნება ზიარებაზე. პეტრე ალექსანდრიელი 1, ან რვა წლის შემდეგ. ბასილი დიდი 81, ან სიძვის მოქმედთა სასჯელით დაისჯება. გრიგოლ ნოსელი 1. მაგრამ ის, ვინც საპყრობილეში სიმყრალე და ტანჯვა აიტანა და მოინანია ქრისტეს უარყოფა, მიღებული იქნება ზიარებაზე ოთხი წლის შემდეგ. პეტრე ალექსანდრიელი 2. ვინც ტანჯვის გარეშე, სულმოკლეობისა და შიშის შედეგად უარყოფს სარწმუნოებას და შემდეგ მოინანიებს, მიღებული იქნება ზიარებაზე თორმეტი წლის შემდეგ. I 11, თერთმეტი წლის შემდეგ. ბასილი დიდი 81. ოთხი წლის შემდეგ. პეტრე ალექსანდრიელი 3. ქრისტეს უარყოფელნი, რომელთაც სასოწარკვეთის გამო ვერ მოინანიეს, საუკუნო განკითხვას იმსახურებენ. პეტრე ალექსანდრიელი 4. მას, ვინც მოჩვენებით განუდგა ქრისტეს, მაგრამ კერპისთვის არ შეუწირავს, ეკისრება ექვსთვიანი სინანული. პეტრე ალექსანდრიელი 5. ის, ვინ უარყოფს სარწმუნოებას ადრინდელი სამხედრო წოდების მისაღებად და ამისთვის ფულს იხდის, განეყენება წმინდა საიდუმლო ზიარებას თხუთმეტი წლით. I 12. ქრისტიან მონებს, რომლებიც თავიანთმა ბატონებმა აიძულეს მუქარით კერპისათვის შეეწირათ მსხვერპლი, ეკისრებათ ერთი წლით სინანული. პეტრე ალექსანდრიელი 6. თითონ ბატონები კი, როგორც ცილისწამებისა, ასევე მონების იძულებისათვის უნდა შეუდგნენ სინანულს სამი წლით. პეტრე

ალექსანდრიელი 7. ზოგმა ერთხელ უარყო ქრისტეს სარწმუნეობა, შემდეგ ისევ მოეგო გონს, ღვაწლს შეუდგა, აღიარა, რომ ქრისტიანია და ტანჯვაც განიცადა საპყრობილეში. ასეთთან ერთად სამართლიანია გულითადი სიხარულით ლოცვა და ზიარება. პეტრე ალექსანდრიელი 8. ზიარების ღირსია ისიც, ვინც უეცრად შეუდგა ღვაწლს და ამით ცდუნებაში ჩავარდა. პეტრე ალექსანდრიელი 9. მან, ვინც სამრვდელო დასიდან დაეცემა, შემდეგ მოინანიებს შეცდომას და კვლავ შეუდგება ღვაწლს, არ უნდა განაგრძოს მღვდლობა, არამედ მხოლოდ ზიარებაში უნდა იყოს. პეტრე ალექსანდრიელი 10. სამართლიანია ლოცვა იმაზე, ვინც თავი თითონ ჩაიგდო დევნის მდულარებაში, ხორცის უძლურების გამო ვერ აიტანა ტანჯვა და დაეცა, მაგრამ შემდეგ მოინანია. პეტრე ალექსანდრიელი 11. მას, ვინც ვერცხლს (ფულს) იხდის იმისთვის, რომ თავის დაიხსნას მდევენელთა რისხვისაგან, ეს არ უნდა ჩაეთვალოს დანაშაულად. პეტრე ალექსანდრიელი 12. შდრ. საქმე 17. 9, 10. ის, ვინც ყველაფერს მიატოვებს სულის ხსნისათვის და გაექცევა მდევენელებს, არ არის დამნაშავე იმაში, რომ მის ნაცვლად სხვა შეიპყრეს. პეტრე ალექსანდრიელი 13.

სასამართლო იხ. სამსჯავრო

სასტუმრო იხ. უცხოთ-სადგური

საფლავი მწვალებელთა

მწვალებელთა საფლავებზე, რომლებსაც ისინი მოწამეთა ადგილს უწოდებენ, მორწმუნეები არ უნდა დადიოდნენ ლოცვისა და განკურნებისათვის. ლაოდ. 9.

საფლავის მძარცველნი

საფლავის მძარცველობა შესანდობელი და შეუნდობელი. გრიგოლ ნოსელი 7. ეპიტიმია ამ დანაშაულისათვის. გრიგოლ ნოსელი 7. ბასილი დიდი 6.

საქმის გადატანა უზენაეს სასამართლოში იხ. სამსჯავრო, სასამართლო.

საღვთო (წმინდა) წერილი

საღვთო წერილი ახსნილი და განმარტებული უნდა იყოს წმინდა მამათა ნაწერებთან შეთანხმებით. VI 19. ყველა ქრისტიანი, განსაკუთრებით მღვდელმსახურნი განსწავლულნი უნდა იყვნენ საღვთო წერილში. VII 2. წერილისაგან არ არის სიტყვა-სიტყვითი სიზუსტის მოთხოვნა, როდესაც თარგმანი კარგად გადმოსცემს საკითხს, მაგრამ არ გადმოაქვს საკუთრივ ებრაული სიტყვის მნიშვნელობა. ბასილი დიდი 15. საღვთო წერილის წინააღმდეგი არავინ გადარჩენილა დაუსჯელი. კართ. 5.

საყდარი (საეპისკოპოსო კათედრა)

პირველი საყდრის ეპისკოპოსს არ უნდა ეწოდოს უზენაესი მღვდელი. კართ. 39.

საჩივარი იხ. სამსჯავრო, სასამართლო.

საცთური მორწმუნე უნდა განერიდოს საცთურს. VI 47.

საცოთმოქმედი (თილისმის მკეთებელი) იხ. გრძნეულობა, მისნობა.

საცხებელი იხ. მირონი.

საწამებელი იხ. ტაძარი მოწამეთა.

საწამებელი ეპისტოლე იხ. ეპისტოლე დასამტკიცებელი

საჭმელი

არ შეიძლება საჭმლის გასაყიდი ფარდულის მოწყობა ეკლესიის ღობის შიგნით. VI 76.

საჭურისი

ვინც საჭურისი გახდა ძალდატანების შედეგად ბარბაროსთა შემოსევების დროს, ან სნეულების გამო, ან ისე დაიბადა, ის შეიძლება იყოს სამღვდელო დასში და თუ ღირსია, ეპისკოპოსიც კი. მოც. 21. I 1. მაგრამ ვინც თვით გამოისაჭურისა თავი, თუ კლერიკოსია, უნდა განიკვეთოს, ხოლო თუ ერისკაცია, მისი მიღება არ შეიძლება სამღვდელო დასში და იგი სამი წლით უზიარებელი უნდა იყოს. მოც. 22, 23, 24. I 1. საჭურისებს, სამღვდელონი იქნებიან ისინი, თუ ერისკაცები, თავისთან, ერთ ჭერქვეშ არ უნდა ჰყავდეთ ქალი, ან მონა ქალი, გარდა დედისა, ცოლისა, დისა, დეიდა-მამიდისა და სხვა უეჭვო პირებისა. I 3. VI 5. ვინც სხვას გამოასაჭურისებს თავისი ხელით ან ბრძანებით, სნეულების გარეშე, თუ სამღვდელო იქნება, უნდა განიკვეთოს, თუ ერისკაცი-უზიარებლობით დაისაჯოს. ორგზ. 8.

სახალხო შეკრება იხ. შეკრება სახალხო

სახარება

გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვა. ამფილოქე იკონიელის იამბიკონი სალევკოსისადმი. შაბათობით სხვა წიგნებთან ერთად სახარებაც უნდა იკითხონ. ლაოდ. 16.

სახლი ღვთისა იხ. ტაძარი ღვთისა

სახუმარო სანახაობა იხ. სანახაოებანი

საჯდომელი პატივი იხ. პატივი

სევეროსი (მწვ.) VI 95

სესხი იხ. ვახში

სიახლე

საღვთო წერილისა და საეკლესიო კანონების საწინააღმდეგო სიახლეების შემოტანა არ შეიძლება. ღანგრ. 21. I 2.

სიზმარი, ჩვენება

საკურთხეველი, მოწყობილი სიზმრისა და ცრურწმენის მიხედვით იხ. საკურთხეველი

სიზმარში დაბრკოლებული იხ. დინება თესლისა

სიმდიდრე

სიმართლით შეძენილი და სიკეთისათვის დახარჯული სიმდიდრე არ უნდა დავამციროთ. ღანგრ. 21.

სიმონია

სულიწმიდის მადლი არ იყიდება. VI 23. ამიტომ:

1. ხელდმსხმელნი და ხელდასხმულნი ფულით ან საჩუქრით, აგრეთვე მათი ხელშემწყობნი უნდა განიღვენონ ხარისხიდან და თანამდებობიდან. ერისკაცები და მონაზვნები შეჩვენებულნი უნდა იყვნენ. მოც. 29. IV 2. VI 22, 23. VII 4, 5, 19. რუის-ურბ. 5. ფულის აღება ხელდასხმისათვის, ხელდასხმის წინ მოხდება ეს, მის შემდეგ, თუ მის დროს, სულერთია. ბასილი დიდის ეპისტოლე ქვეშევრდომი ეპისკოპოსებისადმი ფულით ხელდასხმის შესახებ. გენადი კონსტანტინოპოლელის ცირკულარი. ტარასი კონსტანტინოპოლელის ეპისტოლე ადრიანე პაპის მიმართ.
2. ეპისკოპოსი, ან მღვდელი წმინდა ზიარებისათვის თუ მოითხოვს ფულს ან სხვას რასმე, ის განკვეთილი უნდა იყოს. VI 23.
3. ის, ვინც ფულით აღკვეცს ვინმეს მონაზვნად, განკვეთილი უნდა იყოს. VII 19.

სინაგოგა იხ. შესაკრებელი ურიათა.

სინანული, მონანიება იხ. შეტირილი, მსმენელობა, შევდრომა, თანამდგომარეობა, მონანული, მომნანიებელი.

სისხლი

ცხოველის სისხლის ჭამა არ შეიძლება. VI 67.

სისხლი უფლისა იხ. ზიარება

სისხლის აღრევა

სისხლის აღრევის ცოდვაში ჩავარდნილთა ეპიტიმები. ბასილი დიდი 67, 75, 76, 79.

სიყვარულის ტრაპეზი იხ. ალაპი

სიძვა

ა) სიძვის განსაზღვრება. სიძვისა და მრუმობის განსხვავება. გრიგოლ ნოსელი 3. სიძვის მოქმედად ითვლება ქმარი, რომელიც დაუკავშირდება თავისუფალ ქალს. ბასილი დიდი 21. მეძვად ითვლება მამის ან ბატონის ნებართვის გარეშე გათხოვილი ქალი. ბასილი დიდი 38, 40, 42.

ბ) ეპიტიმია (კანონი, განკანონება) სიძვის ჩამდენი ერისკაცისთვის. ვინც თითონ აღიარებს ცოდვას, ის იქნება შედარებით ხანმოკლე ეპიტიმის ქვეშ. ხოლო ის, ვინც ცოდვასაც ამხილებს სხვა, ექვემდებარება ხანგრძლივ ეპიტიმას. გრიგოლ ნოსელი 3. ასეთი ეპიტიმია გრელდება ცხრა წელი. გრიგოლ ნოსელი 3, შვიდი წელი-ბასილი დიდი 59, ოთხი წელი-ბასილი დიდი 22 და სამი წელი-ბასილი დიდი 38. როგორ უნდა გაიარონ ეს ეპიტიმია? გრიგოლ ნოსელი 3. ბასილი დიდი 22, 59. როგორ უნდა მოვექცეთ იმას, ვიონც მოიტაცა სხვისი დანიშნული ან ცოლი და ფარულად ან ძალადობით გახრწნა იგი? ბასილი დიდი 22. მამის ან ბატონის თანხმობის გარეშე გათხოვილი ქალი უნდა ჩამოშორდეს ზიარებას სამი წლით. ბასილი დიდი 38.

გ) ეპიტიმია სიძვის ჩამდენ სასულიერო პირთათვის. მღვდელმსახურნი და ეკლესიის მსახურნი, რომლებიც სიძვაში მხილებულ იქნებიან, განიკვეთებიან სამღვდლო ხარისხიდან. მოც. 25. ბასილი დიდი 3, 32, 70. ნეოკ. 1. თუ წიგნისმკითხველი ქორწინებამდე შეუერთდება თავის დანიშნულს, მაღალ ხარისხს ვერ მიიღებს. ბასილი დიდი 69.

დ) ეპიტიმია მეძვთა შემკრებ-გამომკვებთათვის. VI 86.

სიწმინდე

ეპისკოპოსები, მღვდლები, დიაკვნები და ყველა კლერიკოსი, ვინც ეხება სიწმინდეს, უნდა განეყენონ მეუღლეებს და სიწმინდით შეინახონ თავი. კართ. 4.

სიწმინდეთმკრეხელობა

ითვლება მძიმე სნეულებად. გრიგოლ ნოსელი 6. მაგრამ წმინდა მამების მიერ სიწმინდეთმკრეხელებს განსაზღვრული აქვთ ნაკლები ეპიტიმია, ვიდრე მრუშებს. გრიგოლ ნოსელი 8. ის, ვინც საკურთხევლის წმინდა ჭურჭელის ან სამოსელს მიიტაცებს საკუთარი სარგებლობისთვის ან უწმინდური გამოყენებისათვის, განიკვეთება. ორგზ. 10. ის, ვინც ეკლესიიდან მიიტაცებს სანთელს ან ზეთს, უზიარებელი უნდა იყოს და მიტაცებული უნდა დააბრუნოს ხუთმაგად. მოც. 72.

სიხარბე იხ. ანგარება

სოდომელთა ცოდვა რუის-ურბ. 18.

სოფელი, სოფლისა

სოფლებში ინიშნება არა ეპისკოპოსი, არამედ პერიოდევტი (იხ.), ლაოდ. 57. სოფლის მღვდლებს ჟამისწირვის აღსრულების უფლება ქალაქის ეკლესიაში არა აქვთ ეპისკოპოსისა ან ქალაქის მღვდლის იქ ყოფნის დროს. ნეოკ. 13.

სრული (საერთო) კრება იხ. კრება საეკლესიო ადგილობრივი

სული

ჩვენს სულში სამი ძალაა: გონების ძალა, გულისთქმის ძალა და გულისწყრომის ძალა. გრიგოლ ნოსელი 1 - 4.

სულიწმინდის მოფენა, მარტვილია

სულიწმინდის მოფენის დღეებში არ შეიძლება მუხლის მოდრეკა, არამედ უნდა ვილოცოთ მდგომარეებმა. I 20.

სულის მზრძოლნი (დუხოზორები) (მწვ.) II 1.

სულის ჭუჭყი

კაცს ბიწიანად აქცევს სულის ჭუჭყი მოც. 77.

ტარასი კონსტანტინოპოლის პატრიარქი

მისი ეპისტოლე მიღებულია საეკლესიო კანონად.

ტადარი მოწამეთა (სამარტვილო, საწამებელი)

IV 6, 8, 10.

ტადარი ღვთისა, ეკლესია

ტადრის შექმნა ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე არავის არ შეუძლია. იხ. საკურთხეველი. ტადარი უნდა იკურთხოს ჩვეულებრივი ლოცვით და მათში მოწამეთა ნაწილების დასვენებით. VII 7. არ შეიძლება ტადრების

გაძარცვა, მათი ჩვეულებრივ საცხოვრებელად გადაქცევა. VII 13. ტაძრები ღვთისა პატივისცემის ღირსნი არიან. ღანგრ. 1. ის, ვინც ღვთის სახლის შეურაცხყოფას ასწავლის, შეჩვენებული უნდა იყოს. ღანგრ. 5. ვინც ეკლესიაში ლოცვაზე ბოლომდე არ რჩება, უზიარებელი უნდა იყოს. მოც. 9. ანტ. 2. ღვთის ეკლესიის მიტოვება და ცალკე კრებების მოწყობა არ შეიძლება. ლაოდ. 35. ღანგრ. 6. ეკლესიაში ჭამა, ქეიფი, საწოლის გაშლა და ძმური სიყვარულის ტრაპეზის (აღაპის) გადახდა არ შეიძლება. VI 74. ლაოდ. 28. კართ. 42. ქალს დედობრივი წესის დროს ღვთის ტაძარში შესვლისა და ზიარების მიღების უფლება არა აქვს. დიონისე ალექსანდრიელი 2. ღვთის ტაძარში პირუტყვის შეყვანა არავის არ შეუძლია, უკიდურესი გაჭირვების შემთხვევის გარდა. VI 88.

ტეტრადიტები (მწვ.) (მემოთხეენი, მეთოთხმეტენი)

II 7. VI 95. ლაოდ. 7.

ტიმოთე ალექსანდრიელი ეპისკოპოსი

მისი კანონიკური პასუხები მიღებულია საეკლესიო კანონში. VI 2.

ტრაპეზი სიყვარულისა იხ. ტრაპეზი

ტრიპოლი

ღარიბი ქვეყანა. აქ მღვდელს მხოლოდ ხუთი ეპისკოპოსი განიკითხავდა. კართ. 14.

ტყვეობა

ულმერთობაა ბარბაროსთა ტყვეობიდან გამოქცეული ქრისტიანების დატყვევება. გრიგოლ ნეოკესარიელის ეპისტოლე.

უარისთქმა მსახურებაზე იხ. მსახურებაზე უარისთქმა

უარყოფელი სარწმუნოებისა იხ. სარწმუნოების უარყოფა

უარყოფა სარწმუნოებისა იხ. სარწმუნოების უარყოფა

უბიწოება

ეპისკოპოსები, მღვდლები და დიაკვნები ხელდასხმით შეკრულნი არიან უბიწოების საკვრელით. კართ. 3.

უზიარებელქმნილი, განყენებული

უზიარებელქმნილმა ან მღვდელმსახურებისაგან განყენებულმა საქმის გარკვევამდე არ უნდა გაბედოს ზიარება. სარდ. 14. კართ. 19, 29. ბასილი დიდის ეპისტოლე გრიგოლ ხუცესისადმი. ის, ვინც ილოცებს უზიარებელქმნილთან, თითონაც უზიარებელი უნდა იყოს. მოც. 10. ანტ. 2. ერი, რომელიც მიიღებს უზიარებელქმნილ ეკლერიკოსს, უზიარებელი უნდა იყოს. ბასილი დიდის ეპისტოლე გრიგოლ ხუცესისადმი. თუ უზიარებელქმნილი დაფარავს თავის უზიარებლობას, მისი უზიარებლობის ვადა გაგრძელდება. მოც. 13. ეპისკოპოსს არა აქვს უფლება მიიღოს სხვა ეპისკოპოსის მიერ უზიარებელქმნილი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უზიარებელქმნიელი გარდაიცვლება, ან იქნება მისი ან კრების ნებართვა. მოც. 32. I 5. ანტ. 6. ეპისკოპოსის მიერ უზიარებელქმნილი კლერიკოსი უზიარებელია, სანამ არ გამართლდება. თეოფილე ალექსანდრიელი 3. იხ. სამსჯავრო, სასამართლო. ეპისკოპოსის მიერ უზიარებელქმნილს შეუძლია, თავისი გამართლება ეძებოს კრების წინაშე. კრება აწარმოებს საფუძვლიან გამოძიებას უზიარებელქმნილთა შესახებ. I 5. ანტ. 6, 20. თეოფილე ალექსანდრიელი 3. ის, ვინც აფრიკაშია უზიარებელქმნილი და ზიარების მიღებას შეეცდება ზღვის გადაღმა

(იტალიაში), დაკარგავს თავის პატივს, განიკვეთება. კართ. 105. დიდი კრების მიერ უზიარებელი არსად არ უნდა ეზიაროს. სოფ. I. უზიარებელქმნილს სიწმინდეთა ზიარების უფლება ეძლევა სიცოცხლის აღსასრულის ჟამს, მაგრამ თუ გამობრუნდება, წინანდელი მდგომარეობა უნდა აღდგეს. გრიგოლ ნოსელი 1, 4.

უზიარებლობა, განყენება

ეს არის განყენება წმინდა ზიარებისაგანაც, ან აგრეთვე ყველა ლოცვისგანაც. ანკ. 5, 6, 7, 8, 9.

უმსგავსონი (მწვ.) იხ. ანომეები.

უნებლიე მკვლელობა იხ. მკვლელობა.

ურჩობა

ის, ვინც ურჩობას იჩენს, არ ემორჩილება საეკლესიო შეგონებას და ეპიტიმიას, უნდა გადაეცეს საერო სასმართლოს. ორგზ. 9.

უსისხლო მსხვერპლი იხ. მსხვერპლი უსისხლო.

უფალი, ბატონი

თუ ქალი გათხოვდება ბატონის ნების წინააღმდეგ. იხ. სიძვა.

უფლის დღე იხ. კვირა დღე

უქონელი, გლახაკი იხ. ეპისტოლე დასამშვიდებელი

უცხო (კლერიკოსი) იხ. მოგზაური

უცხოთსადგური (სასტუმრო, თავშესაფარი) IV 10

უძღებობა იხ. ანგარება

უხუცესი ქალები იხ. წინამსხდომარენი.

ფარდული იხ. დუქანი

ფეხებით სნეული იხ. ხორციელი ნაკლი

ფიზიკური ნაკლი იხ. ხორციელი ნაკლი

ფიცი

ფიცი აკრძალულია და განსაკუთრებით ბოროტებაზე დაფიცება. ბასილი დიდი 29. მას, ვინც ფიცი დასდო, რომ არ მიიღებს ხელდასხმას, ნუ დაატანენ ძალას, რომ დაარღვიოს ფიცი. ბასილი დიდი 20. ორი ნიმუში ფიცისგან განთავისუფლებისა. ბასილი დიდი 10, 17.

ფორტუნატე (ფორტუნატიანოსნი) აფრიკელი ეპისკოპოსი. კართ. 97.

ფოტი კონსტანტინოპოლის პატრიარქი. სოფ. 1.

ფოტიანელი, ფოტინელი, ფოტიანი (მწვ.) II 1. ლაოდ. 7.

ფრიგველი, ფრიგიელი (მწვ.) იხ. მონტანელი.

ფსალმუნთა გალობა იხ. გალობა.

ფსალმუნი

ეკლესიაში არ შეიძლება საერო ფსალმუნთა თქმა (დავითის 150 ფსალმუნის გარდა არსებობს სოლომონისა და სხვა ავტორთა ფსალმუნებიც, რომლებიც აკრძალულია). ლაოდ. 59. არც გაბმით კითხვა ფსალმუნისა, ერთიმეორეს მიყოლებით, არამედ ყოველი ფსალმუნის შემდეგ უნდა იყოს წიგნის კითხვა. ლაოდ. 17.

ფსალმუნი საერო იხ. ფსალმუნი.

ფული ხელდასხმა ფულით, იხ. სიმონია.

ფუფუნება

უცხო უნდა იყოს სამღვდელთათვის. VII 16.

ქადაგი IV 2.

ქალაქი

პატარა ქალაქებში ეპისკოპოსი არ უნდა იყოს დადგენილი. მათში დადგენილმა მღვდლებმა არაფერი არ უნდა გააკეთონ ქალაქის ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე. ლაოდ. 57.

ქალი, ცოლი

მღვდელს, დიაკონს, კერძოდიაკონს არ უნდა აეკრძალოთ კანონიერ ცოლთან ცხოვრება. VI 13. მღვდლებმა, რომლებიც თავის ცოლებს განშორდებიან კეთილმსახურების მომიზეზებით, აღარც უნდა იცხოვრონ ერთ ჭერქვეშ მათთან. VI 30. პატიოსანი ცოლ-ქმრული ცხოვრება არ დააბრკოლებს ქმარს, რომ იყოს მღვდელი ან დიაკონი. VI 13. მღვდელს, დიაკონს, კერძოდიაკონს (იპოდიაკონს) და ყველას, ვინც ეხება სიწმინდეს, თავშეკავება მართებთ ცოლებისაგან. კართ. 4, 25, 70. ეპისკოპოსად დასადგენის ცოლი უნდა აღიკვეცოს შორეულ მონასტერში, სადაც ის იცხოვრებს მის კმაყოფაზე და თუ ღირსი იქნება, შეიძლება დედათ-დიაკვნად დაინიშნოს. VI 12, 48. ცოლმა არ უნდა მიატოვოს ქმარი ქორწინების ზიზღით. ღანგრ. 14. მიტოვებული ცოლი უქორწინებელი უნდა დარჩეს. ბასილი დიდი 48. ქალებს საღვთო ლიტურგიაზე ლაპარაკის უფლება არ აქვთ, ხოლო მოძღვრების შესახებ შინ ქმრებს უნდა ჰკითხოვნ. VI 70. არ არის საჭირო მრუში ქალების საქვეყნოდ გამოაშკარავება, მათ ნება უნდა მიეცეთ მორწმუნეებთან დგომისა ზიარების გარეშე, სანამ არ შესრულდება მათი სინანულის ვადა. ბასილი დიდი 34. ქალს, რომელიც ადრე უბიწოდ ცხოვრობდა, ხოლო შემდეგ ტყვეობაში შეგინებულ იქნა, უნდა მიეცეს ზიარება. გრიგოლ ნეოკესარიელის ეპისტოლე.

ქალიშვილი

ქალიშვილი არ უნდა გათხოვდეს მამის ნებართვს გარეშე. ბასილი დიდი 38. თუ დანიშნულ ქალიშვილს ვინმე მოიტაცებს, ის უნდა დაუბრუნდეს დანიშნულს. ანკ. 11. ვინც ძალას იხმარს დაუნიშნავ ქალიშვილზე, დაისჯება საეკლესიო უზიარებლობით და მან ცოლად უნდა წაიყვანოს იგი. მოც. 67.

ქალწული

რას ნიშნავს ქალწული? ბასილი დიდი 18. ქალწულთა აღთქმისა და შეწყნარების ასაკი. VI 40. კართ. 126. ბასილი დიდი 18. ქალწულთა კურთხევას ასრულებს არა მღვდელი, არამედ ეპისკოპოსი. კართ. 6. ასეთი ქალწულები უნდა იმყოფებოდნენ პატიოსანი ქალების მეთვალყურეობის ქვეშ. კართ. 44. ღვთისათვის აღთქმულ ქალწულს ქორწინების უფლება არ აქვს. IV 16. და ეკრძალება ერთ ჭერქვეშ ცხოვრება მამაკაცებთან, როგორც ძმებთან. ანკ. 19. რა პირობებში შეიძლება ქალწულთა ნახვა. კართ. 38. ქალწულთა ცოდვა, რომელთაც თავი შესწირეს ღმერთს, ქვრივთა ცოდვაზე უფრო მძიმეა. ბასილი დიდი 18. დაცემული ქალწული ისჯება სიძვისმოქმედთა სასჯელით. ბასილი დიდი 18, 60. და მისი ქორწინება უნდა დაირღვეს. ბასილი დიდი 6. ის, ვინც მას ასე მოექცევა, სიძვის მოქმედიანია. ბასილი დიდი 18. ადგილობრივ ეპისკოპოსს უფლება აქვს, დაცემული ქალწულისადმი გამოიჩინოს კაცთმოყვარეობა. IV 16.

ქალწულობა

ქვრივობა ქალწულობაზე დაბალა დგას. ბასილი დიდი 18. ქალწულობა უფლისათვის, თავმდაბლობასთან შეერთებული, პატივსაცემია. ღანგრ. 10, 21, კარგია და წმინდა. ღანგრ. 9. მაგრამ თუ ვინმე ქალწულთაგან თავს იკავებს ქორწინებისაგან მისადმი ზიზღის გამო, ან ქედმაღლობს ქორწინებულებზე, ის შეჩვენებული უნდა იყოს. ღანგრ. 9, 10. ქალწულობის აღთქმას ძალა აქვს, თუ აღმთქმელი იმ ასაკშია, რომ შეუძლია პასუხი აგოს თავის სიტყვაზე. ბასილი დიდი 18. ვინც ქალწულობის აღთქმა დასდო მწვალებლობაში, ხოლო შემდეგ იქორწინა, არ ისჯება განკანონებით. ბასილი დიდი 20.

ქარტა სიმტკიცისა II 7.

ქარტა ჯმნისა იხ. მსახურებაზე უარისთქმა, წერილობითი.

ქველმოქმედება გლახაკთა მიმართ ეკლესიის გზით საქებადია. ღანგრ. 21.

ქვრივი (ეკლესიისა)

თუ ქვრივი, რომელიც ჩათვლილია ეკლესიის ქვრივთა რიცხვში, ე.ი. რომელიც ცხოვრობს და იკვებება ეკლესიის ხარჯზე, დაქორწინდება, იგი უნდა დარჩეს ეკლესიის მეურვეობის გარეშე. ბასილი დიდი 24. ქალი ეკლესიის ქვრივთა რიცხვში უნდა ჩაითვალოს არა უადრეს სამოცი წლისა. ბასილი დიდი 24. ვის აქვს ქვრივთან შესვლის უფლება? კართ. 38. ქვრივობა ქალწულობაზე ნაკლებია. დაცემული ქვრივი განიკითხება როგორც გახრწნილი მონა. ბასილი დიდი 18. თუ სამოცი წლის ქვრივი დაქორწინებას მოინდომებს, მას უნდა აღეკვეთოს წმ. ზიარება, სანამ უარს არ იტყვის უწმინდურ ვნებაზე. ბასილი დიდი 24.

ქვრივი დამოუკიდებელი

ქვრივს აქვს დაქორწინების უფლება. ბასილი დიდი 41.

ქონება ეპისკოპოსისა, იხ. ეპისკოპოსი.

ქონება საეკლესიო

საეკლესიო ქონება ცნობილი უნდა იყოს მღვდლებისა და დიაკვნებისათვის, რათა ეპისკოპოსის სიკვდილის შემთხვევაში არ აირიოს საეკლესიო ქონება და ეპისკოპოსის ქონება. მოც. 40. ანტ. 24. ყველა საეკლესიო ნივთი შეტანილი უნდა იყოს საეკლესიო შეწირულებათა აღწერის წიგნში. კართ. 33. საეკლესიო ქონება უნდა ინახებოდეს გულმოდგინედ და კეთილსინდისიერად. ანტ. 24. კართ. 33. კირილე ალექსანდრიელი 2. და იგი უნდა მოიხმარონ კანონიერად. თეოფილე ალექსანდრიელი 10. ნურავინ ნუ მიითვისებს ეკლესიის ქონებას. თეოფილე ალექსანდრიელი 10. საეკლესიო ქონებას უნდა განაგებდეს ეპისკოპოსი. მოც. 38, 41. მას არ მოეთხოვება ანგარიშგება საეკლესიო შემოსავალთა და გასავალთა შესახებ. კირილე

ალექსანდრიელი 2. მას შეუძლია ეს ქონება მოახმაროს გაჭირვებულებს და უცხო, მოგზაურ ძმებს და აუცილებელი საჭიროებისათვის მოიხმაროს თითონ. ანტ. 25, აგრეთვე ქვრივებს, უქონელთ. თეოფილე ალექსანდრიელი 10. ეპისკოპოსს საეკლესიო ქონებისათვის ჰყავს ეკონომოსი. IV 26. იხ. ეკონომოსი. ეპისკოპოსს და მღვდლებს არა აქვთ ნება, მიითვისონ საკლესიო ნივთები, ან ნათესავებს აჩუქონ რაიმე, ან მათ საეკლესიო შემოსავლის განგების უფლება მისცენ. მოც. 38. ანტ. 25. საეკლესიო ქონება არავინ არ უნდა გაყიდოს, ხოლო გაჭირვების შემთხვევაში ეპისკოპოსებმა ამის შესახებ უნდა მოახსენონ კრებას, ხოლო მღვდლებმა-ეპისკოპოსს. კართ. 39. VII 12. ეკლესიამ ეპისკოპოსის იქ არ ყოფნის დროს უნდა მოითხოვოს მღვდლების მიერ გაყიდული ქონება. ანკვ. 15. ის, ვისაც მოსახმარებლად მიაქვს საეკლესიო განწმენდილი ოქროს ან ვერცხლის ჭურჭელი, ან კრეტსაბმელი, განყენებული უნდა იყოს. მოც. 73. რუის-ურბ. 6.

ქონება საეპისკოპოსოსი იხ. საეპისკოპოსო

ქორეპისკოპოსი (ხორეპისკოპოსი)

ქორეპისკოპოსს დაადგენს ქალაქის ეპისკოპოსი. ანტ. 10. ქორეპისკოპოსად უნდა აირჩიონ სჯულისა და საღვთო წიგნთა მცოდნე. რუის-ურბ. 11. მას შეუძლია მსახურების აღსრულება ქალაქის ეკლესიაშიც. ნეოკ. 14. ქორეპისკოპოსებს შეეძლოთ დაედგინათ მხოლოდ წიგნისმკითხველი, იპოდიაკონი(კერძოდიაკონი) და მფიცავი, ხოლო მღვდელს და დიაკონს ისინი დაადგენენ ეპისკოპოსის ნებართვით. ანტ. 10. ანკ. 13. შემდგომში წიგნისმკითხველებსაც მხოლოდ ეპისკოპოსის ნებართვით დაადგენდნენ. VII 14. ქორეპისკოპოსები ვალდებული იყვნენ: 1) მიეღოთ ცნობები საეკლესიო მსახურთა შესახებ მღვდლებისა და დიაკვნებისაგან და წარედგინათ ისინი ეპისკოპოსებისათვის. ბასილი დიდის ეპისტოლე ქორეპისკოპოსებისადმი. 2) ჰქონოდათ საეკლესიო მსახურთა სია, იმის აღნიშვნით, თუ ვინ ვისი დადგენილია, როგორ ცხოვრებას ეწევა, და ეს სიებიც უნდა წარედგინათ ეპისკოპოსებისათვის. ბასილი დიდი 89. ქორეპისკოპოსებს გამოცდისა და კლერიკოსთა დასში ღირსეულთა მიღების უფლება ჰქონდათ, მაგრამ მათ ვერ ჩარიცხავდნენ სიაში, სანამ არ წარუდგენდნენ ეპარქიალურ მღვდელმთავარს. ბასილი დიდი 89.

ქორწინება

ა) ქორწინებითი კავშირის სიწმინდე. ქორწინება დადგენილია ღვთის მიერ. მოც. 51. ქორწინებითი პატიოსანი თანამკვიდრობა პატივსაცემია. ღანგრ. 21. ვინც აძაგებს და გმობს მორწმუნე და ღვთისმოშიშ გათხოვილ ქალს, ან კიცხავს, რომ მას ცის სასუფეველში არ შეუძლია, შეჩვენებულ იყოს. ღანგრ. 1. ვინც ქალწულობს არა ქალწულობის სიწმინდის გამო, არამედ იმიტომ, რომ საძაგლად თვლის ქორწინებას, შეჩვენებულ იყოს. ღანგრ. 9. თუ ცოლი დატოვებს ქმარს ქორწინებისადმი ზიზღის მიზეზით, შეჩვენებულ იყოს. ღანგრ. 14. თუ მღვდელმსახური ქორწინებას განუდგება ქორწინებისადმი ზიზღის გამო, ის ან უნდა გამოსწორდეს, ან დაისჯება საეკლესიო კანონის თანახმად. ასევე ერისკაციც. მოც. 5, 51. ვინც ფიქრობს, რომ დაქორწინებული მღვდლისაგან არ უნდა მიიღოს ზიარება ლიტურგიაზე, შეჩვენებულ იყოს. ღანგრ. 4. გვირგვინის კურთხევა. აუცილებელია ეკლესიაში. რუის-ურბ. 7.

ბ) დაქორწინება. უკანონო ქორწინების გვირგვინი არ უნდა აკურთხონ. თეოფილე ალექსანდრიელის ეპისტოლე აგათონის მიმართ. დაქორწინებულთ უნდა ჰქონდეთ მშობლების ან ბატონის თანხმობა. ბასილი დიდი 38, 40, 42. დაქორწინება ეკრძალებათ: ა) ეპისკოპოსებს. VI 12. ბერებსა და მონაზვნებს ან ქალწულებს, რომელთაც თავი მიუძღვნეს ღმერთს. IV 16. ბასილი დიდი 6, 18, დედათდიაკვნებს. IV 15. მღვდლებს, დიაკვნებს და კერძოდიაკვნებს (იპოდიაკვნებს), თუ უკვე აქვთ თავისი ხარისხი. მოც. 26. VI 3, 6. მორწმუნეებს, განსაკუთრებით მკითხველებსა და მგალობლებს ურწმუნოებთან, როგორც არიან იუდეველნი, წარმართნი და მწვალებლები. IV 14. VI 72. ლაოდ. 10, 31. რუის-ურბ. 16. გარდა იმ შემთხვევისა, თუ დასაქორწინებელი დასდებს პირობას, რომ მართლმადიდებელი გახდება. IV 14. ლაოდ. 31. ქმარს ცოცხალი ცოლის ხელში და ცოლს ცოცხალი ქმრის ხელში. VI 87. ბასილი დიდი 77. ბ) იმათ, ვინც სულიერ ნათესაობაში იმყოფება (იხ. ნათესაობა სულიერი). VI 53. გ) ხორციელ ნათესაობაში მყოფთ (იხ. ნათესაობა ხორციელი). VI 54. ნეოკ. 2. ბასილი დიდი 23, 78, 87. ტიმოთე ალექსანდრიელი 11. ჩვილი ქალ-ვაჟის გვირგვინის კურთხევა არ შეიძლება. რუის-ურბ. 10. გვირგვინის კურთხევა წარმომადგენლების მეშვეობით აკრძალულია. რუის-ურბ. 17.

გ) დაქორწინებულთა მოვალეობანი. დაქორწინებულნი უნდა იკავებდნენ თავს ერთმანეთისაგან შეთანხმებით სალოცავად, განსაკუთრებით შაბათ-კვირა დღეებში. დიონისე ალექსანდრიელი 3. ტიმოთე ალექსანდრიელი 13.

დ) მოვალეობანი ქორწინებათა დღესასწაულობის დროს. ქრისტიანებს, რომლებიც დადიან ქორწილებზე, არ შეჰფერით იქ ცეკვა-თამაში, არამედ უნდა ისამხრონ მოწიწებით. ლაოდ. 53.

ე) ეპიტიმეები უკანონო ქორწინებათათვის. მღვდელი, დიაკონი, კერძოდიაკონი, რომლებიც დაქორწინდებიან ხელდასხმის შემდეგ, უნდა განიკვეთონ თავიანთი ხარისხისგან. VI 6. ნეოკ. 1. თუ მღვდელი უწესო ქორწინებით იქორწინებს უმეცრებით, მას ეკრძალება სამღვდლო მოქმედება, მისი ქორწინება დაირღვევა, მაგრამ მას უფლება აქვს შეინარჩუნოს მღვდლობა და სამღვდლო პატივი. VI 26. აკრძალულია მორწმუნის ქორწინება მწვალებელ ცოლთან, VI 72. თუ ბერი, მონაზონი ქალი და ქალწული, რომელთაც თავი შესწირეს ღმერთს, დაქორწინდებიან, მათ მოაკლდებათ საეკლესიო ზიარება. IV 16. და მათი ქორწინება უნდა დაირღვეს. ბასილი დიდი 6, 18.

ქორწინება მეორე იხ. ქორწინებული მეორედ.

ქორწინება მესამე იხ. ქორწინებული მესამედ.

ქორწინება მეოთხე

აკრძალულია და არ ითვლება ქორწინებად. იხ. მრავალქორწინებულობა.

ქორწინებული მეორედ

მეორედ ქორწინება არის მკურნალობა სიძვისაგან და არა სიბილწის მიზეზი. ბასილი დიდის ეპისტოლე დიოდორესადმი. მღვდელი მეორედ

ქორწინებულის ქორწინებას არ უნდა ესწრებოდეს. ნეოკ. 7. რუის-ურბ. 9. მეორედ ქორწინებულნი დაისჯებიან უზიარებლობით ერთი ან ორი წლით. ბასილი დიდი 4.

ქორწინებული მესამედ

მესამე ქორწინება არის უწმინდურობა, მაგრამ სიძვაზე უკეთესია. ბასილი დიდი 50. მესამედ ქორწინებულნი ისჯებიან ეპიტიმით. ბასილი დიდი 4, 80.

ქრთამი იხ. სიმონია

ქრისტესგან განდგომა იხ. სარწმუნოების უარყოფა.

ქრისტიანი

ვინც დაირქმევს ქრისტიანის სახელს და უწესო ქცევით ქრისტეს პატივს შებღალავს, არაფერი ერგოს მას მისი სახელისგან. ბასილი დიდი 45.

ქურდობა იხ. ავაზაკობა, პარვა

ღვაწლის შედგომა იხ. მოღაწეობა

ღვინო

საკურთხეველზე ყურძნის ღვინის გარდა სხვა სასმელის მიტანა არ შეიძლება. მოც. 3. თუ ვინმე სასულიერო პირთაგან ან ერისკაცთაგან არ სვამს ღვინოს, განსაკუთრებით დღესასწაულის დღეებში, არა თავშეკავების, არამედ ზიზღის გამო, ის უნდა განიდევნოს სამღვდლო წესისა და

ეკლესიისაგან. მოც. 51, 53. ღვინის დაწურვის დროს არ უნდა იცინონ წარმართულად. VI 62.

ღვთის გამოცხადება

ღვთის გამოცხადების სამწუხრო შეკრება არის მეცხრე ჟამზე. ამ დღეს მარხვას ვიცავთ უფრო მსუბუქად კვირა დღის გამო. თეოფილე ალექსანდრიელი 1.

ღრეობა იხ. წვეულება.

ღრუბელთმდევნელი იხ. გრძნეულობა, მისნობა.

ყვირილი იხ. გალობა

ყიდვა

ეკლესიის გალავნის შიგნით არ შეიძლება ყიდვა-გაყიდვა, ვაჭრობა. VI 76.

ყრუ იხ. ხორციელი ნაკლი.

ყურძენი

ყურძენი არ უნდა დაემატოს უსისხლო მსხვერპლს. VI 28. მღვდელი ეკლესიაში მოტანილ ყურძენს მიიღებს მხოლოდ როგორც პირველ ნაყოფს და აკურთხებს რა მას, გაუყოფს ერს ნაყოფთა მომცემი ღმერთის სამადლობელად. მოც. 3. VI 28.

შაბათი

ქრისტიანებმა არ უნდა იუქმონ შაბათი იუდეველებთან ერთად. ლაოდ. 29. შაბათს აკრძალულია მკაცრი მარხვა. მოც. 64. VI 55. წმინდა ორმოცის შაბათ დღეებშიც. VI 55. გარდა დიდი შაბათისა. მოც. 64. შაბათობით სხვა წიგნებთან ერთად სახარებაც უნდა იკითხონ. ლაოდ. 16.

შევრდომა

მონანულთა ეპიტიმის ანუ სინანულის მესამე საფეხური. მომნანიებელი დგას ტაძრის კარიბჭის შიგნით და გამოდის კათაკმევლებთან ერთად. გრიგოლ ნეოკესარიელის ეპისტოლე.

შეთქმულება, ფიცით შეკრული

აკრძალულია. IV 18. VI 34.

შეკრება თვითნებული იხ. კიდეთშესაკრებელობა

შეკრება საეკლესიო

ვინც გაჭირვების გარეშე სამი კვირის განმავლობაში კვირა დღეს არ მივა საეკლესიო შეკრებაზე, კლერიკოსი უნდა განიკვეთოს, ხოლო ერისკაცი უზიარებელი უნდა იყოს. VI 80. ვინც ასწავლის ღვთის სახლისა და მასში მოწყობილი შეკრების შეურაცხყოფას, შეჩვენებული უნდა იყოს. ლანგრ. 5. ის, ვინც გაურბის ერთი ეკლესიის შეკრებებს, არ უნდა მიიღონ არც სხვა ეკლესიაში. ანტ. 2.

შეკრება სახალხო

სახალხო შეკრებას არა აქვს უფლება, აირჩიოს მღვდელი. ლაოდ. 13.

შემკულობა

სხეულის შემკულობა უცხო უნდა იყოს სამღვდელთათვის. VII 16.

შემლოცველნი იხ. გრძნეულობა, მისნობა.

შემოსავალი დაქვრივებული ეკლესიისა

დაქვრივებული ეკლესიის შემოსავალი, რომელიც ეპისკოპოსს ეკუთვნის, ხელუხლებლად უნდა იყოს დაცული მისი ეკონომოსის (მნე) მიერ. IV 25.

შესაკრებელი ურიათა (სინაგოგა)

იუდეველთა შესაკრებელში შესვლა არ შეიძლება, არც იქ ზეთის მიტანა და სანთლების ანთება მათი დღესასწაულების დღეებში. მოც. 65, 71.

შესამოსელი საკურთხეველისა ორგზ. 10.

შესაწირავი (მსხვერპლი) სიწმინდისა ლიტურგიაზე

წმინდა შესაწირავში ღვინო უნდა განზავდეს წყლით. VI 32. შესაწირავის შეწირვა უნდა შესრულდეს ერთმანეთისთვის მშვიდობის (მისალმების) შემდეგ. ლაოდ. 19. წმინდა შესაწირავის შეწირვა სახლებში არ შეიძლება. ლაოდ. 58. მღვდლები უნდა აძლევდნენ ერს შესაწირავს ყურძნის გარეშე. VI 28. შესაწირავის შეწირვა (ჟამისწირვა) თავისმკვლელისთვის არ შეიძლება. ტიმოთე ალექსანდრიელი 14. ვინც ცნობადაკარგული იყო და ხელი აიღო თავის თავზე, მისთვის უნდა შესრულდეს შესაწირავის შეწირვა. პეტრე ალექსანდრიელი 1. შესაწირავის ის ნაწილი, რომელიც დარჩა წმინდა საიდუმლოს შესრულების შემდეგ, კლერიკოსებმა უნდა გაინაწილონ

ერთმანეთში და ნუ შეჭამს მათ კათაკმეველი, არამედ მხოლოდ კლერიკოსებმა და მორწმუნეებმა უნდა მიიღონ. თეოფილე ალექსანდრიელი 8. საეკლესიო შესაწირავის მიღება და ჩამორიგება არ შეიძლება ეპისკოპოსის ნებარვის გარეშე. ღანგრ. 7, 8.

შეტირილი

მონანულთა ეპიტიმის ანუ სინანულის პირველი საფეხური. შეტირილი აუცილებელია სალოცავი ტაძრის კარიბჭის გარეთ. გრიგოლ ნეოკესარიელის ეპისტოლე.

შეჩვენება

შეჩვენების მიზეზები IV 2, 7. ღანგრ. 11-20. კართ. 110. ბასილი დიდის ეპისტოლე გრიგოლ ხუცესისადმი. VII 5.

შვილები

შვილები, რომლებიც ღვთისმოსაობის საბაბით მიატოვებენ მშობლებს, განსაკუთრებით მორწმუნეებს და არ მიაგებენ მათ შესაფერის პატივს, შეჩვენებულნი უნდა იყვნენ. ღანგრ. 16. კლერიკოსთა შვილები არ უნდა დაქორწინდნენ მწვალებლებზე ან წარმართებზე. კართ. 21.

შობა ქრისტესი

ქალწულმა შვა დაუტევნელი სიტყვა, გონებისათვის მიუწვდომელი და გამოუთქმელი. ქალწულისაგან ღვთაებრივი შობა, როგორც უთესლო, უმტკივნეულოდ უნდა ვაღიაროთ და ამიტომ მორწმუნეებმა ქრისტეს შობის დღის შემდეგ არ უნდა მოხარშონ სიმინდი და მიუძღვნან ერთმანეთს, თითქოსდა მარიამ ქალწულის ტკივილთა აღსანიშნავად.

ჩივილი, საჩივარი იხ. სამსჯავრო, სასამართლო

ცა იხ. შესამოსელი საკურთხეველისა.

ცეკვა, როკვა

აკრძალულია სახუმარო სანახაობაზე. VI 51, 62, ქორწილზე. ლაოდ. 53. განსაკუთრებით წარმართული ცეკვა-თამაში დღესასწაულის დღეებში წმინდა ადგილების ახლოს. კართ. 60.

ცირკულარი იხ. გენადი კონსტანინოპოლელი.

ცოდვა

ერთანაირი არ არის. VI 102. ცოდვები განეკუთვნებიან ჩვენი სულის სამ ძალას: სიტყვიერ ძალას (გონიერს), გულისთქმის (სურვილის) ძალას და გულისწყრომის (გალიზიანების, გაბრაზების) ძალას. გონიერ ძალას განეკუთვნება: ღვთისა და ღვთაებრივი საგნებისადმი არაკეთილი დამოკიდებულება, ქრისტეს უარყოფა, ქრისტესგან გადახრა, გადახრა იუდეველობისაკენ, კერპთათაყვანისცემისაკენ და ა. შ. გრიგოლ ნოსელი 1. ეპიტიმია ამ ცოდვებისათვის. გრიგოლ ნოსელი 2, 3. გულისთქმის (სურვილის) ძალით გამოწვეულია შემდეგი ცოდვები: ვერცხლისმოყვარეობა, დიდებისმოყვარეობა, გემოთმოყვარეობა და ა.შ. გრიგოლ ნოსელი. შესავალი. ეპიტიმია ამ ცოდვებისათვის, გრიგოლ ნოსელი 3. გულისწყრომის (გალიზიანების) ძალას განეკუთვნება: შური, სიძულვილი, მტრობა, ავსიტყვაობა, ბოროტგანმზრახველობა, შურისმაძიებლური განწყობა, მკვლელობა და ა.შ. გრიგოლ ნოსელი. შესავალი, 4. ეპიტიმია ამ ცოდვებისათვის. გრიგოლ ნოსელი 5. ყველა ადამიანი ცოდვილია. კართ. 110. ვინც ამტკიცებს, რომ იოანეს სიტყვები ("თუ ვიტყვით, რომ ცოდვა არა გვაქვს, ამით საკუთარ თავს ვატყუებთ და ჭეშმარიტება არ არის ჩვენში"), თავმდაბლობის გამო უნდა ვთქვათ და არა იმიტომ, რომ ეს ჭეშმარიტებაა, შეჩვენებული იყოს. კართ. 114. ვინც იტყვის,

რომ წმინდანები საუფლო ლოცვის ("მამაო ჩვენო"-ს) სიტყვებს ("მოგვიტევენ თანანადებნი ჩვენნი") ამბობენ არა თავისთვის, არამედ სხვა ადამიანებისათვის, და რომ თითქოს მათ არ სჭირდებათ ცოდვათა მიტევა და პატიება, შეჩვენებულ იყოს. კართ. 115. ვინც იტყვის, რომ წმინდანებმა ეს სიტყვები საუფლო ლოცვისა უნდა წარმოსთქვან თავმდაბლობით და არა ჭეშმარიტების გამო, შეჩვენებულ იყოს. კართ. 116. ცოდვები, რომლებიც განეკუთვნება გონიერ (სიტყვიერ) ძალას, ყველაზე მძიმეა და მათთვის აუცილებელია უმძიმესი და ხანგრძლივი სინანული. გრიგოლ ნოსელი 1. სასიკვდილო ცოდვაა, როდესაც ვინმე ჩაიდენს ცოდვას და შემდეგ ისევ რჩება იმ ცოდვაში გამოუსწორებლად, და როდესაც ვინმე აღუდგება კეთილმსახურებას (მართლმორწმუნობას), ღვთის მოშიშებას და ჭეშმარიტებას. VII 5. არ შეიძლება უარი ეთქვას ცოდვისაგან მოქცეულს. მოც. 52. მას, ვისაც ღვთისაგან მიცემული აქვს შეკვრისა (დასჯისა) და გახსნის (სასჯელისაგან განთავისუფლების) უფლება, მართებს, განიხილოს ცოდვის ხარისხი და ცოდვილს სწეულების შესაბამისი მკურნალობა. ჩაუტაროს. VI 102. განსაკუთრებით უნდა აღმოიფხვრას ცოდვის დასაწყისი (დასაბამი). VII 22. ეპისკოპოსისთვის ცალკე, აღსარებაში ნათქვამი ცოდვა არ შეიძლება მიჩნეულ იყოს სასამართლოში მტკიცედ. კართ.132.

ცოლი იხ. ქალი.

ცრურწმენა იხ. საკურთხეველი, მოწყობილი ცრურწმენით.

ცრუფიცობა

ღვთისმსახურნი და კლერიკოსები, რომლებიც მხილებულნი იქნებიან ცრუფიცობაში, განიკვეთებიან, მაგრამ საეკლესიო ზიარებაზე მათ უარს ნუ ეტყვიან. მოც. 25. ცრუფიცობაში შემჩნეულ ერისკაცს ათი წლით ეკრძალება ზიარება. ბასილი დიდი 64. ხოლო უნებლიე ცრუმფიცავს - ექვსი წლით. ბასილი დიდი 82.

ცხენტა შეჯიბრების ადგილი იხ. იპოდრომი

მაძით მოსილნი იხ. საკოფორები.

წარმართი

ქრისტიანს ეკრძალება წარმართულ ტაძარში ზეთის შეტანა და სანთლის დანთება. მოც. 71. აგრეთვე დღესასწაულობა წარმართებთან ერთად. ლაოდ. 39. მორწმუნეები არ უნდა შეეუღლონ ქორწინებით წარმართებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარმართი აღთქმას დასდებს, რომ მიიღებს ქრისტიანულ სარწმუნოებას. IV 14. ლაოდ. 10, 31. კართ. 21.

წარმომადგენელი ეპისკოპოსისა იხ. ადგილისმცველი.

წერილი საღვთო (წმინდა) იხ. საღვთო წერილი.

წვეულება

კლერიკოსებმა და ერისკაცებმა ერთად არ უნდა მოაწყონ წვეულება. ლაოდ. 55. უნდა ეთხოვოს მეფეებს, რომ აიკრძალოს წარმართთა წვეულებებისა და ცეკვა-თამაშის მოწყობა, განსაკუთრებით წმინდა მოწამეთა დღეებში და წმინდა ადგილების ახლოს. კართ. 60.

წიგნები აპოკრიფული იხ. აპოკრიფული წიგნები.

წიგნები კანონიკური იხ. იხ. კანონიკური წიგნები.

წიგნი

ეკლესიაში არ შეიძლება იმ წიგნების კითხვა, რომლებიც არ არის დამტკიცებული კანონით. ლაოდ. 59. კართ. 24. წმინდა, კანონიკური, ღვთაებრივი და ღვთივშთაგონებული პატივსაცემი წიგნები. მოც. 85. ლაოდ. 59. ათანასე ალექსანდრიელის ეპისტოლე დღესასწაულთა შესახებ. გრიგოლ ღვთისმეტყველის (ნაზიანზელის) სიტყვა. ამფილოქე იკონიელის იამბიკონი. ასეთ კანონიკურ წიგნებს არავინ არაფერი არ უნდა მიუმატოს და არც მოაკლოს. ათანასე ალექსანდრიელის ეპისტოლე დღესასწაულის შესახებ. წიგნები, რომლებიც არ არის შეტანილი კანონში, მაგრამ მამათა მიერ დანიშნულია საკითხავად ახალშესულთათვის, რომელთაც სურთ ჭეშმარიტების სიტყვის მოსმენა. ათანასე ალექსანდრიელის ეპისტოლე დღესასწაულთა შესახებ. ძველი და ახალი აღთქმისა და წმინდა ქადაგთა წიგნები არ უნდა დამახინჯდეს, დაიჭრას და არ უნდა განადგურდეს. VI 68.

წიგნისმკითხველი

წიგნისმკითხველმა აღკვეცის გარდა უნდა მიიღოს ხელდასხმაც. VII 14. წიგნისმკითხველმა არ უნდა ატაროს ოლარი. ლაოდ. 23. წიგნისმკითხველმა სრულწლოვანმა ან უნდა იქორწინოს, ან უნდა დასდოს ქალწულობის აღთქმა. მოც. 26. VI 6. კართ. 16. წიგნისმკითხველმა ღვთისმსახურების დროს ერს თაყვანი არ უნდა სცეს. კართ. 16. წიგნისმკითხველი, რომელიც ქორწინებამდე შეუერთდება თავის დანიშნულს, მსახურებისგან განყენებულ იქნება ერთი წლით და შემდეგ იქნება წიგნისმკითხველად, მაგრამ ხარისხი აღარ მიემატება. ბასილი დიდი 69. კლერიკოსი, რომელიც წიგნისმკითხველობის დროს სიძვის ცოდვას ჩაიდენს და შემდეგ ხელდასხმულ იქნება, დაემხოვა თავისი ხარისხიდან. თეოფილე ალექსანდრიელი 2.

წინამსხდომარენი (უხუცესი ქალები) ლაოდ. 11.

წინამძღვარი (ილუმენი)

წინამძღვარი მღვდელი თავის მონასტერში დაადგენს წიგნისმკითხველს. VII 14. წინამძღვრის დადგენა სხვა ეპარქიაში არ შეიძლება. კართ. 80.

მონასტრისათვის მიწებისა და ადგილ-მამულის შემწირველს და მაშენებელს არა აქვს უფლება ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე ან თავისი თავი, ან სხვა დაადგინოს წინამძღვრად. ორგზ. 1.

წინასწარმეტყველი

წინასწარმეტყველთა წინააღმდეგ არავის უმოქმედია დაუსჯელად. კართ. 5.

წმინდა იხ. ნავატიანები

წმინდა ადგილები

ისინი, ვინც წმინდა ადგილებს გადააქცევენ ჩვეულებრივ ადგილებად და მოურიდებლად ექცვიან მათ, კათაკმევლებთან ერთად დგომის ღირსნიც არ არიან. VI 97.

წმინდა მამები

მათი მოძღვრება ღვთივმეტყველია. ის. შესავალში, VII მსოფლიო კრების დოგმატი.

წმინდა შესაწირავი იხ. შესაწირავი.

წმინდა წერილი. იხ. საღვთო წერილი.

წყლულები უფლისა იხ. იესოს წყლულები.

ხარისხი საეკლესიო

საეკლესიო ხარისხში არჩევა არ უნდა მოხდეს მსმენელთა თანდასწრებით. ლაოდ. 5. საეკლესიო ხარისხში არჩევის უფლება არა აქვს სახალხო შეკრებას. ლაოდ. 13. მღვდლობის თითოეულ ხარისხში საჭიროა არამცირედი დროის დაყოფა. სარდ. 10. ყველა ხარისხის ერთ დღეს მიღება არ შეიძლება. რუის-ურბ. 3.

ხარსი

მღვდელი, ნესტორის თანამოაზრე. III 7.

ხატთა თაყვანისცემა იხ. ხატი.

ხატი

პატიოსანი და წმინდა ხატების თაყვანისცემა აუცილებელია. იხ. შესავალში VII მსოფლიო კრების დოგმატი. რუის-ურბ. 19. იესო ქრისტე ღმერთი ჩვენი წმინდა ხატებზე უნდა გამოისახოს არა კრავის სახით, არამედ ადამიანის სახით. VI 82. ნაწერები პატიოსან ხატთა წინააღმდეგ ეგრეტიკულ წიგნებად ითვლება. VII 9.

ხაჩეცარნი (მწვ.) რუის-ურბ. 15.

ხელდასხმა

ხელდასხმა უნდა შესრულდეს გამოცდის შემდეგ მთელი სამღვდლო დასის თანხმობით, არა ფარულად. არამედ ეკლესიის შიგნით. ხელდასხმას ერი უნდა ესწრებოდეს და უნდა გამოაცხადოს ეპისკოპოსმა. თეოფილე ალექსანდრიელი 6.

ხელდასხმადი დადგენილი უნდა იყოს მხოლოდ თავისი ეპისკოპოსის მიერ. სარდ. 15. ხელდასხმა შეიძლება მხოლოდ სახელდებით რომელიმე ეკლესიას ან მონასტერზე. IV 6. ხელდასხმულმა ხელდამსხმელისაგან უნდა მიიღოს ეპისტოლე (წერილობითი მოწმობა) ხელდასხმის წლისა და დღის აღნიშვნით. კართ. 89. მეორედ ხელდასხმა იმავე ხარისხში არ შეიძლება. მოც. 68. კართ. 27, 48. მხოლოდ ერეტიკოსებისგან ხელდასხმულებმა შეიძლება მიიღონ მეორედ ხელდასხმა მართლმადიდებელი ეპისკოპოსებისგან. მოც. 68. ბას. 1. იმას, ვინც დაიფიცებს, რომ არ მიიღებს ხელდასხმას, ნუ დაატანენ ძალას. ბასილი დიდი 10. ხელდასხმის ასაკი. ნეოკ. 11. ქალკ. 15. VI 14, 15. კართ. 16. რუის-ურბ. 2.

ხელისუფლება საერო (სამოქალაქო)

მღვდლებმა შეიძლება თხოვონ საერო ხელისუფალთ (მთავრებს) დახმარება საერთო დედის-კათოლიკე ეკლესიის დასახმარებლად, იმ შემთხვევაში, თუ ქალაქში უგუნებელყოფილია ეპისკოპოსის ძალაუფლება. კართ. 67. საერო ხელისუფლებას გადაეცემიან მოსადრეკად და დასამოშმინებლად ეპისკოპოსები, რომლებიც ეურჩებიან კრებას. კართ. 48. ეპისკოპოსის ურჩი მღვდლები და დიაკვნები. ანტ. 5. ცოდვილი მორწმუნეები, რომლებიც არ ემორჩილებიან საეკლესიო ეპიტიმას. ორგზ. 9. ეპისკოპოსის, მღვდლის, დიაკვნის დადგენა საერო ხელისუფალთა მიერ ძალაში არ არის. VII 3.

ხორეპისკოპოსი იხ. ქორეპისკოპოსი

ხორცი

სისხლიანი ხორცის, მხეცი მოკლულის ან მძორის ჭამა არ შეიძლება. მოც. 63. ის, ვინც გაკიცხავს ხორცის მჭამელს, შეჩვენებულ იყოს. ლანგრ. 2. ის, ვინც არ ჭამს ხორცს კრძალულების, თავშეკავების, მოღვაწეობრივი მიზნით, არ უნდა განიკითხონ. მოც. 51, 53. ანკ. 14. ბასილი დიდი 85. ხორცის მიტანა შეიძლება მხოლოდ ეკლესიის გარეთ. VI 99.

ხორციელი ნაკლი

ადამიანს შებღალავს არა ხორციელი ნაკლი (ფიზიკური), არამედ სულიერი ჭუჭყი. მოც. 77. ის, ვინც დასცინებს ხორციელი ნაკლის მქონე ადამიანს, განყენებული უნდა იყოს, ე.ი. უზიარებლობით უნდა დაისაჯოს. მოც. 57.

ხსენება მიცვალებულთა იხ. მიცვალებულთა ხსენება.

ხსენება მოწამეთა იხ. მოწამე

ხუცესი იხ. მღვდელი

ჯამბაზური ნილაბი იხ. ნილაბი

ჯვარი ცხოველმყოფელ ჯვარს უნდა მივაგოთ ღირსი პატივი და არ გამოვსახოთ იგი მიწაზე. VI 73.

ჯვრის ქარტა იხ. მსახურებაზე უარისთქმა.